შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლოუნივერსიტეტი
SHOTA MESKHIA STATE TEACHING UNIVERSITY OF ZUGDIDI

სამეცნიერო შრომების კრებული

კ რ ე ბ ს ი

Collection of Academic Papers

K R E B S I

N16

ჟურნალის DOI: https://doi.org/10.52340/zssu.2021.08.26

თბილისი/ Tbilisi
2024

ISSN 2720-8559
E-ISSN 2960-9755

Chairman of the Academic-Editorial Board Teona Khupenia
Academic-Editorial Board:
Zaal Kortua, Bela Mosia, Larisa Tirkia, Ketevan Lataria, Gela Svirava,
Nino Makatsaria, Devi Khvedeliani, Nato Kobuladze, Lasha Narsia,
Enver Arveladze, Revaz Khaindrzva
Editor of the Volume Khatuna Gogia
Consultant: John Jeb Mcneil

სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე – თეონა ხუფენია
სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო: ზაალ ქორთუა, ბელა მოსია,
ლარისა თირქია, ქეთევან ლატარია, გელა სვირავა, ნინო მაქაცარია,
დევი ხვედელიანი, ნატო ქობულაძე, ლაშა ნარსია, ენვერ არველაძე,
რევაზ ხაინდრავა

შინაარსი

განათლება / Education

იზოლდა ჩხობაძე, სოფიო მორალიშვილი/ Izolda Chkhobadze, Sophio Moralishvili
ინოვაციური მეთოდები კითხვის უნარის სწავლებისას / Innovative Methods in Teaching Reading Skills.....5

დალი ბერანძე, ნატო ქობულაძე / Dali berandze, Nato Kobuladze
უნივერსიტეტების თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან დაწევა-დაჩქარების კურიკულუმის დანერგვის ფარგლებში / Cooperation of Universities with Public Schools within the Framework of the Implementation of the Acceleration-deceleration Curriculum…….....…14

მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი / Maya Soselia, Tamar Rostiashvil
საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური და მარკეტინგული მიზნები / Financial and Marketing Goals of Educational Institutions…….....…….....25

ბიზნესის ადმინისტრირება/ Business Administration

გელა სვირავა, გიორგი სვირავა / Gela Svirava, Giorgi Svirava
კოვიდ - 19-ის გავლენა საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ეკონომიკაზე / The impact of Covid-19 on the Economy of Georgia and its Neighboring Countries.....31

ლაშა ნარსია / Lasha Narsia
ციფრული მარკეტინგი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი / Digital Marketing is a Determining Factor of Business Competitiveness 56

ნინო მაქაცარია / Nino Makatsaria
დრო, როგორც ეკონომიკური რესურსი და სოციალური ფენომენი /Time as an Economical Esource and a Social Phenomenon.....68

შორენა პაჭკორია/ Shorena Pachkoria
ბიზნეს - რისკები შეფასება და მართვა / Business - Risk Assessment and Management.....79

სოციალური მეცნიერებანი/ Social Sciences

გიული ეხვაია / Giuli Ekhvaia
მუნიციპალური ბიუჯეტი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები / Municipality Budget and Persons with Disabilities…….....……90

სამართალი / Low

ნუგზარ სარია/ Nugzar Saria
მხარეთა საპროცესო თანასწორობა / Procedural Equality of the Parties…….....…102

საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი/ Natural Science

ლარისა თირქია / Larisa Tirkia
ინტროდუცირებული ორნაკვთიანი გინგკოს (Ginkgo biloba) მორფო-ბიოლოგიური თავისებურებანი და სამკურნალო თვისებები / Ginkgo Biloba Morpho-biological Features and Healing Properties.....113

ჯანდაცვა/Healthcare

ენვერ არველაძე, მარინე ქვარაია, მარიამ პაჭკორია, ბადრი ნანეიშვილი
/ Enver Arveladze, Marine Kvaraia, Mariam Pachkoria, Badri nanishvili
ქ. ზუგდიდის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიური ციკლი / Technological Cycle of Zugdidi Wastewater Treatment Plant.....120

ბადრი ნანეიშვილი, ენვერ არველაძე, ქეთევან ლატარია / Badri Naneishvili, Enver Arveladze, Ketevan Lataria
მცირედიშავიზღვისეკოლოგიურიპრობლემებიდან/SomeofTheEcological Problems of the Black Sea……132

განათლება / Education

იზოლდა ჩხობაძე, სოფიო მორალიშვილი

ინოვაციური მეთოდები კითხვის უნარის სწავლებისას

აბსტრაქტი: ამჟამად, როდესაც მსოფლიო განვითარების ახალ ფაზაში შედის, უზარმაზარი ტრანსფორმაციები ხდება სასწავლო მეთოდებსა და პრაქტიკაში. ყველა მასწავლებელს სურს გამოიყენოს ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისი ნაზავი დღევანდელი სტუდენტების მოსაზიდად და სწავლების ეფექტურობის გასაუმჯობესებლად. ამ მიზეზით აღმოცენდა შერეული სწავლება ან „გაძლიერებული სწავლება“. ეს არის მეთოდი, რომელიც ავსებს და აფართოებს ტრადიციულ ფორმალურ განათლებას, გულისხმობს ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე დაფუძნებული ახალი ციფრული მედიის გამოყენებას პრაქტიკაში.

*სტატიის მიზანია დავინახოთ **საქართველოში ინგლისურის, როგორც მეორე ენის** სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები სწავლების თანამედროვე მეთოდების ჭრილში და წარმოვადგინოთ შესაძლებლობები, თუ როგორ გავხადოთ ანალიზური კითხვა სტუდენტებისათვის სახალისო და მამოტივირებელი თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.*

სტატიაში ასევე გთავაზობთ ბლოგებისა და ვებსაიტების მიმოხილვას, თუ რატომ არის სასურველი მათი გამოყენება სწავლებაში, მოცემულია რამდენიმე პრაქტიკული რჩევა** , როგორ უნდა გამოვიყენოთ ისინი. **სტატიაში ასევე წარმოდგენილია ქართული და ინგლისური ენის მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, რომლებიც კითხვის სწავლებისას ბლოგებს უკვე იყენებდნენ.

*საკვანძო სიტყვები: **გაძლიერებული სწავლება, ანალიტიკური კითხვა***

Izolda Chkhobadze, Sophio Moralishvili

Innovative Methods in Teaching Reading Skills

Abstract: As the world is entering a new phase of development enormous transformations are currently taking place in learning paradigms and practices. Every teacher wants to use the appropriate mix of innovative training technologies and methodologies to attract today's students and to enhance the effectiveness of teaching. For that reason, blended learning or „Augmented Learning" has appeared. Augmented learning describes learning that „augments or extends the traditional formal education, blending into it and using the new digital media based on the internet and social Media. The aim of the paper is to present augmented reality for the future blended education and to look at blogging while teaching English as a second language in Georgia. Blogging is becoming increasingly popular as a language learning tool throughout the world recently. The article gives an overview of blogging websites, suggests why you might want to use them, and gives some practical advice on setting up blogs for use with your own classes. The article also presents findings from the survey about utilizing blogs by Georgian English Language Teachers while teaching reading.

Tags: augmented reality augmented teaching, analytical reading.

ინგლისური ენის სწავლებაში კითხვის უნარ-ჩვევების დაუფლებას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. სტატიის მიზანია დავინახოთ მის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები სწავლების თანამედროვე მეთოდების ჭრილში, და წარმოვადგინოთ შესაძლებლობები თუ როგორ გავხადოთ ანალიზური კითხვა სტუდენტებისათვის სახალისო და მამოტივირებელი თანამედროვე კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით.

დღეს აუდიტორიაში სტუდენტთა მეტი რაოდენობა იყენებს თანამედროვე ციფრულ ტექნოლოგიებს სწავლის პროცესში. მასწავლებლის მოვალეობაა მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს მათ გამოყენებას კითხვის სწავლების დროს.

საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე პრობლემები, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების ინგლისური ენის

სწავლების ინტეგრაციასთან არის დაკავშირებული, მრავალი გამოწვევის წინაშე აყენებს როგორც მასწავლებელს, ასევე ენის შემსწავლელს. გაკვეთილის ჩატარების მრავალფეროვანი, ახალი მეთოდების ციფრული საშუალებების გამოყენებას მივყავართ ზოგჯერ მასწავლებლისა და სტუდენტის როლების შეცვლამდე, ტრადიციული საშინაო დავალებების უარის თქმამდე, „შებრუნებულ საკლასო ოთახამდე„. სანამ ეს სხვაობა ძველსა და ახალ მეთოდს შორის თვალსაჩინო იქნება, აუცილებელია მსჯელობა, კამათი, ფიქრი იმაზე, რომელი ინოვაციაა მისაღები, რომელია უფრო მართებული.

სტატიის მიზანს თუ დავუბრუნდებით, კითხვის ასპექტი ერთ-ერთი ძირითადი ჩვევაა ენის სრულყოფილად დაუფლებისათვის, ის ძირითადი და მნიშვნელოვანი საშუალებაა ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, შეისწავლოს და კომუნიკაცია დაამყაროს ინგლისურ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებასთან, როგორც აკადემიურ, ასევე არააკადემიურ დონეზე. კითხვის როლი არაფორმალურ საგანმანათლებლო სისტემაში და თვითგანვითარებისას განისაზღვრება როგორც შემსწავლელის პიროვნული განვითარება, რომლის ეფექტური გამოყენება აუმჯობესებს მის მიღწევებს და წარმატებებს ცხოვრების მანძილზე (ანდერსონი 1999). ასევე, ნებისმიერ აკადემიურ სფეროში, ცოდნის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დასაუფლებლად, სტუდენტს სჭირდება კითხვის ჩვევების დაუფება ინგლისურში, რადგან უდავოა, რომ ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჩვევაა იმათთვის, ვინც ინგლისურ ენას როგორც მეორე, ანუ უცხოურ ენას ეუფლებიან. სტრევენსი (1977) ხაზს უსვამს კითხვის მნიშვნელობას შემდეგი ორი მიზეზიდან გამომდინარე.

1. კითხვა შემსწავლელს აძლევს შესაძლებლობებს წვდომა ჰქონდეს დიდი რაოდენობით ენობრივ მასალასთან და 2. ის სთავაზობს შემსწავლელს განათლების ამოცანის მიღწევის ყველაზე უსაფრთხო გზას. იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისურად არ საუბრობენ, კითხვა ყველაზე იოლად მიღწევადი ჩვევაა (დაბინი, 1982).

ინგლისურ ენას თუ განვიხილავთ იმ კონტექსტში, რომ ის არაოფიციალური ენაა, რომელზედაც საზოგადოებაში იშვიათად საუბრობენ, ინგლისური მასმედია არ არის პრივილეგირებული ისე როგორც იმ ქვეყნებში, სადაც ინგლისური მეორე ენაა, კითხვა უცხო

ენის დაუფლების საქმეში უდიდეს როლს ასრულებს და მიჰყავს შემსწავლელი ენის დაუფლების მცდელობის რთულ ბილიკებზე, აწვდის მას დიდი რაოდენობით მასალას. ასე რომ, კითხვის უნარ-ჩვევების კვლევა და შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოში, სადაც ინგლისური, როგორც უცხო ენა ისე ისწავლება.

კითხვისას ზოგიერთი მკითხველი აწყდება მთელ რიგ სირთულეებს, რომლებიც აფერხებს მის მიერ ტექსტის გაგებას, აღქმას და შედეგად მის პროგრესს. ასეთ სუსტ წერტილებზე ყურადღების გამახვილება, მათი შეცნობა ასეთი წარუმატებელი მკითხველისათვის არის უდიდესი დახმარება, გადალახოს სიძნელეები, აღიქვას ტექსტი სათანადო დონეზე. კითხვის ტექნიკის სხვადასხვა ტიპის სწავლება, რაც გაზრდის ტექსტის აღქმას უდაოდ საჭიროა. ასევე, ხშირია, შემთხვევა როცა ასეთი მკითხველი ირჩევს არაეფექტურ და უვარგის სტრატეგიებს ხანმოკლე სტრატეგიის განზრახვით (ვუდი 1998). ამრიგად, ჩვენი მთავარი პრობლემა, როცა კითხვის სირთულეებზე ვსაუბრობთ, არის სტრატეგიული ცოდნის ნაკლებობა, ან სულაც მათი არცოდნა, შემსწავლელებმა არ იციან როდის და როგორ გამოიყენონ ისინი.

ამ პრობლემიდან ერთ-ერთ გამოსავლად გვესახება მისი გადალახვა ცნობიერების ამაღლების აქტივობებით. მიზანმიმართული, კოგნიტური ვარჯიში, რომელსაც მკითხველი გამოიყენებს კითხვისას ტექსტის უკეთ აღქმისათვის, სათანადო ტექნიკის დახმარებით განისაზღვრება, როგორც კითხვის სტრატეგია. იყო კარგი მკითხველი, ნიშნავს, იცოდე ეს სტრატეგიები და შეამოწმო კითხვის გაგების პროცესი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კითხვის სტრატეგიაზე ყურადღების გამახვილება რა თქმა უნდა აუმჯობესებს კითხვის უნარს, მაგრამ ის არ მიგვაჩნია კითხვის სწავლების უნივერსალურ საშუალებად.

ბევრი მკვლევარი კითხვის კომპონენტებს სხვადასხვაგვარად ჰყოფს. ფაქტიურად მისი მრავალნაირი განსაზღვრება არსებობს, მაგრამ შემდეგ სამ ძირითად კომპონენტზე ვამახვილებთ ყურადღებას, რასაც კითხვის პროცესი შეიცავს (1) ასოებისა და სიტყვების აღქმა, (2) ტექსტის გაგება და (3) ახალი ტექსტის აღქმა და მისი ინტეგრაცია მკითხველის ცოდნასთან და ახალი ინფორმაციის შექმნა (ჰამრა და სიატრინა 2010). კითხვისას

სტუდენტს ინტერაქცია აქვს ნაბეჭდ მასალასთან უნდა დააკვირდეს, ინტერპრეტირება და შეფასება გაუკეთოს მას. ტექსტის მნიშვნელობის მიღების პროცესი სხვადასხვა მკითხველს შორის სხვადასხვა შეიძლება იყოს განსხვავებული ცოდნისა და მიზნიდან გამომდინარე. ეს ყველაფერი მკითხველის გონებაში ხდება სწრაფად, კითხვის ხანგრძლივობა არ არის მნიშვნელოვანი, მთავარი ასპექტი მკითხველის მიერ ტექსტის მნიშვნელობის აღქმაა.

კითხვა ტექსტის გააზრებისათვის შეიცავს ურთიერთობას მნიშვნელობასა და სიტყვის სიმბოლოს შორის, შესაბამისი მნიშვნელობის არჩევანს კონტექსტზე დაყრდნობით, მის ორგანიზაციას, არგუმენტების დასმასა და იდეის განსაზღვრას. ტექსტის გააზრება ასევე დამოკიდებულია ძირითად კოგნიტურ ფონურ ცოდაზე, ლექსიკის კონცეპტის და ენის ფლობაზე. ბევრი მეცნიერი (ჰარმა და სიატრინა 2010) მიიჩნევს, რომ ტექსტის გააზრებას აქვს სამი დონე: 1) სიტყვასიტყვითი გააზრება (სტრიქონებით კითხვა), 2) თანდათანობითი გააზრება (სტრიქონებს შორის კითხვა 3) კრიტიკული გააზრება (სტრიქონებს მიღმა კითხვა). ზოგიერთ მეცნიერს ასევე მიაჩნია, რომ არსებობს კითხვის კიდევ ერთი დონე კრეატიული გააზრება, ეს არის ინფორმაციის მიღების და ემოციურად გამოხატვის უნარი.

პირველ დონეზე მკითხველს შეუძლია გადმოგვცეს ტექსტის მთავარი მესიჯი, უნარი რომელიც საჭიროა ამ დონისათვის. შემდეგია მისდიო მოვლენათა განვითარებას, დაიმახსოვრო ფაქტები, შეიცნო მთავარი იდეა, და იცოდე ტექსტის სტრუქტურა. მეორე დონეზე მკითხველს მოეთხოვება ინფორმაციების ინტეგრირება, დასკვნის გამოტანა, და რაც მთავარია ცოდნა იმისა, თუ რას ფიქრობს თვითონ და რას გულისხმობს მწერალი. კრიტიკულ დონეზე მკითხველს მოეთხოვება გამოიყენოს არსებული ინფორმაცია ახალი ინფორმაციის და იდეების შესაქმნელად. მკითხველი კითხულობს სტრიქონებს შორის რათა მეტი ახალი ინფორმაცია იპოვოს.

ყველა ლექტორი თუ მასწავლებელი, რომელიც პასუხისმგებელია თავისი სტუდენტების კითხვითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-გაუმჯობესებაზე უნდა კარგად ესმოდეს კითხვის რაობა, იცოდეს კითხვის პროცესი და სტრატეგიები, უნდა შეეძლოს ამ ცოდნის გადაცემა სტუდენტებზე და დახმარება, რომ სწორად აღიქვან

ტექსტი. ისინი სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, მათ გარეშე ეს პროცესი არ იქნება სრულყოფილი.

სტუდენტები დაინტერესებული და მოტივირებული არიან წაიკითხონ. მეორე მხრივ, მათ კითხვის ინტერესი და მოტივაცია არა აქვთ, იმიტომ რომ, მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა ვინმე დახმარებოდათ, მხარი დაეჭირათ იმ პრობლემების გადაჭრაში, რასაც კითხვის დროს წააწყდნენ.

იყო კარგი მკითხველი ნიშნავს ხანგრძლივი სწავლების პროცესს განმტკიცებულს მთელი რიგი სავარჯიშოებით. ტექსტის საშუალებით კომუნიკაცია მოიცავს აზროვნების პროცესს, სადაც მკითხველს უწევს მოახდინოს ტექსტის შეფასება, ინტერპრეტირება, წინასწარმეტყველება და შეჯამება. ატკინსონი (1985) მკითხველთა სამ ძირითად კატეგორიას გამოყოფს: 1) დამოკიდებული მკითხველი, 2) დამოუკიდებელი მკითხველი, 3) იმედგაცრუებული მკითხველი. დამოუკიდებელ მკითხველთა 80%-დან 100%-მდე ტექსტის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს სწორად პასუხობს, დამოკიდებელ მკითხველთა 60-70%-მდე, ხოლო იმედგაცრუებულ მკითხველთა შესაძლებლობა 60%-ზე დაბალია. კარგი მკითხველის ჩამოსაყალიბებლად ზემოთ ნახსენებ ციფრულ ტექნოლოგიებს შორის ერთ-ერთი ადგილი უჭირავს ციფრულ მედიას, როგორიცაა ბლოგი. ბლოგები სულ უფრო აქტუალური ხდება ენის სწავლების პროცესში, რადგანაც სწავლება მხარდაჭერილი იქნება სტუდენტი მეგობრობის, სწავლებაში ჩართული მთელი გუნდის მიერ.

რა არის ბლოგი? ბლოგი არის ინტერნეტში განთავსებული საიტი, ძირითადად მთავარი გვერდი, რომელსაც თავისი ავტორი (მწერალი) ჰყავს. მექინთოში (2005) შემდეგნაირად განმარტავს მას: ისტორიულად „ვებლოგი“ ანუ „ბლოგი“ მოკლედ, წარმოადგენს მუდმივად განახლებად პოსტს, განთავსებულს კომპიუტერის ეკრანზე ქრონოლოგიურად, მკითხველთა კომენტარებით, კითხვებით და მოსაზრებებით, დამახასიათებელი წერის მანერით. ბლოგი იწერება ერთი რომელიმე ინდივიდის მიერ, რომელიც თავის ნააზრევს გადმოგვცემს ზოგადად და მსუბუქი „სასაუბრო“ სტილით.

ვილიამ დე ჯოკობსის (2004) მიხედვით „ბლოგები“ განვითარდა კომუნიკაციის სხვა ფორმებთან ერთად, როგორც უფრო მოსახერხებელი პროდუქტი“. სხვა მკვლევარი ბლოგებს ჟურნალისტურ სტილთან აკავშირებენ და აღნიშნავენ რომ „როგორც

ჟურნალი, ბლოგი მუდმივად განახლებადი წყაროა, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება და იხვეწება შინაარსით. ამ ინფორმაციის მისაწვდომობა შესაძლებელია მარტივი კალენდრის მეშვეობით, რომელიც მონიშნავს თარიღს, სადაც ეს ჩანაწერი გაკეთდა“. სხვები „ბლოგს“ მიიჩნევენ, როგორც „წყებას“, რომელიც ონლაინ ჩანაწერებში გამოჩნდა და მანამ, სანამ რომელიმე აკადემიურ და რჩეულ ჟურნალებში აღმოჩნდება, მას აქვს უნარი ჩაითრიოს ხალხი ერთობლივ აქტივობაში, ცოდნის გაზიარებასა და დებატებში“.

ანალიზური კითხვის კურსი ბლოგების გამოყენების მრავალი ექსპერიმენტის შესაძლებლობას იძლევა. ჩვენ მაგალითად, კურსი სამ საფუხურად დავყავით. პირველ საფეხურზე სტუდენტები ინდივიდუალურად კითხულობენ საკითხავ მასალას, რომელიც მასწავლებლის მიერ არის შერჩეული. მაგ.: Sybil Marcus- ის „A World of Fiction, Twenty Timeless Short Stories“.

აუდიტორიაში სტუდენტები პასუხობენ ტექსტის ირგვლივ დასმულ კითხვებს და წაკითხული მასალის შესახებ ერთმანეთს თავიანთ აზრებს უზიარებენ. პირველი საფეხურის მიზანიც ეს არის, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს კითხვის პროცესში და მათი გლობალური ცოდნის დონე გაიზარდოს. მეორე საფეხურზე სტუდენტებმა სავარაუდოა წაიკითხონ ლექტორის მიერ შეთავაზებული და ტექსტთან დაკავშირებული სხვა მასალა. შემდეგ აუდიტორიაში ისინი ერთმანეთს უზიარებენ აზრებს, ცნებებს ან საკუთარ გამოცდილებას. მესამე საფეხურზე ყველა სტუდენტს მოეთხოვება წარმოადგინონ თავიანთი ესე და მოსაზრებები წაკითხული ბლოგის დახმარებით. ჩვენი აზრით, ბლოგი ეხმარება სტუდენტებს დისკურსის დროს ჩაერთონ და გამოამჟღავნონ თავიანთი აზრები თემის ირგვლივ.

ყველა ამ საფეხურის გავლის შემდეგ სტუდენტებისათვის ძალიან საინტერესოა შეთავაზება დაწერონ თავიანთი კომენტარები ქმრებისა და ცოლების, სიყვარულის, ღალატის თემატიკაზე ჩვენს მიერ შექმნილი ბლოგისათვის „Adultery“ („ღალატი„), რომელიც ოთხ მოთხრობას აერთიანებს. „Can-can“ by Arturo Virante; „The Story of an Hour“ by Kate Chopin; „The Kugelmass Episode“ by Woody Allan; The Legacy“ by Virginia Woolf. საინტერესოა სტუდენტთა კომენტარები სხვადასხვა თემაზე: „მრუშობა ჩვენს კულტურაში“, „წყვილებს შორის პატიოსანი ურთიერთობა“, „ქორწინება ცუდი გარიგებაა“.... სტიგმა „განქორწინებაზე“ და ა. შ.

ასე რომ, ის ლექტორები, რომლებიც ანალიზური კითხვის ლექციებით არიან დაკავებულნი, აუცილებელია კარგად იცნობდნენ კითხვის სწავლების არსს, სწავლების მეთოდებს, სწავლა-სწავლების, ენის თეორიებს, სწავლების პედაგოგიურ ასპექტს. მათ უნდა მოსინჯონ უამრავი გზა კითხვის მოტივაციის გასაზრდელად.

მიგვაჩნია, რომ ბლოგის გამოყენება კითხვის პროცესში ნამდვილად შედეგს იძლევა. სტუდენტები უკეთ ინტერპრეტირებენ და აფასებენ მასალას, უკეთ აკვირდებიან ტექსტს, წინასწარმეტყველებენ ტექსტის განვითარების ხაზს. აქტიურად მონაწილეობენ საკლასო განხილვებში და დიდი ენთუზიაზმით წერენ კომენტარებს ბლოგებზე. ზოგადად, კი იზრდება მათი კრიტიკული და კრეატიული აზროვნება.

ლიტერატურა:

Anderson, N.J. (1999*). Exploring Second Language Reading*: Issues and Strategies. Boston:

Heinle & Heinle Publishers.

Atkinson, R. H., & Longman, D. G. (1985). *Reading enhancement and development*. NY: West Publishing Company.

Dubin, F. (1982). *What every EFL teacher should know about reading*. English Teaching Forum, 20, 14-16.

Hamra, A., & Syatriana, E. (2010) *A model of teaching reading comprehension for junior and senior high school, Makassar:* Makassar State University Press.

McIntosh, E. (2005). *From learning logs to learning blogs. Scottish Centre for Information on Language Teaching and Research.* Retrieved on September 29, 2007, from http://www.scilt.stir.ac.uk/SLR/Current%20Issue/SLR13%20McIntosh.pdf

Strevens, P. (1977). *New Orientations in the Teaching of English*. London: Oxford University Press.

Williams, J., & Jacobs, J. (2004). *Exploring the use of blogs as learning spaces in the higher education sector.* Australian Journal of Educational Technology, 20(2), 232-247. Retrieved on September 25, 2007, from http://www.jeremywilliams.net/AJETpaper.pdf

Wood, E., Motz, M., & Willoughby, T. (1998). *Examining students' retrospective memories of strategy development*. Journal of Educational Psychology, 90(4), 1-7.

Moralishvili S., Shevardnadze Kh., Tkeshelashvili R., *Towards Critical Thinking and Its Perception in Georgia (Tbilisi Open Teaching University Case)*

http://journals.euser.org/index.php/ejms/article/view/4318-12/23/2019

Moralishvili S., Akhvlediani M., *Exploring Teaching Profession Challenges in Georgia*

https://euser.org/icss18en/forum/thread.php?code=ED-0F9593E259B4D5-12/23/2019

დალი ბერანძე, ნატო ქობულაძე

უნივერსიტეტების თანამშრომლობა საჯარო სკოლებთან დაწევა-დაჩქარების კურიკულუმის დანერგვის ფარგლებში

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სკოლებისა და ადრეული განათლების დაწესებულებების თანამშრომლობის გაძლიერების პრაქტიკა.

2021 წლის ოქტომბერში გაეროს ბავშვთა ფონდმა დაიწყო ტრენინგების/სემინარების სერიის ჩატარება ცხრა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის (27 მონაწილე) ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ბავშვების სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და ძალადობისგან თავისუფალ გარემოში სწავლის ხელშეწყობისათვის.

სტატია აანალიზებს ტრენინგების/სემინარების მთავარი ფოკუსებს, რომელიც ეხება დაწევისა და დაჩქარებული სწავლების კურიკულუმს (ადაპტირებული კურიკულმი) განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის პროგრამებისთვის, სწავლების უნივერსალურ დიზაინსა და სწავლების უფრო მეტად ინდივიდუალიზირებული მიდგომების გამოყენებაზე ადაპტირებული კურიკულუმის მიხედვით. გარდა ამისა, კურსის ფარგლებში უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მიერ გაცნობიერებულ ისეთ საკითხებს, როგორიცაა კურიკულუმის დანერგვის სტრატეგიები, CK-12 პლატფორმა, უსაფრთხო სასწავლო გარემო და პოზიტიური აღზრდა. პროექტი განხორციელდა სამეგრელოსა და იმერეთის 15-15 საჯარო სკოლაში და მასში ჩაერთული იყო 45-45 წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებების მასწავლებლები.

საკვანძო სიტყვები: ინკლუზიური განათლება, ადაპტირებული კურიკულუმი

Dali berandze, Nato Kobuladze

COOPERATION BETWEEN UNIVERSITIES AND PUBLIC SCHOOLS WITHIN THE FRAMEWORK OF ACCELERATION-DECELERATION CURRICULUM IMPLEMENTATION

Abstract:The article focuses on strengthening a university's capacity to support inclusive preschool and general education. The cooperation of international organizations, universities, schools and early education institutions plays an important role in the modern educational system.

In October 2021, UNICEF launched a series of training seminars for academic staff from nine universities on issues related to inclusive education, improving children's learning outcomes and promoting learning in a violence-free environment.

The article analyzes the seminar's themes of drop-in and accelerated.... etc) The main focus of the trainings/seminars was on drop-in and accelerated learning curriculum (or, adapted curriculum) for second chance education programs, universal instructional design and the use of more individualized teaching approaches according to the adapted curriculum. Within the framework of the course, university academic staff learned about such issues as curriculum implementation strategies, the CK-12 platform, safe learning environments and positive parenting.

Tags: Inclusive education, adapted curriculum.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში მნიშვნელოვანი როლი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციების, უნივერსიტეტების, სკოლებისა და ადრეული განათლების დაწესებულებების თანამშრომლობას. განსაკუთრებით აღსანიშნავია უნივერსიტეტების შესაძლებლობების გაზრდა საჯარო სკოლებთან თანამშრომლობის სახით, სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებისა თუ ინიციატივების ფარგლებში.

ბოლო წლებში არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა განხორციელდა საქართველოში ინკლუზიური განათლების სფეროში, განსაკუთრებით ზოგადსაგანმანათლებლო დონეზე,

თუმცა, მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება სკოლის მასწავლებლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების პერსონალის კომპეტენციები ინკლუზიური განათლების მიდგომებისა და სტრატეგიების პრაქტიკაში გამოყენების თვალსაზრისით. საერთო საკლასო/საერთო ჯგუფური აქტივობები ხშირად ხდება უინტერესო და უსარგებლოა მრავალი სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისთვის, რომლებიც ირიცხებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში/სკოლამდელ დაწესებულებებში, რადგან ეს აქტივობები არ არის მორგებული მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე. ამრიგად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა სრულად და ეფექტურად ჩაერთონ სასწავლო პროცესში. რეგიონულ უნივერსიტეტებს აქვთ პოტენციალი, ხელი შეუწყონ ინკლუზიურ განათლებას როგორც სკოლამდელ, ასევე სკოლის დონეზე, სკოლამდელი დაწესებულებებისა და სკოლების მასწავლებელთა და მენეჯერების შესაძლებლობების განვითარების გზით.

მნიშვნელოვანია უნივერსიტეტების შემდგომი გაძლიერება ამ სფეროში, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს, სასიცოცხლო როლი შეასრულონ სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების გაუმჯობესებაში, მომავალი და მოქმედი პრაქტიკოსების მომზადება-გადამზადების გზით სკოლამდელ და სკოლის საფეხურზე.

ამჟამად, საქართველოს უნივერსიტეტებში, მასწავლებლის მომზადების პროგრამებზე, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული საკითხები ისწავლება ცალკე სასწავლო კურსებად, თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, როგორც მომავალ, ასევე, მოქმედ მასწავლებლებს უჭირთ ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული სხვადასხვა კურსებიდან მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, განსაკუთრებით, კონკრეტული საგნის (მაგ. მათემატიკა, ისტორია და ა.შ.) სწავლებისას. მათ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ასწავლონ მოსწავლეთა მრავალფეროვან ჯგუფს, ან მოსწავლეებს, რომელთაც აკადემიური საჭიროებები აქვთ გარკვეული სოციალური პირობების გამო.

ამ გამოწვევის საპასუხოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინიტრომ UNICEF გაეროს ბავშვთა ფონდის ჩართულობითა და მხარდაჭერით შეიმუშავა დაწევისა და დაჩქარებული სწავლების

კურიკულუმი (ადაპტირებული კურიკულუმი), რომლის საფუძველზე ხელმისაწვდომი გახდა განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა/შანსი აკადემიური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის. როგორც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ასევე, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა, 2021 წლის 29 ნოემბერს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ინიცირებულ შეხვედრაზე დაადასტურა თავისი პოზიცია, უნივერსიტეტები ჩაერთონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში, რაშიც მათ მხარს დაუჭერს გაეროს ბავშვთა ფონდი.

2022-2023 სასწავლო წელს რეგიონულ უნივერსიტეტებში, ბავშვის უფლებების ცენტრის ფარგლებში განხორციელდა პროექტი - „უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად„. პროექტი მიზნად ისახავდა გაეძლიერებინა უნივერსიტეტების შესაძლებლობები, გამოეყენებინათ და ხელი შეეწყოთ ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული მეთოდოლოგიისა და სტრატეგიების დანერგვისთვის სხვადასხვა აქტივობებსა და სერვისებში, მომავალი და მოქმედი მასწავლებლების უწყვეტი განვითარების პროცესის შეთავაზების გზით. პროექტის მიზანს წარმოადგენდა ასევე, უნივერსიტეტისა და ბავშვის უფლებათა ცენტრის ინსტიტუციური და აკადემიური პერსონალის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ადვოკატირების გაწევა და უნივერსიტეტის მხარდაჭერა, გახდეს ტრენინგის სერვისის მიმწოდებელი ინკლუზიურ განათლებაში.

პროექტში „უნივერსიტეტის შესაძლებლობების გაძლიერება ინკლუზიური სკოლამდელი და ზოგადი განათლების მხარდასაჭერად„- ჩაერთო საქართველოს 7 სახელმწიფო უნივერსიტეტი. თითოეულმა უნივერსიტეტმა შეარჩია და ითანამშრომლა რეგიონის 15 საჯარო სკოლასთან და შეარჩია 45 ქართულის, მათემატიკისა და სპეციალური მასწავლებელი (თითოეული სკოლიდან 3 მასწავლებელი წიგნიერების, რაოდენობრივი წიგნიერებისა და ინკლუზიური განათლების მიმართულებით).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან პროექტში მონაწილეობას ღებულობდა იმერეთის 15 საჯარო სკოლა: ქუთაისის

№5, №9, №12, №15, №17, №19, №29, №32, №33, №37, წყალტუბოს № 1 და №2, ხონის №1 და №2 და ვანის №2 საჯარო სკოლები.

ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტიდან პროექტში ჩართული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის 15 საჯარო სკოლა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის №1 საჯარო სკოლა, სსიპ - ილია ვეკუას სახელობის აფხაზეთის №11 საჯარო სკოლა, სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №11, №12, №9 , №5, №4, №3, №7 საჯარო სკოლები, სსიპ - მერაბ კოსტავას სახელობის ქალაქ ზუგდიდის №2 საჯარო სკოლა, სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის, კახათის №1, ჭითაწყარის, დარჩელის №1 და ახალკახათის საჯარო სკოლები.

პროექტის ფარგლებში აკადემიურ პერსონალთან, სწავლების უფრო მეტად ინდივიდუალიზირებული მიდგომების გამოყენებაზე ადაპტირებული კურიკულუმის მიხედვით, განხორციელდა შემდეგი სატრენინგო კურსები: კურიკულუმი და მისი დანერგვის სტრატეგიები, სწავლების უნივერსალური დიზაინი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, უსაფრთხო სკოლა, პოზიტიური მშობლობა, წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, საგანმანათლებლო პლატფორმა- CK-12.

ტრენინგების/სემინარების განხორციელების შემდეგ, უნივერსიტეტების აკადემიურმა პერსონალმა შესთავაზა საჯარო სკოლებს აღნიშნული თემატიკის ტრენინგ-კურსები და შემუშავდა სკოლებში დაწევა-დაჩქარების კურიკულუმის დანერგვის სტრატეგია. პარალელურად, დაიწყო პროექტის ფარგლებში გაზიარებული საგანმანათლებლო საკითხებისა და რესურსების ინტეგრირება მასწავლებელთა მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა ,60 კრედიტიანი მასწავლებელთა მომზადების პროგრამა) სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების სილაბუსებში. გაეროს ბავშვთა ფონდის ტრენერები გაეცნენ უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილ განახლებულ სილაბუსებს და შესაბამისი უკუკავშირი მიაწოდეს სასწავლო კურსების განმახორციელებლებს მათი შემდგომი დახვეწისათვის.

პროექტის ფარგლებში აწსუ-დან და ზსსუ-დან წიგნიერებაში, რაოდენობრივ წიგნიერებასა და ინკლუზიურ განათლებაში გადამზადდა იმერეთის რეგიონის რეგიონის 15 საჯარო სკოლის 45 **წამყვანი ფასილიტატორი - (3 მასწავლებელი თითო სკოლიდან), ასევე ზსსუ-დან სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის**

15 საჯარო სკოლის 45 წამყვანი ფასილიტატორი, და 60 აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი და სპეციალური მასწავლებელი იმერეთის, ხოლო 63 აღმზრდელი/აღმზრდელ-პედაგოგი და სპეციალური მასწავლებელი სამეგრელო-ზემო სვანეთის სკოლამდელი დაწესებულებებიდან, რომლებმაც გაიარეს 60 საათიანი ტრენინგ-მოდული ადრეული ინკლუზიური განათლების მიმართულებით. პროექტში მონაწილეობდნენ ასევე ის სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკას გადიოდნენ აღნიშნულ პროექტში ჩართულ სკოლებში. პროექტის ფარგლებში ორივე უნივერსიტეტში განხორციელდა შემაჯამებელი ღონისძიებები, სადაც მოწვეული იყვნენ პარტნიორი სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებების წარმომადგენლები, მშობლები და სტუდენტები. ჩართულმა მასწავლებლებმა პრეზენტაციების სახით წარადგინეს გაწეული სამუშაოს ანგარიში. **პროექტის დასასრულს მასწავლებლებთან განხორციელდა კვლევა. კვლევის მეთოდად შეირჩა ფოკუს ჯგუფი და ანკეტირება. ფოკუს ჯგუფი განხორციელდა მხოლოდ მასწავლებლებთან. კითხვარები გადაეგზავნა სამიზნე ჯგუფებს: პროექტში ჩართული სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს.**

მასწავლებელთა ფოკუს ჯგუფიდან გამოვლინდა, რომ: „ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაცია“, „შევძელი მოსწავლის საჭიროებებისა და შესაძლებლობების უკეთ შესწავლა და მათი გათვალისწინებით რეალურად მისაღწევი მიზნების დასახვა“, „ამაღლდა მოსწავლეების ცნობიერება იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს უსაფრთხო სკოლა და ამისთვის რა როლი ეკისრება თითოეულ მასწავლებელს“, „პოზიტიური მშობლობის ფარგლებში სკოლაში შევქმენით მშობელთა კლუბი“, „უნივერსალური დიზაინის მეთოდით დავგეგმეთ სწავლა-სწავლების პროცესი“, „შევძელი მიზნობრივი და რელევანტური ისგ გეგმის შედგენა“, „სწორად დავსახე მოსწავლის ინდ.გეგმის მიზანი და მივაღწიე შედეგს“, „ტრენინგები გასაგები იყო და გამჭვირვალე, რაც დამეხმარა შედეგის მიღებაში“, „ეფექტიანად ვითანამშრომლეთ წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების მიმართულებების მასწავლებელებმა, დავგეგმეთ ინტეგრირებული აქტივობები კონკრეტულ სსსმ მოსწავლესთან მიმართებაში“, „გამოვიყენე პორტალი-CK-12 და გავუზიარე

კოლეგებს“. ანკეტირებაში პროექტში ჩართული თითო რეგიონის 45 მასწავლებლიდან მონაწილეობა მიიღო 26-მა მასწავლებელმა. მასწავლებლების გამოკითხვიდან გამოვლინდა შემდეგი:







პროექტის დასასრულს განხორციელებული უკუკავშირიდან ირკვევა, რომ მასწავლებლებისათვის საინტერესო იყო პროექტში მონაწილეობა. მნიშვნელოვანი იყო ტრენინგებზე განხილული შემდეგი თემატიკა, რომელიც აქტიურად გამოიყენეს პრაქტიკაში: ადაპტირებული კურიკულუმი, პოზიტიური მშობლობა, უსაფრთხო სკოლა, პორტალი-CK-12, ინდივიდუალური გეგმის შედგენა. გამოკითხულთა

უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება აქტიურად დანერგეს პრაქტიკაში და გაუზიარეს კოლეგებსა და მშობლებს.

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პროექტში ჩართული საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის 45-მა მოსწავლემ. მათი გამოკითხვის შედეგები შემდეგია:







შედეგებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულ პროექტში ჩართულობა. მათგან 45-ვე ამბობს, რომ ძალიან საინტერესო იყო მასწავლებელთა მხრიდან შემოთავაზებული აქტივობები. ასახელებენ შემდეგ საინტერესო თემებსა და აქტივობებს: ელ-პორტალი CK-12, საავტორო სკოლის მოდელის შექმნა, ლექსად თქმული სადღეგრძელო და სხვ. 51 მათგანი ადასტურებს, რომ სამომავლოდ, მსგავსი აქტივობებით სწავლების გაგრძელების სურვილი აქვს. ასევე, მოსწავლეთა აზრით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს დრო მსგავსი აქტივობებისათვის და ყოველ კვირაში დაიგეგმოს 2-3 შეხვედრა.

პროექტის განხორციელების ფარგლებში :

- უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აქტიური და კონსტრუქციული თანამშრომლობა საჯარო სკოლების საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან დაწევა-დაჩქარების კურიკულუმის დაგეგმვა-დანერგვის პროცესში.
- გაძლიერდა უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის შესაძლებლობები ინკლუზიური განათლების მიმართულებით.
- სწავლების უნივერსალური დიზაინისა და დაწევა-დაჩქარების კურიკულუმის დანერგვის ფარგლებში განხილული საკითხები ინტეგრირდა მასწავლებელების მოსამზადებელი

პროგრამების საგნობრივ სილაბუსებსა და სამაგისტრო პროგრამებში

- სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელ-პედაგოგებისა და სკოლის მასწავლებელთათვის მომზადდა და განხორციელდა ტრენინგი ინკლუზიურ განათლებაში, რომლის განხორციელების შედეგად გაანალიზდა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებსა და სკოლებში წარმატებული პრაქტიკა და მიდგომები.
- გაუმჯობესდა უნივერსიტეტის წვდომა ინკლუზიურ და ხარისხიან სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებულ სასწავლო ლიტერატურაზე, ითარგმნა და გამოიცა მნიშვნელოვანი, თანამედროვე ლიტერატურა ადრეული განათლების საკითხებზე.
- გაუმჯობესდა უნივერსიტეტების კვლევითი შესაძლებლობები ინკლუზიური ადრეული განათლების მიმართულებით, გაძლიერდა კომპეტენციები კვლევის განხორციელების და მტკიცებულებების შეგროვების მხრივ, რომლებიც სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს ხელს უწყობს არსებული სერვისების გაუმჯობესებაში.

აღნიშნული თანამშრომლობა გაეროს ბავშვთა ფონდთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან მნიშვნელოვანი გამოცდილება და შესაძლებლობაა, სამომავლოდ გაგრძელდეს თანამშრომლობა სამიზნე ჯგუფებთან განათლების სფეროში არსებული გამოწვევებიდან გამოდინარე, რაც აძლიერებს უნივერიტეტსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის პროფესიულ და შედეგებზე ორიენტირებულ თანამშრომლობას.

ლიტერატურა:

ადრეული ინკლუზიური განათლება. 2021. http://inclusion.ge/res/docs/2019012113455344911.pdf

https://www.unicef.org/georgia/ka

დაწევისა და დაჩქარების კურიკულუმი. 2022. https://elfiles.emis.ge/uploads/

მაია სოსელია, თამარ როსტიაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების ფინანსური და მარკეტინგული მიზნები

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური და მარკეტინგული მიზნები. აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო ბაზრის აღნიშნულ სუბიექტებს უხდებათ ყველაზე აქტიური და მჭიდრო ურთიერთქმედება რეგიონულ მეურნე სუბიექტებთან და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებთან, ამიტომაც საკუთარი მიზნები, მ.შ. ფინანსური, მათ უნდა შეუთანხმონ თავიანთი პარტნიორების მიზნებსა და შესაძლებლობებს რეგიონში.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო დაწესებულება, ფინანსური და მარკეტინგული მიზნები, გასაღებისა და კომუნიკაციის მიზნები, მარკეტინგის სტრატეგიები.

Maya Soselia, Tamar Rostiashvili

Financial and Marketing Goals of Educational Institutions

Abstract: The article examines financial and marketing goals of educational institutions. It is argued that the mentioned entities of the educational institution have the most active and closest interaction with regional agricultural entities and state government bodies. And therefore they need to match their own goals, including financial, to the goals and capabilities of their partners in the region.

Tags: Educational institution, financial and marketing objectives, key and communication objectives, marketing strategies.

შესავალი

მსხვილი უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, სასწავლო უნივერსიტეტები (სპეციალისტთა პროფესიულ მომზადებაზე ორიენტირებული უმაღლესი სასწავლებლები) უმეტეს შემთხვევაში ვერ იქნებიან ბიუჯეტიდან და სამეცნიერო ფონდებიდან თვითკმარი ინვესტიციების იმედად. მისი განვითარებისათვის საჭირო კაპიტალი მათ შეუძლიათ მიიღონ ან მაღალი საბანკო პროცენტით, ან სპონსორებისგან - შენობა-ნაგებობებით, მოწყობილობებით, ტექნოლოგიებით სარგებლობაზე უფლებების, ასევე სპეციალისტთა მიზნობრივი მომზადების სანაცვლოდ. უმაღლესი სასწავლებლების წინაშე დგას დანახარჯების პრაქტიკული ამოგების, მ.შ. გრძელვადიანი დაბანდებების პრობლემა.

მოკლევადიან ფინანსურ მიზნებს ისახავენ საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც იმყოფებიან გადარჩენის ზღვარზე (კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტები და სხვ.) ასევე კოლეჯები (როგორც უმაღლესი სასწავლებლები მოკლევადიანი სასწავლო კურსით) და პროფესიული სასწავლებლები. ამ მიზნებს შორისაა გაყიდვების მოცულობა და თანმხლები მომსახურებების, ე.წ. „ბიზნეს გარემოცვის“ მომგებიანობა.

გასაღებისა და კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა

დაწესებულების ფინანსური და მარკეტინგული მიზნების და შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება საშუალებას იძლევა განისაზღვროს გასაღებისა და კომუნიკაციის მიზნები და აღნიშნული მიზნების მიღწევის სტრატეგიები:

1. გასაღების მიზნები (შეკვეთების მიღება) წარმოადგენს მომსახურებათა მოცულობის მიზნების შემადგენელ ნაწილებს, კომპონენტებს. გასაღების მიზნებს შორის გამოყოფენ *მომსახურებათა რაოდენობრივი* (აბსოლუტური) და *წონისმიერი* (ფარდობითი) *განაწილების* მიზნებს ბაზრის ცალკეული სეგმენტებისა და გასაღების არხების მიხედვით.

2. კომუნიკაციის მიზნები აბსოლუტური და პროცენტული გამოხატულებით აფიქსირებს საგანმანათლებლო დაწესებულების და მისი სმპ-ის *ცნობადობის* საჭირო *ხარისხს, პოტენციური კლიენტების რეკლამით უზრუნველყოფას, მისი ქმედითობის ხარისხს*. (მაგალითად, დროის განსაზღვრულ მონაკვეთში უმაღლესი

სასწავლებლის სმპ-ის მოთხოვნების რაოდენობა და პროცენტი, ან მათ შესახებ ინფორმაცია იმ კლიენტების მხრიდან, რომლებზეც გავრცელდა რეკლამა).

მარკეტინგული სტრატეგიების ტიპოლოგია მოთხოვნის არსებული და პოტენციური თავისებურებების საფუძველზე:

1. თუ არ არსებობს მოთხოვნა, ხოლო პოტენციური მყიდველები გულგრილობას იჩენენ შემოთავაზებული საქონლის (მომსახურების) მიმართ, გამოიყენება ***მასტიმულირებელი მარკეტინგი.*** იგი იგება ასეთი სიტუაციის შესაძლო მიზეზების: მყიდველების მხრიდან პროდუქტის შესაძლებლობების სრულიად არცოდნის, მისი გავრცელების გზაზე კონკრეტული წინააღმდეგობების დაძლევის გათვლით. მასტიმულირებელი მარკეტინგის ძირითადი საშუალებების ფასების მკვეთრი ვარდნა, სარეკლამო-საინფორმაციო მუშაობის გაძლიერება, პროდუქტების უფასო შეთავაზება „გასასინჯად“, დროებით სარგებლობაში.

2. შესაძლებელია სიტუაცია, როცა მოთხოვნა მხოლოდ პოტენციურად არსებობს. იმისათვის, რომ იგი გადაიქცეს რეალობად, გამოიყენება ***განმავითარებელი ანუ კრეატიული მარკეტინგი.*** ამ მიზნებისთვის ხშირად საჭირო ხდება ახალი პროდუქტის შემუშავება, რომელიც უპასუხებს მყიდველთან არსებულ დაძაბულობის მდგომარეობას, საჭიროებას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ხორცშესხმული კონკრეტულ საქონელსა თუ მომსახურებაში. რასაკვირველია, ამისათვის საჭიროა ბაზრის კარგად ცოდნა, ამასთან, არა მხოლოდ ნივთიერი, სასაქონლო სახით, არამედ იმ პრობლემებთან მიმართებით, რაც გააჩნიათ მომხმარებლებს.

3. თუ ჩამოყალიბდა ნეგატიური მოთხოვნა, როცა ყველა პოტენციური მყიდველი ან მათი უმეტესობა ბაზრის არჩეულ სეგმენტებში ზურგს აქცევს კონკრეტულ საქონელს ან მომსახურებას მიუხედავად მისი ხარისხისა, გამოიყენება ***კონვერსიული მარკეტინგი.*** უმაღლესი სასწავლებლის სმპ-ის ბაზარზე, ბაზრის დიდი სეგმენტები შეიძლება განიცდიდნენ ნეგატიურ მოთხოვნას ადრე შემოთავაზებული მომსახურებების დაბალი ხარისხის, პედაგოგების ან სწავლების ორგანიზატორების მიუღებელი ქცევის შედეგად.

4. მოთხოვნის მერყეობისას პოპულარულია ***სინქრონომარკეტინგი.*** აღნიშნული სტრატეგია მიმართულია მოთხოვნის რყევების მინიმიზაციაზე, იგი ააქტიურებს ფირმისათვის „ხელსაყრელ“ მოთხოვნილებებს და მყიდველთა ქცევის სტილს, ანეიტრალებს ნეგატიურ მოთხოვნებს. მოთხოვნის ცვლილებების რყევებისადმი წინააღმდეგობის ფაზაში ციკლურად იცვლება ფასები ან ანაზღაურების პირობები. სინქრონომარკეტინგის ეფექტიანი საშუალებაა ასევე წინასწარ დაგეგმილი, თანმიმდევრული გადასვლა ბაზრის სხვადასხვა გეოგრაფიულ და სხვა სეგმენტებზე, უფრო ხელსაყრელ პერიოდებში მათი შემდგომი დაბრუნებით.

5. მომწიფებულ ბაზრებზე მოთხოვნა შეიძლება დიდხანს იყოს მდგრადად დაბალანსებული, ზუსტად შეესაბამებოდეს მწარმოებელთა შესაძლებლობებს, საქონლისა და მომსახურებების მწარმოებლებისა თუ გამყიდველების ზრახვებს. თუმცა, ამგვარ სტაბილურ ატმოსფეროში ასევე შეიძლება მოხდეს მოთხოვნის მკვეთრად მოულოდნელი და ამის გამო განსაკუთრებით არასასიამოვნო ვარდნა. ამ სიტუაციაში მისაღებია ***შემანარჩუნებელი მარკეტინგი.*** მის არსენალშია შესრულების სტილის, პროდუქციის დიზაინის სრულყოფა, სერვისის ასორტიმენტის გაფართოება, ფასდაკლებები „ერთგულებისთვის“ (უმაღლესი სასწავლებლის სმპ-ის რეგულარულად შეძენა) და სამომხმარებლო მოთხოვნის სტიმულირების სხვა ფორმები.

6. შემანარჩუნებელი მარკეტინგი უმაღლესი სასწავლებლის სმპ-ის სფეროში არანაირად არ წარმოადგენს სამამულო ბაზრისთვის ქცევის აქტუალურ სტრატეგიას, ვინაიდან იმ შემთხვევაშიც, თუ მოთხოვნა უმაღლესი სასწავლებლის სმპ-ზე დასტაბილურდა (რაც პრაქტიკულად არ შეინიშნება), ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი საკმარისადაა გამოვლენილი. ფიზიკური პირებიც და ორგანიზაციებიც შესაძლოა ჯერ კიდევ არ იყონ ინფორმირებული მათთვის შეთავაზებული შესაძლებლობების შესახებ, ხოლო მათი მოთხოვნილებები არ იყოს აქტუალიზებული. მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილია ***„აგრესიული“ მარკეტინგი.*** მისი არსი მდგომარეობს უმაღლესი სასწავლებლის სმპ-ის პრომოუშენში, გავრცელებასა და რეალიზაციაში.

7. თუ სახეზეა თავისი მოცულობით საგანგებო, ჰიპერტროფირებული მოთხოვნა, რომელიც მნიშვნელოვნად

აღემატება მწარმოებლებისა და გამყიდველების შესაძლებლობებს, ასევე მასობრივად ჩნდება ან შეიძლება წარმოიქმნას ნეგატიური საბაზრო მოვლენები (მაგალითად, აჟიოტაჟური მოთხოვნის ხელოვნურად შექმნა), სერიოზული ორგანიზაციები შეიძლება შეგნებულად წავიდნენ ***დემარკეტინგზე:*** მნიშვნელოვნად გაზარდონ ფასები თავიანთ საქონელსა და მომსახურებებზე, პრაქტიკულად შეწყვიტონ რეკლამა.

დასკვნა**:**

საგანმანათლებლო დაწესებულებები, მისიის დონეზე ადგენენ საბაზრო (მარკეტინგული) მიზნებს:

1. მსმენელთა რაოდენობის გეგმა-დავალების შესრულება.
2. უმაღლესი სასწავლებლის სმპ-ის საბაზრო წილის, ხვედრითი წილის ზრდა (შენარჩუნება) ბაზარზე.
3. *ფასების სასურველი დონეების* მიღწევის უზრუნველყოფა როგორც აბსოლუტური გამოხატულებით, ასევე კონკურენტი უმაღლესი სასწავლებლების სმპ-ის ფასებთან მიმართებით.

მას შემდეგ, რაც დადგინდება დაწესებულების ფინანსური და მარკეტინგული მიზნები და მიღებული იქნება შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებები, შესაძლებელი იქნება გასაღებისა და კომუნიკაციის მიზნების განსაზღვრა.

მარკეტინგული სტრატეგიების ტიპოლოგიური რიგი შეიძლება აიგოს კლასიფიკაციური კრიტერიუმების საფუძველზე. ასეთ კრიტერიუმებს წარმოადგენს მოთხოვნის არსებული და პოტენციური თავისებურებები, უფრო ზუსტად - საბაზრო კონიუნქტურა.

ლიტერატურა:

მაჩაბელი გ., ანდღულაძე ნ., ბრეგვაძე თ., აფხაზავა რ., *„უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე“, განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისოინსტიტუტი*, http://eprints.iliauni.edu.ge/usr/share/eprints3/data/1987/1/Return%20to%20tertiary%20education.pdf, (10.10.2014);

ნარმანია დ. „უმაღლესი განათლების სისტემა საქართველოში“, http://ciesr.org/files/education_georgia_dr_davit_narmania.pdf, (09.10.2014)

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩო– დუბლინის დესკრიპტორი, *კვალიფიკაციების სტრუქტურა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცისათვის,* (2005),http://eqe.gov.ge/res/docs/umaglesiganatl_kvalif_charcho-Dublinisdeskriptorebi.pdf, (13.10.2014);

Котлер Ф., Армстронг Г., Сондерс Дж,, Вонг В. Основы маркетинга. - М, СПб.: Издат. Дом "Вильяме", 2000. - 944 с.; Панкрухин А.П. Маркетинг образовательных услуг в высшем и дополнительном образовании / Учебное пособие, М., Интерпракс, 1995

Котлер Ф. Маркетинг менеджмент / Пер. с англ. Под ред О.А. Третьяк, Л.А. Волковой, Ю.Н. Каптуревского. СПб: Издательство «Питер», 1999. - 896 с: ил.; Панкрухин А.П. Маркетинг образовательных услуг в высшем и дополнительном образовании / Учебное пособие, М., Интерпракс, 1995

Dombrovskis V. ,,*Financing of higher education, why change anything*", http://www.dynamicuniversity.eu/jaunumi/ nancing-of-higher-education-why-change- anything/42/, (16.10.2014);

Estermann T. & Claeys-Kulik A-L. (2013). ,,*Financially Sustainable Universities. Full Costing: Progress and Practice*", Brussels: European University Association;

გელა სვირავა, გიორგი სვირავა

კოვიდ - 19-ის გავლენა საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ეკონომიკაზე

აბსტრაქტი: აღნიშნულია რომ უახლოეს წლების განმავლობაში პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში მწვავედ აისახა კოვიდ - 19 პანდემიის დამანგრეველი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება. გაანალიზებულია პანდემიის პერიოდში საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ეკონომიკებში მიმდინარე პროცესები, აღნიშნულია 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირდა მშპ ქვეყანაში და მის მოსაზღვრე ქვეყნებში, რომელიც მომდევნო წელს მთლიანად კომპენსირებული იქნა უმეტეს ქვეყნებში ადგილი ქონდა ზრდას. გაკეთებულია დავასკვნა, რომ საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნებს თავისებურება საკვლევ პერიოდში მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსიის და ოკუპაციის შემდეგ დაწესებულმა სანქციებმა და 2014-20121 წლებში ნავთობის დაბალმა ფასებმა აგრეთვე 2022 წელს თებერვლში უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული სრულმაშტაბიანი ომის გამო დაწესებული რეკორდული სანქციების გათვალისწინებით შეამცირდაა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების პრესპექტივები, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მთელ რეგიონის განვითარების შესაძლებლობებზე.

გაანალიზებულია საქართველოს მშპ, მშპ რეგიონების მიხედვით, რუსეთის ფედერაციის მშპ, რუსეთის ფედერაციის იმ რეგიონების მშპ, რომელიც ესაზღვრება საქართველოს, მათი ერთ სულ მოსახლეზე მშპ, განხილულია თურქეთის რესპუბლიკის მშპ და ერთ სულ მოსახლეზე მშპ დინამიკაში.

გაკეთებულია დასკვნა, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებში ინტეგრაცია გახდა ის საკვანძო ფაქტორი, რომელმაც შეძლო ბიზნესის მეტ-ნაკლებად ჯანსაღ მდგომარეობაში შენარჩუნება და კოვიდ-19-ის ნეგატიური ეკონომიკური შედეგების გავრცელების პროცესი შემცირება.

ამოსავალი სიტყვები: კოვიდ-19, ციფრული ტექნოლოგიები, მთლიანი შიდა პროდუქტი, ოკუპირებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშპ, რეგიონის მშპ, მთლიანი რეგიონული პროდუქტი, მშპ PPP მიხედვით, მშპ დარგობრივი სტრუქტურა, ქვეყნების მშპ შედარებითი ანალიზი,

Gela Svirava, Giorgi Svirava

THE IMPACT OF COVID-19 ON THE ECONOMY OF GEORGIA AND NEIGHBORING COUNTRIES

Abstract: *Given the context of the devastating socio-economic impact of the Covid-19 pandemic being acutely felt in the entire world, the present study examines the processes taking place in the economies of Georgia and its bordering countries during the pandemic. The article analyzes the fact that in 2020 the GDP of the stated region of study decreased significantly, which was completely compensated the following year, and there was an increase in most countries. Furthermore, the peculiarity of Georgia and its neighboring countries in the research period is impacted by the sanctions imposed on the Russian Federation after the annexation and occupation of territory in Ukraine in 2014 and the low oil prices in 2014-2021, as well as the record high prices imposed by Russia in February 2022 due to the full-scale war in Ukraine. Taking these sanctions into account, the economic development prospects of the Russian Federation have decreased, which certainly has a impact on the development opportunities of the entire region.*

An analysis of GDP of Georgia, GDP by regions, GDP of the Russian Federation, GDP of the regions of the Russian Federation bordering Georgia, GDP per capita, GDP of the Republic of Turkey, and GDP per capita in dynamics are included in the article.

It is concluded that the integration of modern digital technologies has been the key factor in keeping business in a more or less healthy state and reducing the spread of negative economic consequences of Covid-19.

Tags: *Covid-19, Digital technologies, Gross Domestic Product, GDP of the Autonomous Republic of Abkhazia, Regional GDP, Gross Regional Product, GDP by PPP, GDP Sectorial Structure, Comparative Analysis of Countries' GDP.*

უახლოესი წლების განმავლობაში პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში მწვავედ აისახება კოვიდ - 19 პანდემიის დამანგრეველი სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედება. ,,2020 წელს მსოფლიო ეკონომიკა შემცირდა 4.3 პროცენტით რაც ორნახევარჯერ მეტი ვიდრე ეს იყო 2009 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის დროს"[1].

საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების ეკონომიკები 2020 წელს პანდემიის გავლენით მნიშვნელოვნად შემცირდა, თუმცა 2021 წელს მთლიანად კომპენსირებული იქნა წინა წლის ჩავარდნა და უმეტეს ქვეყნებში ადგილი ქონდა ზრდას.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2019 წელს იყო 17.5 მლრდ. დოლარი, 2020 წელს მშპ შემცირდა 1.7 მლრდ. დოლარით ანუ 9.7 პროცენტით, რაც ძირითადად განპირობებული იყო კოვიდით გავრცელებით და მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯებით, ხოლო მომდევნო 2021 წელს კოვიდის შესუსტებისა და მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების წყალობით ქვეყანაში მშპ მოცულობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 2.8 მლრდ. დოლარით და შეადგინა 18.6 მლრდ. დოლარი. 2022 წელს კოვიდის გაუქმებისა და რუსეთ-უკრაინის ომის გამო განვითარებული მოვლენების შედეგად ქვეყნის მშპ წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 მლრდ. დოლარით და შეადგინა 24.6 მლრდ. დოლარი.

დიაგრამა 1.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ. საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2019 წელს იყო 4 696.2, ხოლო 2020 წელს შემცირდა 4 255.7 დოლარამდე. მომდევნო წლებში

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით გაიზარდა 2021 წელს 5 023.2 დოლარამდე, ხოლო 2022 წელს წინასწარი მონაცემებით შეადგინა 6 671.9 დოლარი ანუ წინა წელთან შედარებით ზრდამ შეადგინა 32.8 პროცენტი.

საქართველოს მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2019 წელს შეადგენდა 14 989.26 დოლარს. 2020 წელს შემცირდა და შეადგენდა 13 966.33 დოლარი, 2021 წელს გაიზარდა15 486.66 დოლარამდე, ხოლო 2022 წელს გაიზარდა 17 034.29 დოლარამდე.

მშპ ქვეყნის რეგიონების მიხედვით. მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილება მხარეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამა 2-ში, დროებით ოკუპირებული სამაჩაბლოს რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტი არ არის ასახული დიაგრამაზე ვინაიდან მის მნიშვნელობა არ აღემატება 1 პროცენტს.

დიაგრამიდან ჩანს, რომ ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარი იქმნება დედაქალაქში, რომელიც შეადგენდა 2019 წელს 7.8 მლრდ დოლარი, ხოლო 2021 წლისთვის გაიზარდა 3.8 პროცენტით და შეადგინა 8.1 მლრდ. დოლარი. ქვეყნის მეორე მსხვილი რეგიონი მშპ-ის მიხედვით არის აჭარის არ რომელზეც მოდიოდა 2019 წელს 1.6 მლრდ. დოლარი, რომელიც 2021 წლისთვის თითქმის იმავე დონეზე დარჩა. 2019 წელს სიდიდით მესამე რეგიონი იყო იმერეთი, რომლის მშპ შეადგენდა 1.3 მლრდ. დოლარს, ხოლო 2021 წლისთვის გაიზარდა 13.6 პროცენტით და შეადგინა 1.5 მლრდ. დოლარი. მშპ სიდიდის მიხედვით შემდგომი არის ქვემო ქართლის რეგიონი რომლის ოდენობამ 2019 წელს შეადგინა 1.1 მლრდ. დოლარი, რომელიც 2021 წლისთვის გაიზარდა 18.9 პროცენტით და შეადგინა 1.4 მლრდ. დოლარი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მშპ 2019 წელს შეადგენდა 0.87 მლრდ. დოლარს, ხოლო 2021 წლისათვის გაიზარდა 6.7 პროცენტი და შეადგინა 0.93 მლრდ. დოლარი. 2019 წელს კახეთის რეგიონის მშპ შეადგენდა 0.77 მლრ. დოლარს, ხოლო 2021 წელს გაიზარდა 10.5 პროცენტით და შეადგინა 0.85 მლრდ. დოლარი. 2019 წელს შიდა ქართლის რეგიონის მშპ შეადგენდა 0.6 მლრ. დოლარს, ხოლო 2021 წელს გაიზარდა 7.5 პროცენტით და შეადგინა 0.64 მლრდ. დოლარი. 2019 წლის მაჩვენებლებით ქვეყნის მასშტაბით სიდიდის მიხედვით შემდეგი რეგიონია ოკუპირებული აფხაზეთის არ 0.53 მლრდ. დოლარი, რომელიც 2021 წლისთვის გაიზარდა 6.8

პროცენტით და შეადგინა 0.57 მლრდ. დოლარი. შემდეგი რეგიონი არის სამცხე-ჯავახეთი, რომლის მშპ-ი იყო 0.5 მლრდ. დოლარი, რაც 2021 წლისთვის გაიზარდა 9.3 პროცენტით და შეადგინა 0.55 მლრდ. დოლარი. მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მშპ შეადგენდა 2019 წელს 0.37 მლრდ. დოლარს, ხოლო 2021 წელს გაიზარდა 8.9 პროცენტით და შეადგიან 0.4 მლრდ. დოლარი. გურიის რეგიონის მშპ შეადგენდა 2019 წელს 0.25 მლრდ. დოლარს, ხოლო 2021 წელს გაიზარდა 9.8 პროცენტით და შეადგიან 0.28 მლრდ. დოლარი. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთის რეგიონის მშპ 2019 წელს იყო 92.9 მლნ. დოლარი, ხოლო 2021 წელს 94.4 მლნ დოლარი.

მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით. მშპ ერთ სულზე განაწილება ქვეყნის რეგიონების მიხედვით 2019 წელს მერყეობდა 6.6 -2.2 ათასი დოლარის ფარგლებში. აქ შეიძლება გამოვყოთ 3 ჯგუფი: პირველ ჯგუფში შედის რეგიონები რომელთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე მეტია 5 ათას დოლარზე, აქ შედის დედაქალაქი თბილისი 6 648 დოლარით. მეორე ჯგუფში შედის, რეგიონები რომელთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 3 ათასიდან 5 ათას დოლარამდე, ასეთი ოთხი რეგიონია: აჭარის არ, მცხეთა მთიანეთის რეგიონი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი და რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ამ ჯგუფის მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შესაბამისად შეადგენდა: 4 4301; 3 948.6; 3 295.1 და 3 160.6 დოლარი, ხოლო მესამე ჯგუში შედის რეგიონები რომელთა მშპ ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 3 ათას დოლარზე ნაკლებს. 2019 წლისთვის ასეთი რეგიონების რაოდენობა შეადგენდა 7 რეგიონს: სამეგრელო ზემო სვანეთი 2 788.9 დოლარით; შიდა ქართლი-2 351.2; გურია - 2 360; ქვემო ქართლი -2 639.9; კახეთი - 2 493; იმერეთი - 2 633.8; და დროებით ოკუპირებული აფხაზეთის არ მშპ 2 227.5 დოლარი.

2020 წლისთვის თითქმის ყველა რეგიონში ადგილი ქონდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ შემცირებას გარდა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონისა სადაც ადგილი ქონდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ ზრდას.

2021 წლისთვის ერთ სულ მოსახლეზე მშპ ზრდას ქონდა ადგილი ქვეყნის ყველა რეგიონში და მოხდა აგრეთვე მნიშვნელოვანი ფაქტი ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლა დადებითი კუთხით, კერძოდ მეორე ჯგუ-ფის რაოდენობა ოთხიდან გაიზარდა შვიდამდე, რაც მეტყველებს იმაზე

რომ ქვეყნის რეგიონების მნიშვნელოვან ნაწილში მოხდა შემოსავლების ზრდა. ჯგუფების მიხედვით ასეთი მდგომარეობაა: პირველ ჯგუფში სადაც ერთი სუბიექტი შედის დედაქალაქი მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა და შეადგინა - 6 788.9 დოლარი; მეორე ჯგუფში სადაც შედის შვიდი რეგიონი 2019 წელთან შედარებით 2021 წელს მესამე ჯგუფიდან ამოვიდა სამი რეგიონი, კერძოდ აჭარის არ-ში მშპ ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა უმნიშვნელოდ და შეადგინა 4 246.0 დოლარი, მცხეთა მთიანეთის რეგიონში გაიზარდა 4 331.3 დოლარამდე. იმერეთის რეგიონში გაიზარდა 17.9 პროცენტით და შეადგინა 3 106.9 დოლარი. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში გაიზარდა 6.5 პროცენტით და შეადგინა 3 365,8 დოლარი. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ზრდამ შეადგინა 9.8% და მიაღწია 3 062.8 დოლარს. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ი გაიზარდა 11.8 პროცენტით და შეადგინა 3 684.7 დოლარი. ქვემო ქართლში გაიზარდა 18.2 პროცენტით და შეადგინა 3 120.8 დოლარი.

რაც შეეხება მესამე ჯგუფს აქ სუბიექტების რაოდენობა შემცირდა სამი ერთეულით და შეადგინა ოთხი რეგიონი ამ რეგიონს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ დეპრესიული რეგიონები მათ შორის არის დროებით ოკუპირებული აფხაზეთის არ, რომელშიც მშპ ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე ნაკლებია და შეადგენს 2 368.7 დოლარს. გურიის რეგიონში მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2019 წელთან შედარებით გაიზარდა 12.4 პროცენტით და შეადგინა 2 653.2 დოლარი. კახეთის რეგიონში გაიზარდა 11.9 პროცენტით და შეადგინა 2 791.1 დოლარი. შიდა ქართლში გაიზარდა 9.2 პროცენტით და შეადგინა 2 568.2 დოლარი.

ზემოთ აღნიშნული ანალიზმა აჩვენა რომ ქვეყნის მოსახლეობა არ აქვთ შედარებით თანაბარი შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რაც განპირობებულია მთავრობის მიერ განხორციელებული არაკომპეტენტური ეკონომიკური პოლიტიკით. როგორც ვხედავთ დედაქალაქის ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ი ორჯერ და უფრო მეტად აღემატება უმრავლესობა რეგიონების აღნიშნული მაჩვენებელს.

დიაგრამა 2.



რუსეთის ფედერაციის მთლიანი შიდა პროდუქტი. რფ მშპ 2019 წელს იყო 1 693.1 მლრდ. დოლარი, 2020 წელს შემცირდა 1493.0 მლრდ. დოლარამდე, ხოლო მომდევნო 2021 წლისთვის გაიზარდა 23.0 პროცენტით, ხოლო 2022 წელს რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ომიის გამო გამოწვეული ნავთობზე და გაზზე ფასების ზრდამ განაპირობა რუსეთის მშპ ზრდა 2 240.4 მლრდ. დოლარამდე.

დიაგრამა 3.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ. რფ ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2019 წელს იყო 9 958.47, ხოლო 2020 წლისთვის შემცირდა 9 714.38 დოლარამდე. თუმცა 2021 წელს ისევ გაიზარდა 6.0 პროცენტით და შეადგინა 10 301.67 დოლარი. მომდევნო წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე შემცირდა 2.2 პროცენტით და შეადგინა 10 078.9 დოლარი.

რფ მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2019 წელს შეადგენდა 27 254.57 დოლარს. 2020 წელს შემცირდა 2.5 პროცენტით და შეადგენდა 26 586.55 დოლარი, 2021 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 6.0 პროცენტით და შეადგინა 28 193.83 დოლარი. მომდენი წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 2.1 პროცენტით და შეადგინა 27 584.17 დოლარი.

ინგუშეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 0.98 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 15% და შეადგინა 0.83 მლრდ. დოლარი. შემცირების ტენდენციას ადგილი ქონდა შემდეგ წელსაც და წინა წელთან შედარებით2.4 % შემცირდა და შეადგინა 0.81 მლრდ. დოლარი.

ინგუშეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის ინგუშეთის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 2 273.8 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 15.5 პროცენტით და შეადგინა 1 920.8 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 5.3 პროცენტით და შეადგინა 2 017.5 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ინგუშეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 22.8%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 19.8%. 2021 წელს კი შეადგინა 20.0 %.

დიაგრამა 3.



ინგუშეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 30%-ით წარმოდგენილია სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; განათლება - 12%. სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობას და საბითუმო და საცალო ვაჭრობას ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი - 10-10%. მშენებლობას - 9%, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა 8%. ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა 7%, დამამუშავებელი მრეწველობა - 4%. სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება და კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში 2-2%. ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება, წყალმომარაგება; წყალარინება, ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის ორგანიზება, საქმიანობა დანაგვიანების ლიკვიდაციაზე; ტრანსპორტი და დასაწყობება; ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა; ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები 1-1% დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 3.4 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 8.8% და შეადგინა

3.1 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს თითქმის არ შეცვლილა აღნიშნული მაჩვენებელი და იმავე დონეზე დარჩა.

ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 2 547.7 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 7.9 პროცენტით და შეადგინა 2 345.6 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 2.9 პროცენტით და შეადგინა 2 414.9 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 25.5%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 24.1%. 2021 წელს კი შეადგინა 23.4 %.

დიაგრამა 4.



ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 19%-ით წარმოდგენილია სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; შემდეგ მოდის მშენებლობა და საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი - 14-14%, უძრავ ქონებასთან

დაკავშირებული საქმიანობა 11%, განათლება - 10%, სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა - 9%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა 7%, ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება -4%, ტრანსპორტი და დასაწყობება; და სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა 3-3%, დამამუშავებელი მრეწველობა და ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა 2-2%, სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება და კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში; ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა 1-1%. დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 2.3 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 10.4% და შეადგინა 2.1 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მცირედი ზრდა და მაჩვენებელმა მიაღწია 2.2 მლრდ. დოლარს.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის ჩრდილოეთ ოსეთის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 3 845.5 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 7.1 პროცენტით და შეადგინა 3 573.2 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 11.4 პროცენტით და შეადგინა 3 983.2 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ჩრდილოეთ ოსეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 38.6%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 36.7%. 2021 წელს კი შეადგინა 38.6 %.

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 17%-ით წარმოდგენილია სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; შემდეგ მოდის სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა - 15%, საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი და უძრავ ქონებასთან დაკავშირებული

საქმიანობა 14-14%, დამამუშავებელი მრეწველობა - 7%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა 6%, განათლება; ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება 5- 5%, მშენებლობა და ტრანსპორტი და დასაწყობება 4-4%, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა -3%, სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა -2%, კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში; ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები და პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა და სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება 1-1%, დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

დიაგრამა 5.



ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 2.4 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 12.5% და შეადგინა 2.1 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მცირედი ზრდა და მაჩვენებელმა მიაღწია 2.2 მლრდ. დოლარს.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის ყაბარდო-ბალყარეთის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 3 061.0 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 6.1 პროცენტით და შეადგინა 2 873.0 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 8.4 პროცენტით და შეადგინა 3 111.4 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ყაბარდო-ბალყარეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 30.7%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 29.2%. 2021 წელს კი შეადგინა 30.2 %.

დიაგრამა 6.



ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 18%-ით წარმოდგენილია სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა, შემდეგ მოდის საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი 17%. მშენებლობა

და სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა -11-11%. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა 10%, დამამუშავებელი მრეწველობა -9%, განათლება - 6%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა 5%, ტრანსპორტი და დასაწყობება 3%, ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება და ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა -2-2%, წყალმომარაგება; წყალარინება, ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის ორგანიზება, საქმიანობა დანაგვიანების ლიკვიდაციაზე; სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა; ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა და კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში 1-1%, დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 1.2 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 12.5% და შეადგინა 1.05 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მცირედი ზრდა და მაჩვენებელმა მიაღწია 1.16 მლრდ. დოლარს.

ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის ყარაჩაი-ჩერქეზეთის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 3 039.3 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 6.6 პროცენტით და შეადგინა 2 837.9 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 12.6 პროცენტით და შეადგინა 3 195.6 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ყარაჩაი-ჩერქეზეთის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 30.5%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 29.2%. 2021 წელს კი შეადგინა 31.0 %.

დიაგრამა 7.



ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 15%-ით წარმოდგენილია სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა, შემდეგ მოდის სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა -14%. დამამუშავებელი მრეწველობა -13%, მშენებლობა; საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა 8-8%, განათლება - 6%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა, საფინანსო და სადაზღვეო საქმიანობა 5-5%, ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება -4%, ტრანსპორტი და დასაწყობება 3%, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა, ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა 2-2%, სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება, წყალმომარაგება; წყალარინება, ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის ორგანიზება, საქმიანობა დანაგვიანების ლიკვიდაციაზე; კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის

საქმიანობის სფეროში სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება 1-1%. დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

დაღესტნის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 10.04 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 10.6% და შეადგინა 8.97 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მცირედი ზრდა და მაჩვენებელმა მიაღწია 9.02 მლრდ. დოლარს.

დაღესტნის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის დაღესტნის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 3 564.7 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 7.7 პროცენტით და შეადგინა 3 288.8 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 6.9პროცენტით და შეადგინა 3 517.7 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში დაღესტნის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 35.7%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 33.8%. 2021 წელს კი შეადგინა 34.1%.

დაღესტნის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 21%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, შემდეგ მოდის სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა -17%, მშენებლობა-16%, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა -9%, დამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და დასაწყობება, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა; სოციალური უზრუნველყობა -7 – 7%, განათლება - 5%, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა-4%, სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა-3%, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა - 2%, ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება, ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები; პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა, კულტურის, სპორტის, დასვენებისა და

გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში, სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება, 1-1%, დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

დიაგრამა 8.



ადიღის რესპუბლიკის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 1.73 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 7.5% და შეადგინა 1.60 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მცირედი ზრდა და მაჩვენებელმა მიაღწია 1.64 მლრდ. დოლარს.

ადიღის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის ადიღის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 4 421.8 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 3.2 პროცენტით და შეადგინა 4 277.2 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 16.4 პროცენტით და შეადგინა 4 979.0 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში ადიღის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 44.4%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 44.0%. 2021 წელს კი შეადგინა 48.3 %.

ადიღის რესპუბლიკის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 18%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა, შემდეგ მოდის

დიაგრამა 9.



უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა -16%, დამამუშავებელი მრეწველობა - 15%, სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა - 12%, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა - 8%, მშენებლობა-5%, ტრანსპორტი და დასაწყობება, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა, განათლება - 4-4%, ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები -3%, ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა -2-2%, სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება, წყალმომარაგება; წყალარინება, ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის ორგანიზება, საქმიანობა დანაგვიანების ლიკვიდაციაზე; სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების

ობიექტების საქმიანობა; კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში, სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება, 1-1%, დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

კრასნოდარის მხარის მშპ. რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი აშშ-ს დოლარებში შეადგენდა 2019 წელს 36.6 მლრდ. დოლარს, რომელიც 2020 წლისთვის შემცირდა 12.0% და შეადგინა 32.2 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მცირედი ზრდა და მაჩვენებელმა მიაღწია 34.1 მლრდ. დოლარს.

კრასნოდარის მხარის მშპ ერთ სულ მოსახლეზე. 2019 წლისთვის კრასნოდარის მხარის მშპ ერთ სულზე გაანგარიშებით აშშ დოლარებში შეადგენდა 7 044.0 დოლარს. საკვლევი მაჩვენებლები 2020 წლისთვის წინა წელთან შედარებით შემცირდა 7.6 პროცენტით და შეადგინა 6 509.1 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით ერთ სულ მოსახლეზე მშპ გაიზარდა 17.4 პროცენტით და შეადგინა 7 643.3 დოლარი.

ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან მიმართებაში კრასნოდარის მხარის მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შეადგენდა 2019 წელს 70.7%. ხოლო იგივე მაჩვენებელი 2020 წელს იყო 67.0%. 2021 წელს კი შეადგინა 74.1%.

დიაგრამა 10.



კრასნოდარის მხარის მშპ დარგობრივ სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით 16%-ით წარმოდგენილია საბითუმო და საცალო ვაჭრობას; ავტომობილებისა და მოტოციკლების რემონტი; შემდეგ მოდის ტრანსპორტი და დასაწყობება - 15%, უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობა -13%, სოფლის, სატყეო მეურნეობა, ნადირობა, თევჭერა და მეთევზეობა - 11%, დამამუშავებელი მრეწველობა - 10%, სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა -6%, მშენებლობა, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობა - 5-5%, სასტუმროებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების საქმიანობა, პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა, ადმინისტრაციული და თანამდევი დამატებითი მომსახურების საქმიანობები, განათლება - 3-3%, ელექტროენერგიით, გაზით და ორთქლით უზრუნველყოფა; ჰაერის კონდიცირება, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის სფეროში საქმიანობა, კულტურის, სპორტის, დასვენებისა და გართობის ორგანიზაციის საქმიანობის სფეროში -2-2%, სასარგებლო წიაღირსეულის მოპოვება, წყალმომარაგება; წყალარინება, ნარჩენების შეგროვების და უტილიზაციის ორგანიზება, საქმიანობა დანაგვიანების ლიკვიდაციაზე; სხვადასხვა სახის მომსახურების შეთავაზება, 1-1%, დანარჩენი საქმიანობის სფეროების ხვედრითი წილი ნაკლებია ერთ პროცენტზე.

სომხეთის მთლიანი შიდა პროდუქტი. საქართველოს მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის ყველაზე მცირე ეკონომიკა და შესაბამისად მთლიანი შიდა პროდუქტი აქვს სომხეთის რესპუბლიკას, ქვეყნის მშპ 2019 წელს იყო 13.6 მლრდ. დოლარი, მომდევნო წელს შემცირდა 7.4 პროცენტით ანუ ერთი მილიარდი დოლარით, რაც შეეხება 2021 წელს გაიზარდა 1.2 მლრდ. დოლარით ანუ 9.5 პროცენტით. მომდევნო წელი იყო დაფიქსირდა სომხეთის რესპუბლიკის მშპ სარეკორდო მაჩვენებელი, რომელიც წინა წელთან შედარებით გაიზარდა 41.3 პროცენტით.

დიაგრამა 11.



სომხეთის რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე მშპ. ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2019 წელს იყო 4 561,97, 2020 წელს შემცირდა 305.87 დოლარით ანუ 6.7 პროცენტით და შეადგინა 4 256.13 დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა მშპ ერთ სულ მოსახლეზე ზრდას 5.2 პროცენტით ანუ 266.19 დოლარით და შეადგინა 4 522.32 დოლარი. 2022 წლისთვის მშპ ერთ სულ მოსახლეზე წინა წელთან შედარებით გაიზარდა 589.05 დოლარით ანუ 13.0 პროცენტით და შეადგინა 5 111.37 დოლარი.

სომხეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2019 წელს შეადგენდა 14 317.55 დოლარს. მომდევნო წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 959.85 დოლარით ანუ 6.7 პროცენტით და შეადგინა 13 357.7 დოლარი. 2021 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიზებით გაიზარდა 835.42 დოლარით ანუ 6.2 პროცენტით და შეადგინა 14 193. 12 დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ მნიშვნელოვან ზრდას 1 848.71 დოლარით ანუ 13.0 პროცენტით და შეადგინა 16 041.83 დოლარი.

აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2019 წელს იყო 48.17 მლრდ. დოლარი, მომდევნო წელს მშპ შემცირდა 5.48 მლრდ. დოლარით ანუ 11.4 პროცენტით. 2021 წელს წინა წელთან შედარებით მშპ გაიზარდა 12.14 მლრდ. დოლარით ანუ 28.4 პროცენტით. მომდევნო წელს მშპ-ის ზრდამ შეადგინა 23.89 მლრდ. დოლარი ანუ 43.5 პროცენტი.

დიაგრამა 12.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე მშპ. ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2019 წელს იყო 5 348.45, მომდევნო წელს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ის შემცირება იყო 264.89 დოლარით ანუ 4.9 პროცენტი. 2021 წელს ადგილი ქონდა ერთ სულ მოსახლეზე მშპ ზრდას 5.1 პროცენტით. მომდევნო წელს ზრდამ შეადგინა 226.29 დოლარი ანუ 4.2 პროცენტი და შეადგინა 5 571.73 დოლარი.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2019 წელს შეადგენდა 14 442.04 დოლარს. მომდევნო წელს აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 715.27 დოლარით ანუ 4.9 პროცენტით და შეადგინა 13 726.77 დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით გაიზარდა 707.13 დოლარით ანუ 5.1 პროცენტით და შეადგინა 14 433.9 დოლარი. მომდევნო წელს ადგილი ქონდა ზრდას 4.2 პროცენტით და შეადგინა 15 044.94 დოლარი.

თურქეთის რესპუბლიკის მთლიანი შიდა პროდუქტი. ქვეყნის მშპ 2019 წელს იყო 759.93 მლრდ. დოლარი, მომდევნო წელს მშპ შემცირდა 39.64 მლრდ. დოლარით ანუ 5.2 პროცენტით და შეადგინა 720.29 მლრდ. დოლარი. 2021 წელს წინა წელთან შედარებით გაიზარდა 98.74 მლრდ. დოლარით ანუ 13.7 პროცენტით და შეადგინა 819.03 მლრდ. დოლარი. მომდევნო წელს თურქეთის რესპუბლიკის მშპ გაიზარდა 86.96 მლრდ. დოლარით ანუ 10.6 პროცენტით და შეადგინა 905.99 მლრდ. დოლარი.

დიაგრამა 13.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ. თურქეთში ერთ სულ მოსახლეზე მშპ აშშ დოლარებში 2019 წელს იყო 11 935.39 დოლარი, მომდევნო წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 137.01 დოლარით ანუ 1.1 პროცენტით და შეადგინა 12 072.4 დოლარი. 2021 წელს მშპ ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 1269.16 დოლარით ანუ 10.5 პროცენტით და შეადგინა 13 341.56 დოლარი. მომდევნო წელს ზრდამ შეადგინა 649.19 დოლარი ანუ 4.8 პროცენტით და შეადგინა 13 990.75 დოლარი.

თურქეთის რესპუბლიკის მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით 2019 წელს შეადგენდა 28 150.06 დოლარს. მომდევნო წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 323.15 დოლარით ანუ 1.1 პროცენტით და შეადგინა 28 473.21 დოლარი. 2021 წელს 10.5 პროცენტით გაიზარდა და შეადგინა 31 466.56 დოლარი. მომდევნო წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა 4.8 პროცენტით და შეადგინა 32 997.7 დოლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნების, თავისებურება საკვლევ პერიოდში მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს უკრაინის ტერიტორიის ანექსიის და ოკუპაციის შემდეგ დაწესებულმა სანქციებმა და 2014-2021 წლებში ნავთობის დაბალმა ფასებმა აგრეთვე 2022 წელს თებერვლში უკრაინაში რუსეთის მიერ განხორციელებული სრულმაშტაბიანი ომის გამო დაწესებული რეკორდული სანქციების გათვალისწინებით შეამცირდაა რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების პრესპექტივები რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მთელ რეგიონის განვითარების შესაძლებლობებზე. ამის ნათელი დასტურია ის რომ თუ 2019 წელს თურქეთისა და რუსეთის ფედერაციის მშპ ერთ სულ მოსახლეზე PPP-ის მიხედვით თანაბარი იყო

2022 წელს ის 20 პროცენტით ნაკლები არის ვიდრე თურქეთის მაჩვენებლები, ეს იმ პირობებში, როდესაც თურქეთის მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა რბილად რომ ვთქვათ ვერ უძლებდა ვერავითარ კრიტიკას. რაც შეეხება სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს 2019 წლისთვის თითქმის თანაბარი იყო, ხოლო 2022 წელს მცირდით დაწინაურდა საქართველო.

აგრეთვე შეიძლება დასკვნათ, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებში ინტეგრაცია გახდა ის საკვანძო ფაქტორი, რომელმაც შეძლო ბიზნესის მეტ-ნაკლებად ჯანსაღ მდგომარეობაში შენარჩუნება და კოვიდ-19-ის ნეგატიური ეკონომიკური შედეგების გავრცელების პროცესი შემცირება. ფირმებმა რომლებმაც შეძლეს ოპერატიულად განეხორციელებინათ გადასვლა ახალ ბიზნეს მოდელზე, რომელიც ითვალისწინებს თვითიზოლაციას და ავტომატიზაციას, მიიღეს მნიშვნელოვანი უპირატესობა წარმოების მოქნილობის თვალსაზრისით.

დარგები რომლებმაც იხეირეს კოვიდ-19 არის სწორედ ისინი, რომლებიც ასე თუ ისინი დაკავშირებულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასთან. ამასთან პანდემიის პერიოდში დინამიური განვითარება მიიღო ისეთმა მიმართულებებმა, როგორიცაა, მუშაობის და სწავლის დისტანციურად განხორციელებისთვის პლათფორმის შექმნა, ციფრული ტექნოლოგიების და ინოვაციების სტრატეგიული მხარდაჭერის სფეროში კოოპერაციის განვითარება და ა.შ.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოსა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე პროცესებისა და რუსეთ-უკრაინის ომის გათვალიწინებით, უახლესი წლებში მოსალოდნელია ძლიერი სოციალური აფეთქებები, რომელიც კიდევ უფრო გააღრმავებს საქართველოს და მისი მოსაზღვრე ქვეყნებში არსებულ ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ლიტერატურა:

https://news.un.org/ru/story/2021/01/1395082 10.07.2023.

https://my n.by/currency/cb-rf-archive/usd 10.07.2023

https://rosstat.gov.ru/statistics/accounts#10.07. 2023

CEOWORLD magazine - Latest - Stats Gate - Economy Rankings: Largest countries by GDP, 2022 10.07. 2023

https://www.azstat.org/portal/?lang=en 10.07. 2023

https://www.kursvaliut.ru/%D1%81%D1%80%D0%-B5%D0%B4%D0%BD%D0%B8%D0%B9-%D0%BE%D0%-B1%D0%BC%D0%B5%D0%BD%D0%BD%D1%8B%D0%B9-%D0%-BA%D1%83%D1%80%D1%81-%D0%B7%D0%B0-%D0%BC%D0%B5-%D1%81%D1%8F%D1%86 10.07. 2023

https://rosstat.gov.ru/statistics/accounts 10.07. 2023

https://tradingeconomics.com/russia/gdp 10.07. 2023

https://tradingeconomics.com/turkey/gdp 10.07. 2023

https://tradingeconomics.com/azerbaijan/gdp 10.07. 2023

https://tradingeconomics.com/georgia/gdp 10.07. 2023

https://www.geostat.ge/ka 10.07. 2023

http://ugsra.org/abkhaziya-v-tsifrakh/2016-god.php 10.07. 2023

https://tradingeconomics.com/country-list/gdp?continent=world 10.07. 2023

https://ugsra.org/ofitsialnaya-statistika.php?ELEMENT_ID=575 ГОСУДАРСТВЕННЫЙ КОМИТЕТ РЕСПУБЛИКИ АБХАЗИЯ ПО СТАТИСТИКЕ. 10.07. 2023

https://visasam.ru/emigration/vybor/naselenie-abhazii.html#__2022 10.07. 2023

ციფრული მარკეტინგი ბიზნესის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორი

აბსტრაქტი: *გლობალურ ეკონომიკაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ტენდენციების, განმსაზღვრელი ფაქტორების და ეკონომიკური განვითარების პროცესის შესახებ საბაზისო ცოდნის გაფართოება. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის ინტერნეტმა, შეცვალა ადამიანთა ცხოვრება, ურთიერთობა და შესაბამისად ბიზნესიც. დღევანდელ პირობებში უფრო მეტად იზრდება კონკურენცია, იქმნება ინოვაციური პროდუქტები, რაც ეკონომიკას და ბიზნეს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ინტერნეტმა ასევე გამოიწვია ბაზარზე დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოჩენა, რომელიც ადრე მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვის იყო განკუთვნილი.*

მარკეტინგულმა სტრატეგიამ და პრაქტიკამ წარმოუდგენელი ცვლილებები განიცადა. ტექნოლოგიურმა წინსვლამ, მით უმეტეს ინტერნეტმა, ძლიერი გავლენა იქონია მყიდველებსა და მათ სამსახურში მყოფ მარკეტოლოგებზე. ციფრულ ეპოქაში, წარმატების მისაღწევად, ხშირ შემთხვევაში გადასარჩენად, მარკეტოლოგებმა თავიანთ სტრატეგიებს ხელახლა უნდა გადახედონ და დღევანდელ, ახალ გარემოს მოარგონ ისინი. საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებისათვის, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, კერძოდ, მნიშვნელოვანია, დროულად მოხდეს როგორც კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ასევე საჭიროა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გამართვა. აუცილებელია მარკეტინგის შესაძლებლობების, ციფრული მარკეტინგის ეფექტურად გამოყენება, ბიზნესის მიერ მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის.

საკვანძო სიტყვები: *მარკეტინგი, კონკურენტუნარიანობა, ინოვაციურობა, ბიზნესი, გლობალიზაცია.*

DIGITAL MARKETING IS A DETERMINING FACTOR OF BUSINESS COMPETITIVENESS

Abstract: In a global economy, it is vital to expand basic knowledge about the economic development trends, determinants and process of business competitiveness. Information technologies, including the Internet, have changed people's lives, relationships and, consequently, business. In today's conditions, competition is increasing, innovative products are being created, which confronts the economy and business with new challenges. The Internet has also brought to the market a large number of products that were previously only intended for the local market.

Marketing strategies and their implementation have undergone incredible changes. Advances in technology, especially the Internet, have had a profound impact on buyers and the marketers who work for them (who work for the buyers?). To succeed, and in many cases survive, in the digital age, marketers must rethink their strategies and adapt to today's new environment. There is still a lot to be done for the development of the digital economy in Georgia, in particular, it is important to align its legislation closer to that of the European Union in a timely manner, as well as to maintain the relevant infrastructure. Effective use of marketing opportunities and digital marketing are essential for businesses' competitiveness.

Tags: marketing, competitiveness, innovation, business, globalization.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა სრულიად შეცვალა ტრადიციული წარმოდგენები. თანამედროვე ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო საქმიანი კავშირების განვითარებას, სამეცნიერო პოტენციალის რეალიზებას და ერებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობებების გაღრმავებას. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიური განვითარება სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, მათ შორის ინტერნეტმა, შეცვალა ადამიანთა ცხოვრება, ურთიერთობა და შესაბამისად ბიზნესიც.

ინდუსტრიული ეკონომიკისაგან განსხვავებით, ციფრულ ეკონომიკაში ტრადიციული ეკონომიკური პოსტულატები ახალ შინაარსს იძენს. ისინი ციფრულ ტექნოლოგიებთან კავშირში ვლინდება. მაგ., მსოფლიო ელექტროქსელების, ციფრული ტექნოლოგიების, ელექტროპროდუქტებისა და ელექტრომომსახურების გაჩენითა და განვითარებით, თვისებრივ ცვლილებებს განიცდის ისეთი ცნებები, როგორიცაა მატერიალური და არამატერიალური, გეოგრაფიული მდებარეობა და მანძილი, კონკურენცია, შუამავლობა, ლოგისტიკა, გამყიდველისა და მყიდველის ქცევა და ა.შ.[1]

პორტერის ხუთი ძალის მოდელი აკეთებს ნებისმიერ ინდუსტრიაში არსებული 5 კონკურენტული ძალის ანალიზს და ეხმარება კომპანიას საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრაში. იგი წარმოადგენს ბიზნეს-ანალიზის მოდელს, რომელიც განმარტავს, თუ რატომ იღებენ განსხვავებული ინდუსტრიები განსხვავებული სიდიდის მოგებას. მოდელის შესახებ ინფორმაცია თავდაპირველად მაიქლ ი. პორტერის 1980 წელს გამოცემულ წიგნში „კონკურენტული სტრატეგია: ინდუსტრიებისა და კონკურენტების ანალიზის ტექნიკები“ გამოქვეყნდა. პორტერის მიერ გამოვლენილი 5 ძალა ხშირად გამოიყენება, როგორც ინდუსტრიაში/ბაზარზე კონკურენციის ინტენსიურობის, მიმზიდველობისა და მომგებიანობის საზომი[2].

დღევანდელ პირობებში უფრო მეტად იზრდება კონკურენცია, იქმნება ინოვაციური პროდუქტები, რაც ეკონომიკას და ბიზნეს ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს. ინტერნეტმა ასევე გამოიწვია ბაზარზე დიდი რაოდენობით პროდუქციის გამოჩენა, რომელიც ადრე მხოლოდ ადგილობრივი ბაზრისთვის იყო განკუთვნილი რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროდუქტი უნიკალური იყო ჩვენს ბაზარზე, ახლა ჩვენთან იდენტური პროდუქციაა. ასე რომ კონკურენტებს შორის ურთიერთობა რადიკალურად შეიცვალა ბაზრების გლობალიზაციასთან ერთად.

ისმის კითხვები: რა არის ციფრული მარკეტინგი? როგორ

1 განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში. გურამ ჯოლია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2021, გვ, 100 .

2 http://business.org.ge/porteris-5-dzala/

შეიძლება ის გამოყენებულ იქნას ბიზნესში? ვინ უნდა მართოს ციფრული მარკეტინგი? რამდენად ეფექტურია მისი გავლენა ბიზნესზე? ციფრული მარკეტინგი არის ციფრული არხების ან ტექნოლოგიების გამოყენება პროდუქტის ან მომსახურების გასაყიდად ან პოპულარიზაციისთვის. კონტენტ მარკეტინგი, ელექტრონული ფოსტის მარკეტინგი, გადახდის თითო დაწკაპუნებაზე (PPC) რეკლამა და SEO ყველა ციფრული მარკეტინგის ქოლგის ქვეშ ხვდება. უფრო მარტივად რომ ვთქვათ: თუ თქვენ გიბიძგებთ რაიმეს შესაძენად, როცა ონლაინ ხართ, მაშინ ეს ციფრული მარკეტინგია.[3]

ციფრული მარკეტინგი არის და მოიცავს ყველა გზას, რომელიც ელექტრონული მოწყობილობის ან ინტერნეტის გამოყენებით მომხმარებლამდე შეიძლება მივიდეს. ის სრულიად ახალ შესაძლებლობებს იძლევა ნებისმიერი კომპანიისთვის. ციფრული მარკეტინგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისა და ბრენდის ცნობადობისთვის.

2021 წლის ევროკომისიის მონაცემებით, ყოველდღიურად 315 მილიონი ევროპელი მოიხმარს ინტერნეტს. დღეს, ევროპის ციფრული ბაზრის 42% ეროვნულ ონლაინ სერვისებს უკავია, 54% – აშშ-ში დაფუძნებულ ონლაინ სერვისებს, ხოლო ევროკავშირის საზღვართშორისი (Cross-border e-Commerce) ონლაინ სერვისების წილი ამ ბაზარზე მხოლოდ 4%-ს შეადგენს. ელექტრონული კომერციის სფეროში გაერთიანებული სამეფო, გერმანია და საფრანგეთი ლიდერობენ, ყოველწლიური ბრუნვის 67% სწორედ ამ ქვეყნებზე მოდის.[4]

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, მარკეტინგულმა სტრატეგიამ და პრაქტიკამ წარმოუდგენელი ცვლილებები განიცადა. ტექნოლოგიურმა წინსვლამ, მით უმეტეს ინტერნეტმა, ძლიერი გავლენა იქონია მყიდველებსა და მათ სამსახურში მყოფ მარკეტოლოგებზე. ციფრულ ეპოქაში, წარმატების მისაღწევად, ხშირ შემთხვევაში გადასარჩენად, მარკეტოლოგებმა თავიანთ სტრატეგიებს ხელახლა უნდა გადახედონ და დღევანდელ, ახალ გარემოს მოარგონ ისინი. თქვენ იცნობთ რეკლამებს, ბილბორდებს,

3 https://www.springboard.com/blog/business-and-marketing/digital-marketing-importance/

4 ფირმის ეკონომიკა, (ლექციების კურსი), შემდგენლები: ლობჟანიძე ნ., გიგაური ე., შარაშენიძე ა., რედ. ხარაიშვილი ე.; თბ., 2021

ჟურნალის რეკლამებს და რეკლამის სხვა ტრადიციულ ფორმებს, მაგრამ რამდენად იცით ციფრული მარკეტინგის შესახებ? ბევრმა ბიზნეს ლიდერმა შეიძლება მოიფიქროს საიტებზე ამომხტარი ფანჯარა ან ბანერი. ზოგიერთმა იცის, რომ კარგად შენარჩუნებული სოციალური მედიის არსებობა ციფრული მარკეტინგის მნიშვნელოვანი ასპექტია. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ თქვენ შეიძლება იცოდეთ ციფრული მარკეტინგის ზოგიერთი ტაქტიკა, იცით თუ არა, რა ხდის ციფრულ რეკლამას ეფექტურს, განსაკუთრებით რეკლამის უფრო ტრადიციულ ფორმებთან შედარებით?

ტრადიციულ მარკეტინგს აქვს შესვლის განსაკუთრებით მაღალი ბარიერი. სარეკლამო ბილბორდებიც კი არ არის იაფი.

მიუხედავად იმისა, რომ მაღალი ბიუჯეტები წახალისებულია და უფრო მეტ ადგილს მოგცემთ ჩართულობისთვის, პლატფორმებს, როგორიცაა Google და Facebook, არ აქვთ მინიმალური ბარიერი შესვლისთვის. თუ გსურს, შეგიძლია 5 დოლარიანი კამპანიის გამართვა. და ეს პლატფორმები ხშირად გვთავაზობენ რეკლამის დახარჯვის კრედიტს ახალი რეკლამის განმთავსებლებისთვისაც.[5]

საყურადღებოა ბოლო წლების სტატისტიკა წლებ სტატიკასა და ფაქტები, რაც ციფრული სტრატეგიის შემუშავებაში დაგვეხმარება:[6]ონლაინ ურთიერთობების 93% საძიებო სისტემებით იწყება; Internet Live Stats-ის მიხედვით, ყოველ წამს Google-ში 77,000-ზე მეტ ინფორმაციას ეძებენ; პერსონალიზებული მეილები თ 6-ჯერ უფრო ეფექტიანად დებენ გარიგებას, ვიდრე არაპერსონა ლიზებული შეტყობინებებით; ონლაინ შესყიდვების ნახევარზე მეტი მობილურით ხორციელდება; მომხმარებელთა 88% აღარ სტუმრობს ვებგვერდს, თუ ერთხელ ცუდი გამოცდილება მიიღო; გაყიდვების მენეჯერების 98% გეგმას სოციალური ქსელების გამოყენებით ასრულებს.

მცირე ბიზნესის მფლობელების უმეტესობა ხშირად სვამს კითხვას: რამდენად სჭირდება ჩემს მცირე ბიზნესს ციფრული მარკეტინგული სტრატეგია და ჩემი მომხმარებლების რა რაოდენობაა ონლაინ?

სმარტფონების მომხმარებლების რიცხვი მთელ მსოფლიოში

5 https://www.forbes.com/sites/forbesagencycouncil/2021/08/02/why-digital-marketing-is-important-for-business-owners/?sh=5e181c5d6f86
6 https://smartblog.ge/

დღითიდღე იზრდება. მომხმარებელთა ეს მზარდი რაოდენობა დროის უმეტეს ნაწილს ინტერნეტ სივრცეში ატარებს. ბოლო გამოკითხვის შედეგად, ინტერნეტის მომხმარებელთა 48% 16-25 წლის ასაკობრივ ჯგუფშია და მათზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური მედია. მცირე ბიზნესებისთვის სოციალური მედიის მნიშვნელობა ბოლო ათწლეულში შესამჩნევად გაიზარდა. გარდა ამისა, ბიზნესებისთვის ციფრული კამპანიების დეტალურად შეფასება ბევრად უფრო მარტივი და სახარბიელო გახდა, ვიდრე ტრადიციული მარკეტინგული კამპანიების შეფასება. მეტიც, ციფრული მარკეტინგის კამპანიების დროს ბევრად უფრო მეტ ადამიანს ვაწვდენთ ხმას, ვიდრე ტრადიციული მარკეტინგის მეშვეობით. [7]

დღეს, როდესაც რაიმე ინფორმაციის მოძიება გვჭირდება, არ ვეკითხებით ახლობლებს, არ ვეძებთ ენციკლოპედიებს და ა.შ. მარტივად ვიღებთ მობილურ ტელეფონს ან ლეპტოპს, ვწერთ კითხვას და სულ რაღაც 20 წამში პასუხი უკვე ეკრანზე გვაქვს.

ელექტრონული და მაღაზიათა ქსელში ვაჭრობის კომბინაციით, office depot-ი მომხმარებელს, ნებისმიერ ადგილასა და დროს, უზრუნველყოფს საცალო ვაჭრობის პროდუქციითა და, ამასთან ერთად, უამრავი საჭირო ინფორმაციის ხელმისაწვდომობით. არა აქვს მნიშვნელობა, თავისუფალი მეწარმე იქნება ეს, რომელიც ელექტრონულ შესყიდვას დილის სამ საათზე ახორციელებს, შესყიდვის აგენტი, რომელიც გაყიდვების წარმომადგენელთან აწარმოებს მოლაპარაკებას, თუ ადმინისტრატორის ასისტენტი, რომელმაც სადილობის დროს მაღაზიაში საყიდლებზე შეირბინა“, _ აცხადებს კომპანია. დღეს, office depot-ი მიწოდებისა და საკონტაქტო საშუალებების ფართო სპექტრს გვთავაზობს. მომხმარებლებს, ინტერნეტის მეშვეობით, 24 საათის განმავლობაში, შეუძლიათ მოძებნონ და შეიძინონ საოფისე საქონელი; გადახედონ კატალოგს და განახორციელონ შეკვეთა ფაქსის ან ტელეფონის საშუალებით; შეჩერდნენ office depot-ის ადგილობრივ მაღაზიასთან, შეიარონ მასში და იყიდონ რაიმე. შემდეგ, შეძენილი საქონელი ან თავად წაიღონ, ან მოითხოვონ მისი სახლში თუ საკუთარ მაგიდასთან მიტანა. საქონლის დაბრუნება ადვილია - უბრალოდ, დარეკეთ, რათა წასაღებად მოგაკითხონ ან შენაძენი მაღაზიაში თავად დააბრუნეთ.

7 https://tsdigital.ge/cipruli-marketinguli-strategia/

ციფრული ტრანსფორმაცია არის მიდგომა, როდესაც ტექნოლოგიებისა და ინფორმაციის გამოყენებით დაცულ გარემოში ხდება ძირითადი ბიზნეს ელემენტების გარდაქმნა ისე, რომ თქვენი კომპანია თანხვედრაში იყოს თანამედროვე ბაზრის გამოწვევებთან და მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა.

არსებული რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოში ციფრული ბანკის ლიცენზირების პრინციპების განვითარებას განიხილავს.

ციფრული ბანკის მოდელის განვითარებით ეროვნული ბანკი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს: ინოვაციური ბიზნეს მოდელების განვითარებას; ფინანსური პროდუქტების მრავალფეროვნებას; დიდი მონაცემების უკეთ გამოყენებას; მომხმარებლის გარშემო არსებულ ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაზე მორგებული, მოხერხებული, სწრაფი და ხელმისაწვდომი ციფრული ფინანსური ეკოსისტემის განვითარებას; ღრუბლოვანი სერვისების ეფექტურ გამოყენებას; ტექნოლოგიურ კომპანიებთან ინტეგრაციის გამარტივებას და საბითუმო ბაზარზე საბანკო საქმის როგორც სერვისის მოდელის განვითარებას; ახალი ტექნოლოგიური მოთამაშეების შემოსვლას და კონკურენციის გაზრდას საფინანსო სექტორში.[8]

BDO Digital-მა გამოყო 7 ძირითადი ბიზნეს ელემენტი, რომელთა ტრანსფორმაცია აუცილებელია ციფრული ტრანსფორმაციის პროცესისთვის. ეს ელემენტებია: მონაცემები, პროცესები, მომხმარებლები, ტექნოლოგიები, კულტურა და თანამშრომლები, გაყიდვების არხები და კიბერუსაფრთხოება.[9]

საქართველოში ციფრული მარკეტინგი არ არის ისეთი განვითარებული, როგორც სხვა ქვეყნებში, ამის სხვადასხვა მიზეზი არსებობს: ინფორმაციის არ ქონა, უნდობლობა და ა.შ.რაც შეეხება ციფრული მარკეტინგის აუთსორსინგს, შეიძლება ითქვას, რომ პოტენციური კლიენტების უმრავლესობა ყოყმანობს, დაიქირაოს ციფრული მარკეტინგის სააგენტო, თუ ხომ არ ჯობია კადრის დაქირავება, რომელიც შეითავსებს მარკეტინგული საქმიანობის განხორციელებას, ან ხომ არ ჯობია სხვა დასაქმებულებზე ამ საქმიანობის დელეგირება. ზოგიერთს არ სჯერა შედეგის, ბევრი ძველ მეთოდებს ვერ სცილდება.[10]

8 https://nbg.gov.ge/page/
9 https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/
10 https://blh.com.ge/

ახალ, ციფრულ ეპოქაში ბიზნესის წარმოება მარკეტინგული სტრატეგიისა და საქმიანობის ახალ მოდელს მოითხოვს. სტრატეგიის ერთ-ერთი სპეციალისტი აღნიშნავს:"ახალი ტექნოლოგიებით, კერძოდ კი ინტერნეტით წახალისებული კორპორაცია რადიკალურ ტრანსფორმაციას განიცდის, რაც სხვა არაფერია, თუ არა ახალი ინდუსტრიული რევოლუცია... ამ საუკუნეში, გადარჩენის მიზნით, მენეჯერებს ახალი წესების გაცნობიერება უწევთ. XXI საუკუნის კორპორაცია უნდა შეეგუოს „მენეჯმენტს ჭების გავლით", მეორე სტრატეგი კი დასძენს: „ინტერნეტი რევოლუციურად ცვლის იმ გზებს, რომელთა საშუალებით ჩვენ ვაგებთ ურთიერთობებს მიმწოდებლებსა და მყიდველებთან, ვქმნით მათთვის ფასეულობებს და ამ პროცესებით ვიღებთ გარკვეულ მატერიალურ სარგებელს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მარკეტინგის რევოლუციაა". [11]

ზოგიერთი სტრატეგი ელოდება დღეს, როდესაც ყიდვა-გაყიდვა კომპანიებსა და მყიდველებს შორის მთლიანად პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციებით განხორციელდება. ახალმა მოდელმა ფუნდამენტურად შეცვალა მყიდველზე მორგების,სიჩქარის, ფასის, პროდუქტზე ინფორმაციის შექმნისა და მომსახურების მცნებები.

ციფრული მარკეტინგის ნაწილად მოიაზრება ელ-მარკეტინგი და ინტერნეტ საშუალებები, რომლის ნათელი მაგალითია ინტერნეტის მეშვეობით ყიდვა-გაყიდვა. ინტერნეტით ყიდვას არაერთი სარგებელი მოაქვს როგორც საბოლოო, ისე ბიზნეს მყიდველებისათვის. უპირველეს ყოვლისა, იგი მოსახერხებელია, რადგან მყიდველებს არ უწევთ ხალხმრავლობით გამოწვეული წინააღმდეგობების გადალახვა, მანქანის გასაჩერებელი ადგილის ძებნა და მაღაზიის სექციებში დაუსრულებელი სიარული სასურველი პროდუქტის მოძიებისა და გასინჯვის მიზნით. ვებ-გვერდების საშუალებით მათ ეძლევათ შედარებითი ვაჭრობის შესაძლებლობა. ამასთან, ვებ-მარკეტოლოგები არასოდეს გიხურავენ კარს.

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მარკეტინგში აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები.[12] უპირატესობები:1. ეფექტურობის გაზრდა. AI საშუალებას

11 მარკეტინგის საფუძვლები, ფილიპ კოტლერი,მეშვიდე გამოცემა, თავი 14,გვ.,485
12 https://lemons.ge/ka/

აძლევს კომპანიებს გააანალიზონ მომხმარებელთა მონაცემები უფრო სწრაფად და ზუსტად, რაც მათ ეხმარება მიიღონ უკეთესი გადაწყვეტილებები და შეამცირონ მარკეტინგული აქტივობების ღირებულება; 2. მუშაობის სიზუსტე და სიჩქარე. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება კომპანიებს საშუალებას აძლევს გაზარდონ თავიანთი პროგნოზებისა და გადაწყვეტილებების სიზუსტე, ასევე შეამცირონ მონაცემთა დამუშავებისა და ბაზრის კვლევისთვის საჭირო დრო; 3. მოგების გაზრდა. მარკეტინგული სტრატეგიების ეფექტურობისა და სიზუსტის გაუმჯობესებით, კომპანიებს შეუძლიათ გაზარდონ თავიანთი მოგება და ამასთანავე მიაწოდონ მომხმარებელთა კმაყოფილების უფრო მაღალი დონე; 4. ხარჯების ოპტიმიზაცია. AI-ს შეუძლია დაეხმაროს კომპანიებს მარკეტინგული ხარჯების ოპტიმიზაციაში, რაც მათ საშუალებას აძლევს შეამცირონ ხარჯები და გაზარდონ შემოსავალი. უარყოფითი მხარეები: 1. ტექნოლოგიაზე დამოკიდებულება. ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მოითხოვს ამ სფეროში შესაბამისი ტექნოლოგიებისა და ექსპერტების არსებობას, რაც შეიძლება რთული და ძვირი იყოს ზოგიერთი კომპანიისთვის. 2. შეცდომებისა და წარუმატებლობის რისკი. მიუხედავად იმისა, რომ AI საშუალებას აძლევს კომპანიებს გააუმჯობესონ თავიანთი მარკეტინგული სტრატეგიები, არსებობს შეცდომებისა და ხარვეზების რისკი, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ბიზნესზე.

მიუხედავად ამ უარყოფითი მხარეებისა, ხელოვნური ინტელექტის გამოყენებას მარკეტინგში ბევრი სარგებელი აქვს და ეხმარება კომპანიებს გააუმჯობესონ მარკეტინგული სტრატეგიები და გაზარდონ მათი ეფექტურობა. გარდა ამისა, ხარვეზების უმეტესი ნაწილი შეიძლება დაიძლიოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომების მიღების, ხარისხის კონტროლის ეფექტური სისტემებისა და პერსონალის გადამზადების მეშვეობით

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ XXI საუკუნე ციფრული მარკეტინგის საუკუნეა, რადგან დედამიწის მოსახლეობის უმეტესობა ჩართულია სოციალურ ქსელსა და ინტერნეტში. ციფრულ მარკეტინგს გააჩნია რიგი უპირატესობები, კერძოდ: დაბალი დანახარჯები; გაზომვადობა; განთავსების ფორმატების მრავალფეროვნება; სისწრაფე და მოქნილობა.

რატომ უნდა აითვისონ ბიზნესებმა კომუნიკაციის ციფრული არხები? ციფრული არხები კომუნიკაციის აქამდე წარმოუდგენელ შესაძლებლობებს გვთავაზობს:

მომხმარებლებთან ყველაზე ხარჯეფექტურ კომუნიკაციას;

წვდომას მთელს მსოფლიოზე ნებისმიერი ადგილიდან, სადაც ინტერნეტია;

სამიზნე სეგმენტის ზუსტ ტარგეტირებას ინტერესების, ქცევების, სოციო-დემოგრაფიული და სხვა პარამეტრების მიხედვით;

რელევანტური ინფორმაციის დროულად მიწოდების საშუალებას;

მომხმარებლებთან ორმხრივი კომუნიკაციის დამყარების საშუალებას;

მომხმარებლებისთვის მათზე მორგებული ინდივიდუალური შეთავაზებების ავტომატურად მიწოდების შესაძლებლობას;

გაყიდვების, კონსულტაციის, ტექნიკური დახმარების და სხვა ბიზნეს პროცესების ონლაინ გადატანას;

მიღებული შედეგების ზუსტ გაანალიზებას და შედეგად, მარკეტინგულ ინვესტიციაზე უკუგების დათვლის შესაძლებლობას.

საქართველოში ციფრული ეკონომიკის განვითარებას, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, კერძოდ, მნიშვნელოვანია, დროულად მოხდეს როგორც კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ისე საჭირო ინფრასტრუქტურის გამართვა, რათა ის პოტენციური სარგებელი, რაც ციფრული ბაზრების ჰარმონიზებასა და ზოგადად, ციფრული ეკონომიკის განვითარებას შეუძლია მოუტანოს ქვეყანას. აუცილებელია მცირე და საშუალო საწარმოების ეფექტიანობის გაზრდა, რადგან ეს ორი ქმნის განვითარებული ქვენების მთლიანი შიდა პროდუქტის უდიდეს ნაწილს, ამისათვის მთავრობა უნდა დაეხმაროს მეწარმეებს სუბსიდიებით და დარეგულირებული საგადასახადო სისტემით.

მომხმარებელთა მოთხოვნებისა და ბაზრის კვლევის ხელშეწყობა- მომხმარებელთა მოთხოვნების ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის წარმატებისათვის, ამასთანავე გლობალიზაციის პარალელურად მუდმივად იცვლება ბაზრის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს წარმატებული ბიზნეს კომპანია. სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რესურსის არსებობისა და მცირე ბიზნესისათვის ამ

რესურსების ხელმისაწვდომობის დანერგვით შესაძლებელი გახდება მომხმარებელთა იმ ინტერესების, მოთხოვნილებებისა და სურვილების დეტალური შესწავლა, რომელთა ცოდნაც ერთგვარ საფუძველს უდებს მცირე ბიზნესის პირველ ნაბიჯებს.[13]

ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესი დასაქმებისა და სამუშაო ადგილების შექმნის და ახალი საქონლის დანერგვის საუკეთესო საშუალებაა, დიდი საწარმოები კი უზრუნველყოფენ მეცნიერებატევად პროდუქციის წარმოებას, გაშლას და განვითარებას, აქვთ ძლიერი და სუსტი მხარეები. ციფრული მარკეტინგის ეფექტურად გამოყენება ზრდის ბიზნესის კონკურენტუნარიანობას. ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძირითადი მასტიმულირებელი ფაქტორი. ციფრული მარკეტინგი საშუალებას გვაძლევს ზუსტად განსაზღვროთ ბიზნესისათვის საინტერესო აუდიტორია და მათი ქცევა. დემოგრაფიული მონაცემების ან ინტერესების საშუალებით და გაუგზავნოთ მას ბევრად ეფექტური და მასზე მორგებული მარკეტინგული შეტყობინებები. ამასთანავე, შესაძლებელი იქნება ბაზრის იმ ძირითადი ტენდენციების შესწავლა, რომლებიც მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირებისათვის. მეწარმეების მხრიდან გახსნილობა და მიმღებლობა, მარკეტინგული აქტივობების ხელშეწყობა არა მარტო განავითარებს მცირე ბიზნესს, არამედ საფუძველს დაუდებს ქალაქის, რეგიონის და ქვეყნის სწრაფ ეკონომიკურ განვითარებას.

წყაროები და ლიტერატურა:

გურამ ჯოლია, *განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში.* საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი 2021, გვ, 100 .

ფირმის ეკონომიკა, (ლექციების კურსი), შემდგენლები: ლობჟანიძე ნ., გიგაური ე., შარაშენიძე ა., რედ. ხარაიშვილი ე.; თბ., 2021

მარკეტინგის საფუძვლები, ფილიპ კოტლერი, მეშვიდე გამოცემა, თავი 14,გვ.,485.

M. GordonHunter, *SmallBusiness "Success"*-2014. https://www.research-

13 M.GordonHunter-SmallBusiness"Success"-2014-https://www.research-gate.net/publication/269990237_Small_Business_Success

chgate.net/publication/269990237_Small_Business_Success

http://business.org.ge/porteris-5-dzala/

https://www.springboard.com/blog/business-and-marketing/digital-marketing-importance/

https://nbg.gov.ge/page/

https://www.forbes.com/sites/forbesagencycouncil/2021/08/02/why-digital-marketing-is-important-for-business-owners/?sh=5e181c5d6f

https://smartblog.ge/

https://tsdigital.ge/cipruli-marketinguli-strategia/

https://bdodigital.ge/services/tsipruli-transpormatsia/

https://blh.com.ge/

https://lemons.ge/ka/

ნინო მაქაცარია

დრო, როგორც ეკონომიკური რესურსი და სოციალური ფენომენი

აბსტრაქტი: *დრო ნებისმიერ საზოგადოების უმნიშვნელოვანესი რესურსია. მისი შეზღუდულობა განაპირობებს იმას, რომ ნებისმიერი ადამიანის, სამეწარმეო სუბიექტის და ზოგადად, ეკონომიკის წარმატება დიდწილად დამოკიდებულია დროის სწორ განაწილებაზე. საოჯახო მეურნეობიდან დაწყებული დროის ეფექტური დაგეგმვა, ფირმაში არსებული დროის მენეჯმენტი და მაკროეკონომიკაში დროის ფენომენის სწორი გააზრება ქვეყანაში არსებული ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორია. დროის, როგორც ყველაზე შეზღუდული, არაკვლავწარმოებადი რესურსის მაქსიმალური გათვალისწინება იწვევს წარმატებას, როგორც თითოეული ადამიანისთვის, ისე კომპანიისთვის. იმის შრომაა უფრო მწარმოებლური, ვინც ერთსა და იმავე დროში მეტს აწარმოებს, ხოლო ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, ქვეყანაში საქონლისა და მომსახურების წარმოების უნარზე დამოკიდებულია ცხოვრების დონე. ამდენად, მწარმოებლურობა, ეკონომიკური ზრდა, ცხოვრების დონე განუყოფელია ისეთი უნივერსალური რესურსისგან, როგორიცაა დრო. სწორედ ამის გამო დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის ეფექტურად გამოყენებას, დროის მენეჯმენტს. აუცილებელია დრო, როგორც ეკონომიკური რესურსი დაუკავშირდეს მის სოციალურ მნიშვნელობას, ვგულისხმობთ იმას, რომ ის ამავე დროს არის ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების რესურსი. ფირმის თუ კომპანიის ფარგლებში დროის მენეჯმენტმა უნდა შეძლოს დროის ეფექტური გამოყენება, რაც იქნება იმის პირობა, რომ ადამიანს ჰქონდეს ცხოვრება სამსახურს მიღმა. ხოლო ვინაიდან ეს ყოველთვის არ არის გარანტირებული, სახელმწიფომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული ეკონომიკური თუ სამართლებრივი ბერკეტებით შექმნას ადამიანის შრომისა და დასვენების, მისი სულიერი განვითარების გარანტიები.*

საკვანძო სიტყვები: *დროის რესურსი, დროის მენეჯმენტი, პროფესიული გადაღლა, დროის დეფიციტი, შრომის მწარმოებლურობა, დროის ეკონომია, შრომის პირობები, ცხოვრების ხარისხი.*

Nino Makatsaria

TIME AS AN ECONOMICAL RESOURCE AND SOCIAL PHENOMENON

Abstract: Time is the most important resource of any society. Time is limited, that is why success of any person, business or economy in general mostly depends on proper time planning. Effective time planning starting from family farming, time management in a firm and correct understanding of the phenomenon of time in macroeconomics is an important determining factor of the current standard of living in a country. Maximizing the understanding of time as the most limited, non-renewable resource leads to success for both an individual and a company. According to one of the basic principles of economics, the standard of living depends on the ability of producing goods and services in a country so that labor of those who produce more in the same time is more productive. Therefore, productivity, economic growth, and standard of living are inseparable from a universal resource such as time. The article argues it is necessary to connect time as an economic resource to its social meaning, as a resource for human physical and spiritual development. Time management within a firm or company should be able to use time effectively, which will be helpful for a person to have a life outside of work. And since this is not always guaranteed, the state should create guarantees of human labor and rest, to ensure spiritual development with the help of economic and legal levers that are available in the market economy.

Tags*: Time resource, time management, professional exhaustion*

ეკონომიკის ამოცანაა ეფექტურად გაანაწილოს საზოგადოების ხელში არსებული შეზღუდული რესურსები, თუმცა მათ შორის პირდაპირ არაა დასახელებული დრო, როგორც ეკონომიკური რესურსი. დრო, არაკვლავწარმოებადი რესურსია და შეუძლებელია მისი ყიდვა, დაბრუნება, გაჩერება, დაგროვება. ამიტომაც ის განსაკუთრებით ფასეულია და მას ყველაზე მეტად სჭირდება გაფრთხილება.

დროის ფენომენი არაერთი მეცნიერების შესწავლის ობიექტია /ფიზიკა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა, ბიზნესი და

სხვ./. საკითხი დროის როლსა და მნიშვნელობაზე ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე მეტ-ნაკლები განხილვის საგანი იყო. კაპიტალისტურ საზოგადოებაში დროში მოიაზრებოდა არა მხოლოდ „საათის„/ბუნებრივი დრო, არამედ კონკრეტულად, როგორც დაქირავებული „შრომის საათი“. სამუშაო დღის ხანგრძლივობის შესახებ მეცნიერული კამათი ჯერ კიდევ კაპიტალისტური წარმოების სათავეებთან გვხვდება. სამუშაო ძალა წარმოადგენდა ზედმეტი ღირებულებისა და მოგების წყაროს, ხოლო მისი ამოღების გზად გვევლინებოდა ჭარბი შრომის დრო. კაპიტალისტური წარმოების დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა ბრძოლა სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და მათთან დაკავშირებულ ხელფასზე. დაწყებული ტეილორისეული ქარხნული ცხოვრების დროის მაქსიმიზიციის პოლიტიკიდან, ისტორიულ განვითარებასთან ერთად, წარმოებისა და შრომის ჰუმანიზაციის კვალობაზე იცვლება მიდგომები სამუშაო დროის გამოყენებასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივი წარმოების საბოლოო მიზანი -ადამიანი და მისი ყოველმხრივი განვითარებაა- მიიღწევა შრომის მწარმოებლურობის ზრდით, დროის ეკონომიის კანონის რეალიზაციის პირობებში. წინამორბედ ეკონომიკურ სისტემებს შორის საბაზრო ეკონომიკამ დროის რესურსი პირდაპირ დაუკავშირა შემოსავალს. ეკონომიკური მოგების მიღება ყველაზე მეტად ხელეწიფება ბიზნესს, რომელიც კონკურენციისა და გაურკვევლობების პირობებში სხვაზე რაციონალურად გამოიყენებს ყველაზე მთავარს და შეზღუდულს- დროის რესურსს. მწარმოებლურობა თუ ეკონომიკური ზრდა განუყოფელია დროის რესურსის რაციონალურ გამოყენებასთან. მისი სწორად მართვა ნაყოფიერი საქმიანობის და ზოგადად, წარმატებული ცხოვრების საწინდარია. ხშირად გვესმის ცნობილი ამერიკელი პოლიტიკური მოღვაწის, ბენჯამინ ფრანკლინის გამოთქმა, რომ „დრო ფულია“. ნებისმიერი კომპანიის წარმატება დიდწილადაა დამოკიდებული მისი თანამშრომლების დროის რაციონალურ ხარჯვაზე. რამდენადაც დრო არააღდგენადია, ამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ეკონომიას.

თანამედროვე საზოგადოებაში გაცილებით მწვავედ დგას დროის დეფიციტის პრობლემა, შესაბამისად იზრდება დროის მენეჯმენტის მნიშვნელობა ბიზნესში და ზოგადად, ადამიანის ცხოვრებაში. ის ადამიანებს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად

გამოიყენონ ისეთი შეზღუდული რესურსი, როგორიცაა- დრო. თვითმენეჯმენტით თუ თვითდისციპლინით იწყება დროის განაწილება ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი, ვინც ვერ ფლობენ დროის სწორი განაწილების უნარს, ვერ აღწევენ წარმატებას არა მხოლოდ ბიზნესში, არამედ თავიანთ ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარმატებული ადამიანებისთვის დრო ყველაზე ძვირფასი რესურსია. ყველა ადამიანს ბუნებისგან ბოძებული თანაბარი დროის რესურსი გააჩნია, თუმცა ისინი სხვადასხვა ეფექტურობით ხარჯავენ ამ რესურსს და თვითონვე ქმნიან თავიანთი დროის ღირებულებას. რამდენადაც დროის მართვა არც ისე ადვილი საქმეა, მას სჭირდება თავისი მეთოდები. ადამიანებს შრომის განსხვავებული უნარები აქვთ, ამიტომაც თვითონვე უნდა აირჩიონ დროის მართვის საკუთარი მეთოდი, რომელიც მის ინდივიდუალურობას შეესაბამება, გამოიმუშაონ მისი მართვის ჩვევები და ტექნიკა. **ადამიანის, რომელიც გონივრულად მართავს დროს, შესაბამისად, იმაღლებს თავისი ცხოვრების ხარისხსაც.**

არა მხოლოდ მენეჯერი, არამედ ნებისმიერი ადამიანი ყოველწამიერად დგას არჩევანის წინაშე, თუ რა დროს რა აკეთოს და როცა ამ არჩევანს გასდევს მკაფიო მიზანი, მაშინ დრო უფრო რაციონალურადაა გამოყენებული. ზოგადად, დროის ეფექტიანად გამოყენება- ესაა მაქსიმალურად ნაკლებ დროში მივაღწიოთ მეტ შედეგს. დროის მენეჯმენტის წარმატება დამოკიდებულია ადამიანის შრომისუნარიანობაზე. ეს კი დაკავშირებულია მის ჯანმრთელობასთან, ცხოვრების წესთან, გამორჩეულ უნარებსა თუ მავნე ჩვევებთან. პასიური ფიზიკური ცხოვრების წესი იწვევს გარკვეულ დაავადებებს, რომლის შედეგადაც ადამიანის შრომისუნარიანობა მცირდება. ამიტომაც დროის მენეჯმენტი მოიცავს თუნდაც ფიზიკურ აქტივობასაც, დასვენებასაც და სხვ. ამასთანავე, **დროის მართვის მიზანი მხოლოდ ეკონომიკური სარგებელი როდია, ამ პროცესში** არ უნდა დავაზიანოთ ჩვენი ფსიქიკა, ჯანმრთელობა, ოჯახი. ამ უკანასკნელის გათვალისწინებით შემუშავებული პრინციპები კი უნდა გვექცეს ყოველდღიური ცხოვრების წესად.

დროის მენჯმენტი ახდენს ამოცანებისა და შესაბამისი აქტივობების კოორდინაციას ადამიანთა ძალისხმევის მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად. მისი უმთავრესი მიზანია ადამიანებმა შეძლონ ნაკლებ დროში მეტის გაკეთება. ის მოიცავს კონკრეტული

ამოცანებისა და მიზნების შესასრულებლად საჭირო სხვადასხვა ინსტრუმენტებს და მეთოდებს/დაგეგმვა, მიზნის განსაზღვრა, პრიორიტეტების განსაზღვრა, ორგანიზება და სხვ/. მიუხედავად ადამიანის ცხოვრებაში არსებული მოულოდნელობების თუ გაუთვალისწინებელი გარემოებებისა, დროის დაგეგმვა მაინც აუცილებელია. პრაქტიკით დადასტურებულია, რომ გეგმის გარეშე სპონტანურად მოქმედება წარუმატებლობის მიზეზია, მისი უქონლობა კი დროის კარგვაა. ასევე აღიარებულია დროის კავშირი მიზნის დასახვასთან. როცა ადამიანს მიზანი აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მაშინ დროის გამოყენება უფრო რაციონალურად ხდება, ის ჩვენი მოქმედების ორიენტირია. ბიზნესში სწორად გათვლილი დროის მენეჯმენტი ეხმარება კომპანიებს მისმა თანამშრომლებმა ხარისხიანად შეასრულონ სამუშაო და შესაბამისად, ეფექტურად განახორციელონ თავიანთი მიზნები.

დროის მენეჯმენტში **მნიშვნელოვანია პრიორიტეტების გამოკვეთა.** ,,ყველა სამუშაოს დრო სჭირდება, მაგრამ ზოგიერთი დავალება უფრო ღირებულია, ვიდრე სხვები. უფრო მაღალი ღირებულებების სამუშაოზე დროის გადანაწილება აუმჯობესებს როგორც პროდუქტიულობას, ასევე სამუშო - ცხოვრების ბალანსს. დროის კარგი მენეჯმენტი ქმნის უფრო ჯანსაღ სამუშაო ადგილს. დროის მართვა კომპანიაში შემოქმედებით პროცესს წარმოადგენს. დროში საქმეები პრიორიტეტულობის მიხედვით უნდა განაწილდეს. პრიორიტეტებთან ერთად დროის მენეჯმენტში დიდი მნიშვნელობა აქვს ფასეულობების გამოკვეთას. შესაბამისად, დროის განრიგის შეცვლაც შეიძლება დაუკავშირდეს უკვე სხვა ფასეულობებს. **მეცნიერთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ** ,,დრო არის პიროვნების ყოფითი სივრცე, რომელსაც იგი , როგორც სუბიექტი თავისი ფასეულობებისა და შეხედულებების შესაბამისად უკეთებს ორგანიზებას და ამით ღებულობს თვითაქტუალიზაციის და თვითგანვითარების შესაძლებლობას“ (ხარხელი 2016:28).

დროის ეფექტიანი ორგანიზება მოითხოვს სათანადო ცოდნას. მენეჯერის ფუნქციაა სხვა ადამიანების მსგავსად დაგეგმოს არა მხოლოდ საკუთარი დროის რესურსი, არამედ ასევე მთელი კოლექტივის დროის რესურსი. ისინი ყველაზე მეტად ფლობენ დროის მართვის ხერხებს. დროის მენეჯმენტში არსებობს საერთო წესები, რომელიც გამოცდილია და ყველასთვის

სასარგებლო დროის ეფექტურად მართვისათვის. დროის მართვის ორგანიზებაში მნივნელოვანია ისეთი პრინციპების გათვალისწინება, როგორიცაა დიდი საქმის დანაწევრება და ნაწილ-ნაწილ შესრულება მისი გამარტივების მიზნით, საქმის ეფექტიანი დელეგირებას როცა ეს შესაძლებელია და ა. შ. ეფექტური დროის მენეჯმენტი ითვალისწინებს შრომისა და დასვენების ოპტიმალურ გადანაწილებას, სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებს, სოციალურ და ფსიქოლოგიურ ფაქტორებს. მაგ. სამუშაო ადგილებისა და სპეციფიკის შესაბამისად, რეგულირების მნიშვნელოვანი ობიექტია განათება, ტემპერატურა, დასვენების დრო, სამუშაოს მოცულობა და ხანგრძლივობა და სხვ. რომელთა გაუთვალისწინებლობისას იკარგება ადამიანის შრომისუნარიანობა, ხდება დროის არარაციონალური გამოყენება.

შრომის მწარმოებლურობა დიდწილადაა დამოკიდებული შრომის პირობების სრულყოფასა და სამუშაო დროის რეგულირებაზე. სამუშაო დროის გადაჭარბებული ხანგრძლივობა, რომელიც დასაქმებულს ენერგიის აღდგენის საშუალებას არ აძლევს, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას, ნორმალურ ცხოვრებას. რაც შეხება ზეგანაკვეთურ მუშაობას, აღსანიშნავია, რომ უცხოური პრაქტიკით ის არასწორ დროის მენეჯმენტს უკავშირდება და არა სამსახურისთვის თავდადებას, როგორც საქართველოში. კვლევების თანახმად, ზეგანაკვეთური შრომის პროდუქტიულობა გაცილებით დაბალია. „მოკლევადიანი ზეგანაკვეთური შრომის შემთხვევაშიც კი შრომის პროდუქტიულობის დანაკარგი საშუალოდ 15%-ია, რომ აღარაფერი ვთქვათ მუდმივ ზეგანაკვეთურ შრომაზე. კვლევის თანახმად, 8 კვირის განმავლობაში, კვირაში 20 საათი ზეგანაკვეთური შრომის პირობებში პროდუქტიულობა 35%-ით ნაკლებია იმავე პერიოდის განმავლობაში სტანდარტულ 40 საათიან სამუშაო კვირასთან შედარებით“ /https://forbes.ge/blogs/e1-83-93-e1-83/. იმდენად, რამდენადაც შეზღუდულია ადამიანის სიცოცხლის, დღე-ღამის, წელიწადის დროების ხანგრძლივობა, ხშირად, იმისთვის, რომ მოასწრონ საქმეები, ძილის შემცირება არის ადამიანებისთვის ერთადერთიი საშუალება. „ეს არასწორია, რამდენადაც ადამიანები, ვისაც სძინავთ არასრულფასოვნად, ვეღარ ახერხებენ იფიქრონ ისევე პროდუქტიულად და ნათლად, როგორც მოახერხებენ სრულყოფილად ძილის შემთხვევაში... ჩატარებული

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ადამიანის ფსიქიკურ, ფიზიკურ და ემოციონალურ მდგომარეობაზე ძალიან დიდ ზეგავლენას ახდენს ძილი(გეჩბაია 2014: 342-434). მასლოუს მოთხოვნილებათა პირამიდაში პირველ საფეხურზე მოქცეულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომელთა შორისაა სწორედ ძილი.

არასწორი დროის მენეჯმენტი უარყოფითად აისახება არა მხოლოდ კომპანიის მუშაობის შედეგებზე, არამედ იწვევს დროის ნაკლებობას, დასაქმებულების სტრესულ მდგომარეობას, შფოთვას და სხვ. დაჩქარებული ცხოვრების რიტმთან ერთად ჩნდება ტერმინი „Burn Out“ პროფესიული გადაწვის სინდრომი, რაც ყველა პროფესიის ადამიანს ემუქრება, განსაკუთრებით ინტელექტუალური შრომით დაკავებულებს, რომლებიც მუშაობენ არანორმალური დატვირთვით. სამუშაოს გამო ადამიანების სტრესული მდგომარეობა და პროფესიული გადაღლა ხშირად იწვევს მოცდენებს ჯანმრთელობის პრობლემების გამო. /Techtarget. Com/ whatis/definition/time-management/. ეფექტურად დაგეგმილი დროის შედეგად კომპანიის თანამშრომლები უფრო ბედნიერად გრძნობენ თავს, მათ საკმარისი დრო აქვთ სამუშაოს შესასრულებლად და ნაკლებად არიან პროფესიული „გადაწვის“ მსხვერპლნი. ასევე აქვთ შესაძლებლობა იყვნენ უფრო პროდუქტიულები, აქტიურები.

დროის მენეჯმენტის გამოწვევები თანამედროვე პირობებში უკავშირდება ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებას. ამ უკანასკნელის გამოყენება ზრდის დროის მართვის მოქნილობას და ეფექტურობას. იცვლება და მარტივდება დასაქმებულების ურთიერთობის საშუალებები. დისტანციურად პროცესების მართვა, ორგანიზაციების შიდა ლოკალური ქსელი ზოგავს დიდ დროს, უსადენო კავშირების წყალობით არ არსებობს გეოგრაფიული შეზღუდვები. ზოგადად მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში კორონავირუსის პანდემიის გამოწვევები გარკვეული გამოცდილება გახდა დროის მართვის მენეჯმენტის გამდიდრების თვალსაზრისით. კერძოდ, ადამიანები სერიოზულად დაგვაფიქრა არა მხოლოდ ფორსმაჟორულ სიტუაციაში, არამედ ნებისმიერ დროს მაქსიმალურად გამოვიყენოთ დისტანციური მუშაობის უპირატესობები დროის რესურსის რაციონალურად ხარჯვის მიზნით, ზოგადად, დროის მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდისთვის.

თანამედროვე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დროის, როგორც არა მხოლოდ ბიზნეს საქმიანობის, არამედ ზოგადად, ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი რესურსის გაგებას. ადამიანებმა საკუთარი თავი მხოლოდ პროფესიასთან არ უნდა გავაიგივოთ, როგორც ეს უმეტეს შემთხვევაში ხდება. ბიზნესი თუ სამსახურებრივი მიზნები გვეხმარება ოჯახური მიზნების განხორციელებაში. ეს ყოველივე დროის სწორმა მენეჯმენტმა უნდა დააბალანსოს პიროვნული განვითარების მიზნებთან, პერსონალურ განვითარებასთან. თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში ადამიანები აფასებენ ცხოვრებას სამსახურს მიღმა, თუმცა სამსახურში ისინი მაქსიმალურად არიან ორიენტირებული მათ საქმეზე. ეფექტური დროის მენეჯმენტი მათ საშუალებას აძლევს იმუშაონ უსაფრთხოდ, იყვნენ ჯანმრთელები, ჰქონდეთ მეტი თავისუფალი დრო საკუთარი განვითარებისთვის, ოჯახისთვის. გავიხსენოთ, რომ ველური კაპიტალიზმის პირობებში, როცა უმუშევარი დასაქმებულზე ახდენდა ფსიქოლოგიურ ზეგავლენას, ის თანხმდებოდა შრომის ყოველგვარ არაადამიანურ პირობებზე, მათ შორის არანორმალურ სამუშაო დროზე. ამის დაუშვებლობა თანამედროვე პირობებში შესაბამისი ბერკეტების მეშვეობით სახელმწიფოს გონივრული ინტერვენციითაა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ დიდია შრომის საერთაშორისო ნორმების მნიშვნელობა თანამედროვე გლობალიზებული სამყაროსთვის. ის ემსახურება იმას, რომ თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკური განვითარება ადამიანის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასთან ერთად, ორიენტირებული იყოს მისი ღირსების განმტკიცებაზე. როგორც ქვეყნების გამოცდილებამ გვიჩვენა შრომის საერთაშორისო ნორმების დაცვის უშუალო შედეგი შრომის ნაყოფიერებასა და ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 1919 წელს, ხელს უწყობს ცივილიზებული საზოგადოებისთვის შესაბამისი შრომის საერთაშორისო ნორმების სისტემის შექმნას და განვითარებას. ყოველივე ამის შედეგია ისეთი საერთაშორისო ბერკეტების არსებობა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მასობრივად ყველას სარგებლობა ეკონომიკური ზრდით მიღებული სიკეთით.

საქართველოში წლების განმავლობაში დროის მართვის პრაქტიკას შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ბოლო ათწლეულებში სულ უფრო ვრწმუნდებით, რომ სამართლიანი წესებით მომუშავე შრომის ბაზარი უფრო ეფექტურია და მოაქვს მეტი კეთილდღეობა არა მხოლოდ დასაქმებულებისთვის, არამედ დამსაქმებლებისთვის და ზოგადად, მთელი საზოგადოებისთვის.

საქართველოში აღნიშნული საკითხი შრომის სამართლის რეგულირების ობიექტია, რომლის მიზანს წარმოადგენს დასაქმებულთა უფლებების დაცვა. შრომის კანონმდებლობაში 2020 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული რეფორმის საფუძველი იყო 2014 წელს ევროკავშირთან დადებული შეთანხმება, რითაც ქვეყანამ აიღო ვალდებულება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების თუ სხვადასხვა ევროპული დირექტივები განეხორციელებინა საკანონმდებლო ცვლილებებში. რეფორმა შეეხო ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამუშაო დროის ნორმირება, მისი აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმის დაწესება, ღამის სამუშაოზე მომუშავეთა უფლებები, ცვლაში მუშაობა; თუმცა მეტ სიცხადეს მოითხოვს საკითხი ზეგანაკვეთური სამუშაოს შესახებ. შრომის სამართალში შესვენებისა და სამუშაო დროის რეგულირება ავალდებულებს დამსაქმებელს გაითვალისწინოს დასაქმებულის საჭიროებები, ხელი შეუწყოს დასვენების უფლებას, რაც აისახება დასაქმებულის პროდუქტიულობის ზრდაში და მისი სამსახურებრივი და პირადი ცხოვრების დაბალანსებაში. შრომის უსაფრთხოების სამსახურის განვითარება ქვეყანაში ერთ-ერთი მნიშვნლოვანი ნაბიჯი გახდება ადამიანის შრომის უსაფრთხოების, მისი შრომის პირობების და სამუშაო დროის ხარისხიანი გამოყენებისთვის.

დროის მენეჯმენტი და ზოგადად დროის ფენომენი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც მიკროეკონომიკაში, ისე მაკროეკონომიკაში. შეიძლება ითქვას, რომ მათი განცალკევება მხოლოდ პირობითია. შესაბამისად, კითხვა, თუ როგორ უნდა გავითვალისწინოთ დრო, მუდმივად აისახება როგორც მიკროეკონომიკის, ისე მაკროეკონომიკის დონეზე, როგორც მისი პოზიტიური, ისე ნორმატიული პერსპექტივიდან. მოგების მიღება უკავშირდება დროს, დღეს უფრო მეტ მოგებას მიიღებს ის, ვინც თავის კონკურენტზე ადრე აწარმოებს ახალ საქონელს

და მომსახურებას. თითქმის არ არსებობს საკითხი, რომელიც არ უკავშირდებოდეს დროის რაციონალურ გამოყენებას, მაგალითად, ის გასათვალისწინებელია კვლავწარმოების ყველა სტადიაზე; ფულის ღირებულება დროში, სახელმწიფოს მიერ მაკროეკონომიკური ღონისძიერების დაგეგმვა გონივრულ დროში, ანტიინფლაციური ღონისძიებები დროში, ის განუყოფელია ეკონომიკური ზრდისგან, ცხოვრების დონისგან; თავისუფალი დროის არებობა ადამიანის ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. საზოგადოებრივი წარმოების და ზოგადად ეკონომიკის მიზანი არის ადამიანი და მისი ყოველმხრივი განვითარება, რაც წარმოუდგენელია თავისუფალი დროის გარეშე. თავისუფალი და სამუშაო დროის თანაფარდობა ქვეყანაში მისი განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, ეკონომიკის სოციალიზაციისა და ჰუმანიზაციის კვალობაზე არის სამუშაო კვირის ხანგრძლივობის შემცირების ტენდენცია.

დროის ეკონომია, რომელიც ეფექტური დროის მენეჯმენტის შედეგია ნებისმიერი საზოგადოების განვითარების კანონია. ის ამა თუ იმ ეკონომიკური სისტემის პირობებში უპირატესად გაბატონებული კლასის სასარგებლოდ გამოიყენებოდა. თანამედროვე ცივილიზებული საბაზრო სისტემის პირობებში ის როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებულებისა თუ სახელმწიფოს კეთილდღეობას უკავშირდება, თავისუფალი დრო ეკონომიკური კეთილდღების არამატერიალური მახასიათებელია. ადამიანს ეძლევა საშუალება ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს სამსახურს მიღმა და სწორედ ეფექტურად დაგეგმილ სამუშაო დროში შექმნილი ღირებულება იყოს მისი კეთილდღეობის საშუალება და არა მიზანი. რამდენადაც საბოლოო მიზანი კი ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხია, რომელიც არა მხოლოდ ფიზიკურ და ფულად სიდიდეებში, არამედ სულიერ ფასეულობებში იზომება.

ამდენად, დრო უნდა განვიხილოთ, არა მხოლოდ ეკონომიკური რესურსი, ამასთანავე როგორც სოციალური ფენომენი, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად რეალიზდეს, როგორც სოციალური არსება. აღნიშნულის გარანტი კი თანამედროვე საბაზრო სისტემაში უნდა იყოს სახელმწიფო თავის ხელში არსებული ეკონომიკური და სამართლებრივი ბერკეტებით.

რამდენადაც ყოველთვის არსებობს რისკი, რომ დამსაქმებელმა დასაქმებულის მიმართ არაკეთილსინდისიერად გამოიყენოს თავისი უპირატესობა, სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს შესაბამისი მექანიზმებით ადამიანების უფლებების დასაცავად.

ლიტერატურა და ინტერნეტწყაროები:

გეჩბაია ბ., *დროის მენეჯმენტი,* 2014. ელექტრონული ვერსია.

ხარხელი მ., მორჩილაძე გ., *დროის მენეჯმენტი,* თბ., 2016.

ელისო ქავთარაძე, *მენეჯერის დროის გამოყენების არსი და მნიშვნელობა,*

ჟ. სოციალური ეკონომიკა. XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები, ოქტომბერი, 2014, გვ. 103.

თამაშის წესები/მოკლე შესავალი შრომის საერთაშორისო ნორმებში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია. თბ.2009.

https://www.ilo.org/documents/publication/wcms_226313.pdf

დრო, ყველაზე ღირებული, მაგრამ ნაკლებად დაფასებული რესურსი; თ. დუშუაშვილი. კვლევა. სექტემბერი 23, 2016 https://forbes.ge/blogs/e1-83-93-e1-83

What is the Time Management. By Ben Lutkevich, Technical features writer Ivy Wigmore (techarget.com /whatis /de nition /time-manajement.

საქართველოს შრომის კოდექსი.

https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=24

შორენა პაჭკორია

ბიზნესრისკები შეფასება და მართვა

„რისკი მომდინარეობს მაშინ, როცა არ ვიცით რას ვაკეთებთ„
/ურენ ბაფეტი/

აბსტრაქტი: სამყარო მუდმივად იცვლება, ბევრი სიახლე ინერგება. ბევრი ისეთი სიახლეა მსოფლიოს განვითარება მაღალ საფეხურზე აჰყავს. განვითარების დიდი დოზით განმსაზღვრელი არის ეკონომიკური მდგომარეობა, ეკონომიკის წინსვლაში კი ბიზნესს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. უფრო მეტიც, სწორედ ბიზნესის განვითარება განაპირობებს ეკონომიკურ სიძლიერეს.

ნებისმიერი ბიზნეს პროცესი გვერდს ვერ აუვლის გართულებებს ანუ რისკებს. სწორედ მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილება ან სხვა შემასუსტებელი ქმედებების შემუშავება და განხორციელება არის რისკის მართვა.

აღნიშნული სტატიის მიზანია რისკის მართვის თავისებურებების განხილვა მცირე და საშუალო საწარმოებსა თუ მსხვილ საწარმოებში.

კვლევის საგანია თანამედროვე ტენდენციები, დაზღვევის მექანიზმები, რისკის შემცირების მეთოდები.

საკვანძო სიტყვები: რისკი, დაზღვევა, შრომის უსაფრთხოება, შრომითი რესურსი, ბიზნეს გარემო, ჰეჯირება, კონკურენტუნარიანობა, მართვა, სტატისტიკა.

Shorena Pachkoria

RISK ASSESSMENT AND MANAGEMENT IN BUSINESS

Abstract: The constantly changing world continues to produce a variety of innovations. Most innovations encountered today result in a higher level of economic development in the world for which the role of business is crucial. Furthermore, it is business that leads a country to

economic strength and sustainability. However, businesses face risks and complications. Hence the need for risk management for prevention of anticipated complications.

This article discusses the features of risk management in small, medium-sized and larger enterprises with a further research focus on modern tendency, insurance mechanisms, and risk reduction methods.

Tags: *risk, insurance, labor safety, labor resources, business environment, hedging, competitiveness, management, statistics.*

იმისათვის, რომ მიღწეულ იყოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება არის უმთავრესი. რადგანაც ბიზნესი და ბიზნეს გარემო არ არის საერთო სასიცოცხლო ეკოსისტემას მოწყვეტილი, ერთიანობაში უნდა განვიხილოთ ბიზნეს გარემო და სოციალური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. ბიზნეს გარემოზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ის ხასიათდება არასტაბილურობით, აგრეთვე ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია, რადგან შედგება ისეთი ელემენტებისაგან, რომელთა გავლენაც არ არის დათვლადი, პროგნოზირებადი, წინასწარ გათვლილ-გარკვეული.

როგორც ვიცით, ბიზნეს გარემოს შემადგენელია კონკრეტული გარემო და ზოგადი გარემო, რომელიც თავისთავად ისეთი კომპონენტებისაგან შედგება, როგორიცაა მომხმარებლები, მომწოდებლები, კონკურენტები, საჯარო ადმინისტრაციები, ფინანსური პირები, საზოგადოება, ბაზარი; აგრეთვე იურიდიული, ეკოლოგიური, ტექნოლოგიური, ეკონომიკური კომპონენტები. დღევანდელ რეალობაში, როცა სოციალური და ტექნოლოგიური განვითარება დიდი სიჩქარით იცვლება, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტი კავშირშია სამეწარმეო და საინვესტიციო რისკების ზრდასთან. სწორედ რისკის მართვის უკეთ შესასწავლად, გასაუმჯობესებლად, ახალი მიდგომების დასანერგად საჭიროა შესწავლილ იქნას ბიზნეს გარემო. ბიზნეს სექტორის განვითარების ტენდენციები ბიზნესზე მოქმედ ფაქტორებთან, დარგების თავისებურებებთან და არსებულ მდგომარეობასთან ერთად.

რისკი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, იგი გაურკვევლობის საფუძველზე მოულოდნელად შეიძლება თავს დაგვატყდეს. თუ გავაცნობიერებთ რისკის საფრთხეს

და მისგან გამოწვეულ შედეგებს, მას უნდა დავუპირისპიროთ გარკვეული ქმედებები, სიტუაციის სიმძიმის შესამცირებლად და ზარალის გასანეიტრალებლად. რისკის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად გაწეული ყველა ღონისძიების დაგეგმვას, განხორციელებას რისკის მართვა ეწოდება.

რისკის მართვა ერთგვარი პროცესია, რომლის სწორად წარსამართად აუცილებელია მოხდეს რისკის იდენტიფიცირება. განვსაზღვრავთ, როგორ რისკთან გვაქვს საქმე: სტრატეგიულთან, ოპერაციულთან, საფინანსო რისკთან, საკანონმდებლო, შესაბამისობის რისკთან, საინფორმაციო რისკთან, პასუხისმგებლობის რისკთან, ბიზნეს-რისკთან, ადამიანური რესურსების რისკთან, უკანონო ქმედებების რისკთან; სოციალურ, ეკოლოგიურ, ეკონომიკურ, ფინანსურ თუ სხვა რისკებთან და მხოლოდ ამის შემდეგ მოვახდენთ რისკის შეფასებას, ანუ მოვახდენთ ანალიზსა და გაზომვას.

რისკის შესახებ ანგარიშის შედგენის შემდეგ ხდება გადაწყვეტილების მიღება, რისკის მართვის ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით. ბოლოს კი რისკის მართვის პროცესი სრულდება მონიტორინგითა და კონტროლით.

რისკის მართვის ღონისძიებებში შედის რისკის მართვის მეთოდების შერჩევა. რისკის მართვის მეთოდებია: რისკის აღმოფხვრა, რისკის შემცირება, რისკის დაკავება, რისკის გადაცემა, ჰეჯირება და ა.შ. რისკის მართვას შესაბამისი რესურსი და ცოდნა სჭირდება.

ბოლო წლებში რისკების სპექტრი გაფართოვდა. მაგალითად, კორონავირუსის პანდემიის გამო კაცობრიობა დიდი გამოწვევების წინაშე დადგა. გაურკვევლობამ და არამდგრადობამ ერთგვარი კრიზისული პერიოდი მოიტანა, რაც რა თქმა უნდა ბიზნეს-რისკებზეც აისახა.

რისკის შემცირების გზების ძიება თანამედროვე მსოფლიოში საჭირო აუცილებლობად იქცა. შესაბამისად რისკ-მენეჯმენტის თეორიაცა და პრაქტიკაც საკმაოდ აქტუალური გახდა.

ეკონომიკური საქმიანობისას ბიზნესმენი ხშირად არის გაურკვევლობაში, შეხება აქვს დეფიციტთან, ინფორმაციის ასიმეტრიულობასთან და ა. შ. აქედან გამომდინარე კი მას მუდმივად აქვს შეხება რისკთან.

მეწარმე მაქსიმალურად გათვლილ-გაზომილი დაგეგმვის პირობებშიც კი არ არის დარწმუნებული იმაში, რომ ზარალი არ ექნება; ძალიან ბევრი ფაქტორია რომელიც გაუთვალისწინებელ რეალობას ქმნის და რომელიც სპეციფიკურ მიდგომას საჭიროებს. ფაქტორები, იქნება ეს პოლიტიკური მდგომარეობა, ბუნებრივი სტიქიები, კონკურენცია თუ სხვა, ბიზნეს საქმიანობასთან მიმართებაში საჭიროებენ რისკ-მენეჯმენტში გათვალისწინებას. სწორედ ამიტომ საკითხი ძალიან აქტუალურია, განსაკუთრებით კი თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, ბიზნესის განვითარების კუთხით.

რისკისადმი დამოკიდებულება და მასთან გამკლავება სხვადასხვაგვარია მცირე და საშუალო თუ მსხვილი ბიზნეს-კომპანიების მხრიდან. მცირე და საშუალო საწარმოებისთვის რისკ- მენეჯმენტი საკმაოდ სუსტი წერტილია, რომლის შესაწავლაც აგრეთვე ძალიან აქტუალური საკითხია რადგან ყველა განვითარებული ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის მთავარ კომპონენტად მცირე და საშუალო საწარმოები ითვლება.

გაურკვევლობისას როცა მეტია რისკის ალბათობა, მცირე და საშუალო საწარმოები უფრო მეტად ზარალდებიან, ვიდრე მსხვილი საწარმოები. უნდა მოხდეს რისკ-მენეჯმენტის სტრატეგიისა და მეთოდოლოგიის დანერგვა მცირე და საშუალო საწარმოებში.

რისკის მართვას აიოლებს საფრთხეების გამოვლენა. საფრთხეების გამოვლენა არის ის ბერკეტი რომელიც საშუალებას გაძლევს უკეთ წარმართო რისკის შეფასებისა და კონტროლის პროცესი, რაც თავისთავად შესაძლებელს გახდის მოულოდნელობისათვის მეტნაკლებად მომზადებას, რისკებისა და დამატებითი ხარჯების შემცირებას.

რისკის მართვის პროცესი მოიცავს რისკის იდენტიფიკაციას, რისკის ანალიზს, რეაგირებას ფაქტორებზე და კონტროლს. მთლიანი ეს პროცესი ქმნის ბიზნესის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვან ნაწილს.

რისკის მართვის პროცესი

წყარო: https://corporatefinanceinstitute.com/resources/knowledge/strategy/risk-management/

იმისათვის, რომ არსებული მომხმარებლები შეინარჩუნონ და ახალი ბაზრები აითვისონ, კომპანიებს სჭირედბათ გარკვეული ინოვაციური მიდგომების შემუშავება და განხორციელება, რაც ფინანსურ რისკებთანაა კავშირში. ფინანსური რისკი ისედაც ბიზნესის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, ბოლო წლების განმავლობაში ბიზნესის ყველა სფეროში გაზრდილი კონკურენტუნარიანობის მიუხედავად, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ რისკების, მათ შორის ფინანსური რისკების მართვას. მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა უნდა გაიაზრონ, რომ ბაზარზე კონკურენტული პოზიციის მოპოვებაში სწორედ რისკის ეფექტურ მართვას შეუძლია დახმარება. ამ პროცესის სწორად წარმართვის შემდეგ დგება საკითხი როგორ მოიქცე - მიიღო რისკი, შეარბილო რისკი თუ უარყო რისკი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რისკის გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე უფრო მაღალია ვიდრე სხვა ტიპის საწარმოებზე. საინტერესოა, რომ მათი მხრიდან რისკის შესამცირებლად უფრო მეტად გამოიყენება რისკის დაზღვევა. ზოგადად რისკის შემცირების

მეთოდებიდან ძალიან საინტერესოა - დაზღვევა. აღსანიშნავია, რომ ყველა რისკი არ ექვემდებარება დაზღვევას.

გვაქვს: წმინდა რისკი, სპეკულაციური რისკი და ფუნდამენტური რისკი. წმინდა რისკი- ავტოსაგზაო შემთხვევა, ხანძარი, ქურდობა და ა. შ. სპეკულაციური რისკი - ამ რისკის დროს ან იგებ ან აგებ, ამ რისკს შეიძლება მივაკუთვნოთ მაგალითად აქციებში ფულის ინვესტირება. ფუნდამენტური რისკი - ბუნებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთანაა კავშირში. წმინდა რისკების დიდი ნაწილი ექვემდებარება დაზღვევას. დაუზღვევად ითვლება ისეთი რისკი, რომელსაც ვერ განსაზღვრავ მიახლოებით და სადაც შეიძლება კიდეც მოიგო და კიდეც წააგო, ანუ უმეტესად სპეკულაციური, საინვესტიციო და ფინანსური რისკები. რისკი, რომლის შემდეგაც მიღებული დანაკლისი ექვემდებარება აღრიცხვას და ხარჯი რომელსაც გასწევს დაზღვევა არაა ეკონომიურად გამართლებული, ვერ იქნება სადაზღვევო რისკი.

რისკების კლასიფიკაციიდან გამომდინარე, მართვის განსხვავებული მიდგომების სპეციფიკის გათვალისწინებით, საინტერესოა საქართველოში როგორ არის რისკების დაზღვევის საკითხი გადაჭრილი. 2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 18 სადაზღვევო კომპანია, რომლებიც ფლობენ სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას. 2022 წლის 9 თვის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 704,5 მილიონი ლარი. ამავე პერიოდის შედეგებით მზღვეველების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 157,2 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 34,9 მილიონი ლარი.

სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა შეადგენს 1 152,4 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 341,5 მილიონ ლარს.

სრული სტატისტიკური და ფინანსური მონაცემები იხილეთ შემდეგ მისამართზე: https://www.insurance.gov.ge/ka/Statistics

განსაკუთრებით საინტერესოა, როგორ ნაწილდება მოზიდული სადაზღვევო პრემია სახეობების მიხედვით:



წყარო: http://insurance.gov.ge/Statistics.aspx/Statistics

როგორც ვხედავთ, ყველაზე მაღალი პროცენტი მოდის ჯანმრთელობის, ქონების, სიცოცხლის, სატრანსპორტო საშუალებების დაზღვევაზე. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მეწარმეობრივი კუთხით დაზღვევაში არსებული პრობლემები ჯერ კიდევ გადაუჭრელია.

ძალიან მნიშვნელოვანია დაზღვევის, როგორც რისკის მართვის ერთ - ერთი სისტემის განვითარება.

✓ როგორ განიხილება მცირე და საშუალო ბიზნესში, რისკის სპეციფიკა?

✓ მსხვილ ბიზნესში როგორ ხორციელდება რისკის მართვა?

✓ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა და მათი წარმომადგენლებისათვის რა სახე აქვს რისკ საფრთხეებს?

✓ რახდება შრომის უსაფრთხოების კუთხით?

✓ როგორ აისახება რისკის მართვა საფინანსო სისტემის სხვადასხვა რგოლებში?

✓ როგორ აისახება მაკროეკონომიკურ წონასწორობაზე?

✓ მართვის რა მეთოდები შეიძლება იყოს შეთავაზებულ-მორგებული სხვადასხვა რგოლებისთვის ?

ეს არის საკითხები, რომელიც ძალიან აქტუალურია და რომლის კვლევაც საშუალებას მოგვცემს საინტერესო მიგნებები გავაკეთოთ, სიახლეები აღმოვაჩინოთ და დავნერგოთ. ბაზარზე

კარგად პოზიციონირებისათვის ფირმებმა სწორად უნდა უპასუხონ იმ გამოწვევებს, რამაც ბოლო პერიოდში იჩინა თავი. ბევრი ახალი სტანდარტი შემუშავდა, ბევრი ნორმა და წესი იქნა მიღებული რაც საჭიროებს სწრაფ და ადეკვატურ რეაგირებას. სადაზღვევო სექტორი ახალი სტანდარტების გათვალისწინების მხრივ საკმაოდ მოქნილია, სწრაფად რეაგირებს ხოლმე ახალ გამოწვევებზე; მაგალითად Covid-19 - ის პერიოდში ბევრ სადაზღვევო კომპანიის ანიუტეტს დაემატა „კოვიდ დაზღვევა„.

ჩატარებული კვლევების შედეგად, ბიზნეს გარემოს მდგრადი განვითარებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის გასაუმჯობესებლად ეფექტური იქნება რისკ- მენეჯმენტის დანერგვა საწარმოებში, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესში. აღსანიშნავია ისიც, რომ დღეს ძალიან აქტუალურია რისკების შეფასება შრომის უსაფრთხოებაში. ამ მხრივ ძალიან საინტერესოა, საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ; განსაკუთრებით კი მუხლი 6-7.

მუხლი 6. პრევენცია

1. დამსაქმებელმა მუშაობის ყველა ეტაპზე ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, საწარმოს სიდიდიდან და საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესის მიხედვით უნდა შეაფასოს ეს რისკი, უნდა განაახლოს რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი და მიიღოს შესაბამისი ზომები შემდეგი საერთო პრინციპების საფუძველზე:

ა) იზრუნოს არსებული რისკების თავიდან აცილებაზე;

ბ) შეაფასოს ის რისკები და საფრთხეები, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლებელია;

გ) იზრუნოს საფრთხის შემცირებაზე, მათ შორის, მისი წყაროს აღმოფხვრაზე;

დ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით ჩაანაცვლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები უსაფრთხო ან ნაკლებად საშიში ფაქტორებით;

ე) შეიმუშაოს თანამიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს საწარმოო გარემოსა და სამუშაო პროცესის თავისებურებებს;

ვ) ამ პუნქტის „ე„ ქვეპუნქტისა და საფრთხის შემცველი

ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შეიმუშაოს წერილობითი დოკუმენტი, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების რისკის შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ყველა სახის საქმიანობის დროს და საწარმოს მმართველობის ყველა დონეზე, ამ ღონისძიებების განხორციელების ვადებს, განმახორციელებლებს და განხორციელებისათვის საჭირო სახსრებს;

ზ) კოლექტიური დაცვის საშუალებებს მიანიჭოს უპირატესობა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებთან შედარებით, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი;

თ) დასაქმებულებს ჩაუტაროს შესაბამისი სწავლება (ტრენინგები) და ინსტრუქტაჟი;

ი) უზრუნველყოს სამუშაოს ადაპტირება დასაქმებულთან, განსაკუთრებით – სამუშაო სივრცის მოწყობის, სამუშაო აღჭურვილობის, სამუშაო და საწარმოო მეთოდების შერჩევის თვალსაზრისით, მონოტონური სამუშაოს შემსუბუქებისა და დასაქმებულის ჯანმრთელობაზე სამუშაოს გავლენის შემცირების მიზნით.

2. დამსაქმებელი ვალდებულია რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტი შეინახოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი წესით.

3. საწარმოს სპეციფიკიდან და რისკის შეფასების შესახებ დოკუმენტიდან გამომდინარე, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო პირობების უზრუნველსაყოფად და სამუშაო ადგილზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან ასაცილებლად დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) ფუნქციების განაწილების საფუძველზე წერილობით განსაზღვროს შრომის უსაფრთხოების სფეროში შესაბამისი დასაქმებულების და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა;

ბ) უზრუნველყოს რისკის შემცველ სამუშაო ადგილებზე მხოლოდ იმ დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის დაშვება, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სპეციალური სწავლება ან ინსტრუქტაჟი;

გ) გამოავლინოს და აღრიცხოს საფრთხის შემცველი სამუშაო ადგილები;

დ) უზრუნველყოს დაცვისა და კონტროლის სისტემების, საშიში ნივთიერებების შემგროვებელი და გამანეიტრალებელი აღჭურვილობების უწყვეტი და გამართული ფუნქციონირება;

ე) მოთხოვნის შემთხვევაში ზედამხედველ ორგანოს მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტი და შეასრულოს ამ ორგანოს მითითებები;

ვ) საწარმო აღჭურვოს შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;

ზ) დასაქმებული და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირი უფასოდ აღჭურვოს აუცილებელი ეფექტიანი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით იქ, სადაც ეს აუცილებელია მათი სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავად, უზრუნველყოს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავე და ტექნიკური გამართულობა;

თ) უზრუნველყოს დასაქმებულისათვის წინასწარი და პერიოდული სამედიცინო შემოწმების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ი) არ დაუშვას სამუშაოზე დასაქმებული ან/და სხვა პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში იმყოფება, და ამ მიზნით შიდა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვროს დასაქმებულების ან/და სხვა პირების ჯგუფი, რომელიც უფლებამოსილი იქნება, ზედამხედველობა გაუწიოს აღნიშნულ პროცესს. „

წყარო : https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=1

რისკ-მენეჯმენტი შედარებით სწორად წარიმართება ისეთ კომპანიებში, რომელთაც ჰყავთ უცხოური დამფუძნებლები ან პარტნიორები. რადგან ხდება მათი გამოცდილების გაზიარება, ამიტომაც უფრო კონკურენტუნარიანები არიან.

ნებისმიერი საქმის წამოწყება სხვადასხვა სახის რისკებთანაა კავშირსში, მითუმეტეს, თანამედროვე გამოწვევების ფარგლებში მრავალი ახალი და განვითარებადი რისკი გაჩნდა. ხშირ შემთხვევაში მეწარმე ვერ ამბობს რომელი რისკია უფრო მნიშვნელოვანი მისთვის. საჭიროა მეტად იყოს ინფორმირებული არნიშნულ საკითხებზე.

ბოლო პერიოდში საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში თავი იჩინა შრომითი რესურსის დეფიციტმა. ეს ახალი ფენომენი საჭიროებს შემდგომ კვლევებსა და ისეთი ქმედითი

ღონისძიებების გატარებას რომელიც აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრას მოემსახურება; რადგან თავისთავად საკითხი სამართავად საკმაოდ რთულია. აღნიშნული პრობლემის წარმოქმნას გარკვეულწილად ხელი შეუწყო პანდემიამ, თუმცა შემდგომში გარკვეულ ქვეყნებში სხვადასხვა მიზეზებმა გაამყარა.

მეწარმე არ უნდა გადასცილდეს რისკის დასაშვებ ზღვარს, რისთვისაც მან კარგად უნდა გაანალიზოს არსებული და მოსალოდნელი რისკ-ფაქტორები. უნდა ერკვეოდეს რისკების შემცირების ოთხ ძირითად სტრატეგიაში რათა სწორად განსაზღვროს რისკის მოხდენის ალბათობა, რისკის უარყოფითი გავლენა და მათგან გამომდინარე გამოთვალოს საერთო შეფასება.

ლიტერატურა:

ნუგზარ პაიჭაძე, *ადამიანური რესურსების მართვა,* თბილისი 2018.

Allen, L., Boudoukh, J., Saunders, A. (2004).Understanding Market, Credit and Operational Risk. USA, Blackwell Publishing

გია სურგულაძე, ციური ფხაკაძე, ალექსანდრე კეკენაძე, *ორგანიზაციული მართვის ბიზნესპროცესების მოდელირება და ავტომატიზაცია,„* თბილისი 2016.

თეიმურაზ ცაბაძე, დალი მაგრაქველძე, *რისკების შეფასება განუზღვრელ პირობებში„,* თბ., 2021.

https://www.researchgate.net/ gure/Classi cation-of-types-of-risk_tbl1_5184105

http://insurance.gov.ge/Statistics.aspx/Statistics

https://corporate nanceinstitute.com/resources/knowledge/strategy/risk-management/

https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=1

გიული ეხვაია

მუნიციპალური ბიუჯეტი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ხარისხიანი სოციალური სერვისით უზრუნველყოფის, მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის აქტუალური საკითხები. განხილუალია არსებული მდგომარეობა და ყურადღება გამახვილებულია ამ მიმართულებით არსებულ ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა: საგადასახადო შეღავათები; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (სამიზნე აუდიტორიის) დადგენა; სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებს შორის ეფექტური კოორდინაცია; შშმ პირთა დასაქმება. განხილულია თითოეულის რეალიზების პრაქტიკული გზები. ხაზგასმულია, რომ შესაძლებელია შშმ პირებზე ზრუნვის უფრო ეფექტური პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც დაეფუძნება ბენეფიციართა ფინანსურ გაძლიერებას.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური ბიუჯეტი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხარისხიანი სოციალური სერვისი.

Giuli Ekhvaia

MUNICIPALITY BUDGET AND PERSONS WITH DISABILITIES

Abstract: The article discusses the current issues of providing quality social services to persons with disabilities living in Zugdidi municipality, with the aim of improving their physical and social condition and integrating them into society. In particular, attention is focused on the problematic situations such as: tax benefits identification of persons with disabilities, effective coordination between service providers and the target population, and employment of persons with disabilities. The article includes practical ways of realizing each of these goals. It concludes it is possible to establish more effective practices of caring for persons with disabilities, which will be based on the financial empowerment of the beneficiaries.

Tags: Municipality budget. Persons with disabilities. Quality social services.

მოქმედი კანონმდებლობით „ადგილობრივი თვითმმართველობა არის საქართველოს მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები.„ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429. სხვა სიტყვებით, მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრებთა, აგრეთვე, იქ განლაგებულ საწარმოთა სპეციფიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციას.

ვინაიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და იქ მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების მოგვარება ადგილობრივი ხელისუფლების პრეროგატივაა, შესამაბისი დაფინანსებაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხორციელდება. ასეთ საჭიროებათა მგრნობიარე სფეროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში – შშმ) პირთა ხარისხიანი სოციალური სერვისით უზრუნველყოფა, მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. ქვეყანაში ამ საკითხს, წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა, და ამ მიმართულებით სულ უფრო მეტი თანხა იხარჯება. ზუგდიდის მუნიციპალიტის მერია გარკვეულ ყურადღებას უთმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინებასა და ამავე მიზნით საბიუჯეტო სახსრების მობილიზებას, ასე მაგალითად:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია ამ მიმართულებით სხვადასახვა პროგრამის დაფინანსება, რაც გულისხმობს გარკვეული ლიმიტის ფარგლებში, როგორც ერთჯერადი ფულად დახმარების გაწევას, ასევე

დაფინასებით ან/და თანადაფინანსებით წამლების, მკურნალობის, მოვლის, რეაბილიტაციისა და აბილიტაციის პროგრამების განხორციელებას, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფასა და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი პროგრამებით სარგებლობის პირობაა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ამავდროულად იყოს სოციალურად დაუცველი. ვფიქრობთ, პროგრამით სარგებლობა შშმ პირის სტატუსის მქონე ყველა პირს უნდა შეეძლოს.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, ამ მიმართულებით მომუშავე არასამთავრობო სექტორის წამომადგენლებითა და თვით შშმ-პირებით. საბჭო მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვა-ფორმირებაში მონაწილეობის მიღებას შესაბამისი მომსახურეობის გაწევის ეფექტური მექანიზმების შესამუშავებლად. განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, გამოწვევად რჩება, რისკჯგუფში მყოფ პირთა და მათი მხარდამჭერთა მხრიდან, უსამართლობის განცდა შესაბამისი თანხის განაწილების ან/და პროგრამების დანერგვის ან/და უკვე დანერგილში ჩართვის პროცესი. ცხადია, ყველასთვის მოსაწონი და აუცილებელი სერვისებით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ შშმ პირთა უზრუნველყოფა შეუძლებელია. მაგრამ ასეთი განცდის აღმოფხვრის თუ არა, შემცირების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია ერთის მხრივ, სწორი საინფორმაციო კამპანიის წარმოება, მეორეს მხრივ კი მიღებული გადაწყვეტილებების მკაფიო და დამაჯერებლად დასაბუთება.

ამასთან, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N69 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) დამტკიცდა სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვთა ზრუნვის სახელმწიფო პროგრამა, რომლითაც რიგი მნიშვნელოვანი საკითხებია გათვალისწინებული სხვადასხვა კატეგორიის მოსარგებლეებთან ერთად შშმ პირთა რეაბილიტაციისა და დახმარების საკითხებზე. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5727062. პროგრამის საქვეუწყებო ტერიტორიაზე განხორციელებაში მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის როლი. ამის დადასტურებაა ამ მიმართულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯების

მოცულობა, რომელსაც ზრდის ტენდენცია ახასიათებს და ასე გამოიყურება:

2013 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები სულ შეადგენდა - 15.841,5 ათას ლარს, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები განსაზღვრული იყო - 1,173.0 ათასი ლარით. (https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1809846), 2023 წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განსაზღვრულია - 49.426.5 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები - 3,285.0 ათასი ლარით (https://matsne.gov.ge/ka/document/view/5674039). ცხადია, სოციალური მომსახურეობის დიდი ნაწილი ცენტრალური ბიუჯეტიდან ფინანსდება და მუნიციპალიტეტების, მათ შორის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები სრულად შშმ პირების საჭიროებებისა და სერვისისათვის არ და ვერ გაიცემა. აღნიშნულ სფეროში არსებულ მდგომარეობას ჩვენ ამ პრიზმიდან ვაფასებთ და ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგ გარემოებაზე: 1. ბოლო ათწლეულში მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული სოციალური ხარჯები გასამმაგდა; 2. მიუხედავად ზრდისა, აღნიშნული ხარჯები უცვლელად შეადგენს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯების დაახლოებით 1/15 ნაწილს.

მიუხედავად იმისა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტი (ბიუჯეტი) შშმ პირთა ხარისხიანი სოციალური სერვისით უზრუნველყოფის, მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადებაში ინტეგრაციის მიზნით სულ უფრო მეტ პროგრამას ნერგავს და აფართოებს ამ მიმართულებით დაფინანსებას, ჯერაც ბევრი გამოწვევაა, რომელთაგან ჩვენ გამოვყოფთ შემდეგს:

საგადასახადო შეღავათები;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოვლენა (სამიზნე აუდიტორიის დადგენა);

სერვისის მიმწოდებელ სუბექტებს შორის ეფექტური კოორდინაცია (თანამშრომლობა);

შშმ პირთა დასაქმება;

დეცენტრალიზაცია.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალე:

საგადასახადო შეღავათები.

მოქმედი კანონმდებლობით შშმ პირები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისაგან - განსაზღვრულია დაუბეგრავი მინიმუმი. ვფიქრობთ, აღნიშნული საგადასახადო შეღავათი ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

დასაქმებული შშმ პირები საშემოსავლო გადასახადისგან სრულად უნდა თავისუფლდებოდნენ დაუბეგრავი მინიმუმის განსაზღვის გარეშე. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ დასაქმებულთა მთლიან რაოდენობაში შშმ პირთა ხვედრითი წილი არ არის იმ მასშტაბის, რომ ამ სახის შეღავათმა მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი მიაყენოს ქვეყნის ბიუჯეტს.

სხვადასხვა მიზეზების გამო, შშმ პირთა გარკვეული/დიდი ნაწილი ვერ ახერხებს მუშაობასა და ამ შეღავათით სარგებლობას. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, არასრულწლოვანი შშმ პირის მშობელზე და სრულწლოვანი შშმ პირის მხარდამჭერზე (მზრუნველზე), რომელიც რეალურად ზრუნავს ამ ადამიანზე, გავრცელდეს აღნიშნული საგადასახადო შეღავათი. ეს წაახალისებს ამ ოჯახების სოციალიზაციასა და ფინანსურ კეთილდღეობას. მრავალგზის დადასტურებულია, რომ სოციალური დახმარების/შემწეობის გაცემაზე გაცილებით ეფექტურია მხარდაჭერის მიმღებ პირთა მატერიალურად გაძლიერება, რომ თვითონ შეძლონ თავისი საჭიროებების უზრუნველყოფა.

სასურველია, საშემოსავლო გადასახადთან დაკავშირებული შეღავათები ტერიტორიულ პრინციპს დაეფუძნოს და განვიხილოთ ტერიტორიულ ჭრილში. აღნიშნულის განხორციელება ტექნიკურად სირთულეს არ წარმოადგენს, ტერიოტრიული პრინციპით ამ გადასახადის მიხედვით შეღავათები, როგორც ცნობილია, მაღალმთიან რეგიონებში გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში, ადგილზე მომუშავე შშმ-პირის ან მისი მხარდამჭერის (მზრუნველის) საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლება (თუნდაც დღეს მოქმედი პრაქტიკის ფარგლებში მხოლოდ შშმ პირების) კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში დასაქმების (ყოფნის) გამო, გაუმართლებელი შიდამიგრაციულ პროცესების შემცირების კონტექსტშიც მიმზიდველია, მოსახლეობის რეგიონებში დაკავების

თვალსაზრისით. ეს შეღავათი ხელს შეუწყობს შშმ პირთა ოჯახის კეთილდღეობას. თუ რეგიონში სათანადო პირობები არ იქნება, ოჯახი ეცდება გადაბარგდეს იქ, სადაც, უკეთ გაართმევს თავს თავისი საჭიროების მოგვარებას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გამოვლენის პრობლემები.

შშმ პირების სტატუსის დადგენა და სათანადო სერვისით უზრუნველყოფის ძირითადი ტვირთი მოდის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ცენტრალურ ბიუჯეტზე (შესაბამისი ხარჯების დაფინასება). ეს ხორციელდება ცენტრალიზებულად, სოციალური სამსახურების მეშვეობით. ადგილობრივი ხელისუფლება თავისი ბიუჯეტით ამ პროცესში ერთგვარი „შემვსების„, დამხარის როლშია.

ვისურვებდით, რომ ადგილობრივი ხელისუფლების როლი ამ მიმართულებით უფრო არსებითი იყოს. ადგილზე, ადგილობრივი საჭიროებები/გამოწვევები უკეთ ჩანს, აღნიშნული შესაძლებელია თუნდაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წრის განსაზღვრისათვის (თუნდაც ზემოთ ნახსენები რეალური მზრუნველის გამოვლების კონტექსტში). მით უფრო, რომ ასეთი თანამშრომლობის წარმატებული გამოცდილება არსებობს ქვეყანაში. ასე მაგალითად:

საქართველოს დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის მოვალეობაა. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოსა და მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირების ვალდებულებანი მოქალაქის მიერ სამხედრო ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით მკაფიოდ გამიჯნულია https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31780. ამ გამიჯვნის შესაბამისად, დედისერთებს (რომლებიც კანონმდებლობით თავისუფლდებიან სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან) ავლენს მერია (ცხადია, მუნიციპალიტეტის როლი ამ სფეროში აღნიშნულით არ შემოიფარგლება).

პირის საქართველოსთან სამართლებრივი კავშირის დადგენისა (მოქალაქეობის დადგენის) და სხვა მიზნებისათვის პირის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოფნის ფაქტს მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული შესაბამისი კომისია ადგენს.

ეს მოკლე ჩამონათვალია ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული საკითხების გადაწყვეტაში ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების წამატებული თანამშრომლობის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გამოვლენის სფეროში არსებულ პრობლემებზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ ზემოხსენებული დადგენილებით „მულტიგუნდის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შემთხვევაში, რომელიც დადასტურებულია არგუმენტირებული, ხელმოწერილი დასკვნითა და ინფორმაციით, რომ მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს, გაუფორმოს ხელშეკრულება შშმ პირებთან მუშაობის გამოცდილების მქონე პირებს, რომლებიც უზრუნველყოფენ შესაბამის ბენეფიციარებზე ინდივიდუალური დახმარების განხორციელებას„ ინდივიდუალურ დამხმარედ არ შეიძლება, შეირჩეს მომსახურების მიმღები პირის მშობლები, და-ძმები ან/და მომსახურების მიმღებ პირთან ერთად მუდმივად მცხოვრები პირები, ასევე სასამართლოს მიერ დანიშნული მხარდამჭერი„, ანალოგიურია შინმოვლის პროგრამაში ჩასართვის პირობები (მულტიგუნდისშეფასება და ა.შ.) https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5727062 .

ვფიქრობთ, შესაბამისი სერვისის მიმღებ პირთა წრის განსაზღვრის ამ ფაქიზ სფეროში მხოლოდ „დასკვნასა„ და ინფორმაციაზე„ დაყრდნობით გადაწყვეტილებების მიღება გაუმართლებელია. ობიექტურად გაწერილი კრიტერიუმების არ არსებობისას, არსებობს ალბათობა, რომ გადაწყვეტილება მიიღება რომელიმე თანამშრომლის სუბიექტური შეხედულებით და მიზანი - სათანადო სერვისით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფა - ვერ განხორციელდეს. ამ კონტექსტში უფრო მნიშვენლოვანია შშმ პირის მხარდამჭერმა (მზრუნველმა) მიიღოს შეღავათი - არ გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი და ის იყოს ფინანსურად იმდენად დამოუკიდებელი, რომ ქონდეს შესაძლებლობა თვითონ შეარჩიოს დამხმარე (ასისტენტი) დამატებით ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე, იმ დროს და იმ ვადით, რასაც მიიჩნევს საჭიროდ შშმ პირის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. დღეს არსებული მიდგომა იწვევს პროცესის დროში გაწელვასა და დამატებით ძალისხმევას, სტატუსის მქონე პირთა კიდევ უფრო შეწუხებას.

სერვისის მიმწოდებელ სუბექტებს შორის ეფექტური კოორდინაციის (თანამშრომლობის) პრობლემა.

შშმ პირთათვის სათანადო მომსახურეობის გაწევა ხორციელდება როგორც სამთავრობო (ცენტრალური, ადგილობრივი), ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. არასამთავრობო ორგანიზაციებში გამოიყოფა, როგორც ადგილობრივი დონორებით, შემომწირელებით, ასევე უცხოელი დამფუძნებლებითა და დონორების მხარდაჭერით ფუნქციონირებადი სუბიექტები. ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს თვით შშმ პირების ან/და მათი ოჯახის წევრების მიერ თავისი ან/და ოჯახის წევრების საჭიროებათათვის შექმნილი-მომუშავე ორგანიზაციები. ასე ვთქვათ, შშმ პირთა თანამშრომლობა. ცალკე საუბრის თემაა, რომ მათი მოტივაცია და საქმიანობის ეფექეტურობაზე ზრუნვაც სხვებისგან განსხვავებული, უფრო სათუთი და უანგაროა. ვისურვებდით, ბევრ ასეთ ორგანიზაციას. თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტსა და საერთოდ, სამეგრელოს რეგიონში ასეთი მხოლოდ ერთი ორგანიზაცია ფუნქციონირებს.

თითოეულ ორგანიზაციას, თანამშრომლობას ამ ფაქიზი თემის/საკითხის გადაჭრაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს, მაგრამ არსებობს რიგი წინააღმდეგობები. უმნიშვნელოვანესად კი მიგვაჩნია შესაბამის პირთა წრის განსაზღვრის სირთულეები:

მიუხედავა იმისა, რომ მომსახურეობის მიმღებ (რისკჯგუფში მყოფ) პირთა წრე კანონითაა განსაზღვრული, გამოწვევად რჩება შესაბამისი სტატუსის მიღება (დადგენა). შესაბამისი სამედიცინო მომსახურეობის მიღება ყველგან არ არის ხელმისაწვდომი. უახლოეს წარსულში კი, სულაც რეგიონისა და დაწესებულებების მიხედვით დიფერენცირებული გახლდათ. ამჟამად, მიუხედავად იმისა, რომ ეს დიფერენციაცია შეიცვალა და გაიზარდა (გაფართოვდა) სტატუსის მიმნიჭებელ სუბიექტთა წრე, ხშირია შემთხვევა, როდესაც ექიმები (დაწესებულებები) ცდილობენ თავი აარიდონ სტატუსის დაგენასა და შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტის (დასკვნის) გაცემას. მიზეზი სხვადასხვაა. მათ შორის, პასუხისმეგბლობის თავიდან არიდების სურვილიც. შესაბამისად, არც თუ იშვიათია კონფლიქტური სიტუაციები სტატუსის დამდგენ (დაწესებულება, ექიმი) და სტატუს დასადგენ პირთა შორის.

არასამთავრობო ორგანიზაციები და თვით შშმ პირთა თანამშრომლობა რისკჯგუფში მყოფ პირებს საკუთარი ძალებით იძიებენ და მათ საკუთარი შეხედულებისამებრ არჩევენ. მაგრამ ამ ორგანიზაცებს, ხშირ შემთხვევაში, წესდებით დადგენილი აქვთ, რომ რისკჯგუფში მყოფ პირთა სათანადო სერვისით უზრუნველსაყოფად, ამ ადამიანებს უკვე უნდა ქონდეთ დადგენილი შშმ პირის სტატუსი. შეიძლება ითქვას, იქმნება მაგიური წრე, რომლის გარღვევა შშმ პირთათვის საკმაოდ რთულია. ეს გარემოება ზემოთ მითითებული პრობლემის მრავალწახნაგობისა და სირთულის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ამ წრის გასარღვევად ქმედითი, მაგრამ არა დაუძლეველი ღონისძიებებია გასატარებელი, მათ შორის ალბათ სტატუსის დამდგენთა (სამედიცინო დაწესებულების, ექიმის) მოვალეობის მკაფიოდ განსაზღრა და ჩამოყალიბება, საქმიანობის სათანადო ადმინისტრირება, დარღვევებზე დროული და ადეკვატური რეაგირება. არსებული პრობლემების მოგვარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს, სტატუსის დადგენა-შეფასების ბიო-ფსიქო-სოციალურ მოდელზე გადასვლა, ნაცვლად დღეს მოქმედი შეფასების სამედიცინო მოდელისა.

შშმ პირების დასაქმების პრობლემები.

კერძო სექტორში შშმ პირის დასაქმების შემთხვევაში სახელმწიფო უზრუნველყოფს (იღებს ვალდებულებას) მოაწყოს და სრულად ადაპტირებული გახადოს აღნიშნული ბიზნესი (პირის სამუშაო ადგილი). აღნიშნულის მიუხედავად, გამოწვევაა შშმ პირთა დასაქმება კერძო სექტორში.

ვფიქრობთ, უფრო ქმედითი იქნება, ბიზნესის სხვაგვარი წახალისება დაასაქმოს შშმ პირი. თუნდაც, ყოველ დასაქმებულ შშმ პირზე ბიზნესს რომ ქონდეს (გაეწიოს) გარკვეული საგადასახადო კონკრეტული შეღავათი, გარვკეული პირობებით გათავისუფლების ჩათვლით. ასეთი წარსული გამოცდილება ქვეყანას გააჩნია და დღემდე აქტიურად გამოყენება განვითარებულ ქვეყნებში. ასე მაგალითად, შესაძლებელია ყოველ დასაქმებულ შშმ პირზე საგადასახადო შეღავათის გაწევა ან დასაქმებულთა საერთო რიცხოვნებაში შშმ პირთა გარკვეულ ხვედრით წილზე საწარმოსათვის იმოქმედოს დაბეგვრის სპეციალურმა რეჟიმმა,

როგროც ეს ხდება მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირების, სპეციალური სავაჭრო ზონის სტატუსის მქონე იურიდიული პირების შემთხვევაში.

დეცენტალიზაცია.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, თითოეული მოქალაქისა თუ საზოგადოებრივი ჯგუფის თავისუფალი განვითარება, სრულფასოვანი საზოგადოებრივი მომსახურების წარმოება შეუძლებელია მხოლოდ ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში. იმისათვის, რომ მმართველობის სისტემამ ადეკვატურად უპასუხოს საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს და უზრუნველყოფილ იქნას მოქალაქეთა მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, აუცილებელია მმართველობითი უფლებამოსილებებისა და შესაბამისი რესურსების გადანაწილება მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის დონეებს შორის (https://mrdi.gov.ge/ka/press-) .

შშმ პირებზე ზრუნვის მრავალწახნაგოვანი და მგრძნობიარე პრობლემების გადაჭრაც მხოლოდ მუნიციპალიტეტების დონეზე შეუძლებელია. მუნიციპალიტეტმა (ჩვენს შემთხვევაში შშმ პირებზე ზრუნვის მიმართულებით) უნდა შეავსოს სამთავრობო სოციალური პროგრამებით განსაზღვრული ღონისძიებები და უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე შშმ პირთათვის სათანადო სერვისების ხელმისაწვდომობის, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა. აღნიშნულისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ის გარემოება, რომ ქვეყანაში რეალური დეცენტრალიზაცია და რეალური ადგილობრივი თვითმმართველობა ჯერაც არ დამკვიდრებულა. ასე მაგალითათ, სათანადო სერვისები მუნიციპალიტეტებმა უნდა გასწიონ, მაგრამ ბენეფიციართა წრის (რისკჯგუფში მყოფ პირთა) დადგენის პროცესზე ხშირ შემთხვევაში, გავლენა არ გააჩნიათ. რეალური დეცენტრალიზაციისა და რეალური ადგილობრივი თვითმმართველობის დამკვიდრების გარეშე, მუნიციპალიტეტებს ერთის მხრივ, რეალური ბერკეტი (უფლება-მოსილება) არ გააჩნიათ ქმედითი ღონისძიებების განსახორცილებლად, მეორეს მხრივ,

არც საკმარისი საკუთარი შემოსავლის წყაროები საიმისოდ, რომ თავისუფალნი იყვნენ მის განკარგვაში.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების გამიჯვნა სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე არის ის ბაზისი, რომელზე დაყრდნობითაც უნდა მოხდეს საბჭოური მემკვიდრეობით მიღებული ცენტრალიზებული მართვის საბოლოო გარდაქმნა, ცენტრიდან ადგილებზე უფლებამოსილებების თანდათანობითი გადატანა, რაც უზრუნველყოფს საკითხების ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით უფრო ეფექტიან და ოპერატიულ გადაწყვეტას; https://mrdi.gov.ge/ka/press-

ყოველივე ზემო აღნიშნულის რეალიზაცია ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში შშმ პირთა ხარისხიანი სოციალური სერვისით უზრუნველყოფის, მათი ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადებაში ინტეგრაციის უფრო ეფექტური პრაქტიკის დამკვიდრებას, რომელიც დაეფუძნება მხარდასაჭერთა ფინანსურ გაძლიერებას, შემწეობაზე ნაკლებ დამოკიდებულებას, აგრეთვე, თვითკმარობისა და თვითუზრუნველყოფის პრინციპებს.

ლიტერატურა:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №43 2012 წლის 28 დეკემბერი ქ. ზუგდიდი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1809846 24.04.2023წ.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №44 2022 წლის 28 დეკემბერი ქ.ზუგდიდი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5674039 24.04.2023წ.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №69 2023 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5727062 24.04.2023წ.

საქართველოს ორგანული კანონი-„ადგილობრივი

თვითმმართველობის კოდექსი„ https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429 24.04.2023წ.

დეცენტრალიზაციის სტრატეგია 2020-2025წ.წ. https://mrdi.gov.ge/ka/press- 29.04.2023წ.

საქართველოს კანონი სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ - https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/31780 06.07.2023წ.

ნუგზარ სარია

მხარეთა საპროცესო თანასწორობა

აბსტრაქტი: სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპია შეჯიბრებითობა, რომლის ერთ-ერთი ასპექტია მტკიცებულების მოპოვების უფლება, რაც დაკავშირებულია მხარეთა საპროცესო თანასწორობასთან. მაგრამ რამდენად რეალურია მხარეთა საპროცესო თანასწორობა, თუ ეს მხოლოდ დეკლარირებული უფლებაა? ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ დაცვის მხარის შეზღუდვები და მხარეთა შორის არსებული სხვაობა. მიმაჩნია, რომ დაცვის საგამონაკლისო უფლებები სისხლის სამართლის პროცესში იძლევა შესაძლებლობას მხარეთა უთანასწორობა დაბალანსდეს, რომ დაცვის მხარისათვის მიყენებულმა ზიანმა არ შექმნას გარკვეული არახელსაყრელი მდგომარეობა.

საკვანძო სიტყვები: *მხარეთა საპროცესო თანასწორობა, შეჯიბრებითობა, უთანასწორობის დაბალანსება, დაცვის საგამონაკლისო უფლებები, ზიანი, არახელსაყრელი მდგომარეობა.*

Nugzar Saria

PROCEDURAL EQUALITY OF THE SIDES

Abstract: The fundamental principle of criminal proceedings is adversarial, one of the aspects of which is the right to obtain evidence, which is connected with the procedural equality of sides. But how real is the procedural equality of arms? Or is it only a declared right? Our goal is to examine restrictions on the defense and differences between sides. The article concludes, the exclusive rights of the defense in criminal proceedings counterbalances the inequality of arms so that the damage caused to the defense does not create a disadvantageous situation.

Tags: Procedural equality of the parties, competitiveness, balancing inequality, Exclusive rights of protection, damage, Unfavorable situation.

სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპია შეჯიბრებითობა, რომლის ერთ-ერთი ასპექტია მტკიცებულების მოპოვების უფლება, რაც დაკავშირებულია მხარეთა საპროცესო თანასწორობასთან. ამ პრინციპების დაცვის გარეშე წარმოუდგენელია სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაცია. „მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა გულისხმობს დაცვის და ბრალდების მხარეთა თანაბარ შესაძლებლობებს, მოიპოვონ, შეისწავლონ, წარადგინონ და გამოიკვლიონ საკუთარი და მოწინააღმდეგე მხარის წარდგენილი მტკიცებულებები და მოსაზრებები; გამოთქვან საკუთარი მოსაზრება მეორე მხარის მიერ გამოთქმულ პოზიციასთან დაკავშირებით; საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებისას ისარგებლონ თანაბარი უფლება-მოვალეობებით და სხვ. სასამართლო კი უნდა იყოს აღნიშნულ შესაძლებლობების რეალიზების გარანტი. მხარეთა თანასწორობასა და შეჯიბრებითობაზე აგებული სისხლის პროცესის მიზანია უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი სასამართლო განხილვა“ (ავტორთა კოლექტივი, 2015, გვ. 13).

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძვლებს. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ გამოძიება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტადიაა პროცესში, ვინაიდან სწორედ გამოძიების ეტაპზე ხდება მტკიცებულებების მოპოვება. მტკიცებულებების შეფასების შემდეგ კი შეიძლება დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა. მხარეთა მიერ მტკიცებულებების გამოკვლევის საფუძველზე კი ვახორციელებთ მართლმსაჯულებას. ხშირ შემთხვევაში გამოძიების დაწყება და სისხლისსამართლებრივი დევნა დროში არ ემთხვევა ერთმანეთს. შედეგად, ბრალდების მხარეს აქვს უპირატესობა დაცვის მხარესთან შედარებით, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებამდე გამოძიება მიმდინარეობს ცალმხრივად, მხოლოდ ბრალდების მხარე მოიპოვებს მტკიცებულებებს. მაშასადამე, დაცვის მხარე მოგვიანებით ერთვება მტკიცებულებების მოპოვებაში, რაც რეალური ფაქტობრივი

გარემოებების აღდგენას ართულებს, დაკარგულია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელი მტკიცებულებები, მოწმეებს უჭირთ მომხდარის შესახებ ინფორმაციის დაზუსტება და ა.შ. აღნიშნულს ემატება გარკვეული შეზღუდვები მტკიცებულებების მოპოვებასთან დაკავშირებით. ასეთ ვითარებაში, რამდენად რეალურია მხარეთა საპროცესო თანასწორობა, თუ ეს მხოლოდ დეკლარირებული უფლებაა? ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ ეს შეზღუდვები და მხარეთა შორის არსებული სხვაობა. ასევე ვისაუბროთ მხარეთა შორის სამართლიან ბალანსზე.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე. ხოლო სსსკ-ის 25-ე მუხლის მეორე ნაწილით, მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა მხარეების კომპეტენციაა. /საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი/. მხარეთა თანასწორობა კი „გულისხმობს სამართალწარმოების მხარეებისათვის თანაბარი გონივრული შესაძლებლობების მინიჭებას მოიპოვონ და წარმოადგინონ მტკიცებულებები. მხარეთა თანასწორობა ფარდობითი ხასიათისაა და მოწინააღმდეგე მხარესთან შედარების მიზანია სამართლიანი ბალანსის უზრუნველყოფა მხარეებს შორის„(საკონსტიტუციო სასამართლო, 2017, გვ. 9). შესაბამისად, თანასწორობის პრინციპი არ არის აბსოლუტური ხასიათის, შესაძლებელია მტკიცებულებათა მოპოვებისას დაცვის მხარის უფლების შეზღუდვა. მაგრამ „სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შორის არსებული ობიექტური სხვაობა კომპენსირებული უნდა იყოს დაცვის მხარისათვის მინიჭებული სხვადასხვა საპროცესო ინსტრუმენტებით იმგვარად, რომ ბრალდებული არ აღმოჩნდეს არსებითად არახელსაყრელ მდგომარეობაში ბრალდების მხარესთან შედარებით„ (საკონსტიტუციო სასამართლო, 2017, გვ. 15).ამასთან, „ყველა გადახვევა ბრალდებისა და დაცვის თანასწორობის მკაცრი პრინციპიდან, ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლო განხილვის უსამართლობას. აუცილებელია დაცვის მხარისთვის მიყენებული გარკვეული ზიანის ჩვენება„. (შტეფან ტრექსელი, 2009, გვ. 122)

შევეხოთ დაცვის მხარის შეზღუდვებს მტკიცებულებების მოპოვებისას, შემდეგ კი იმ საპროცესო ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობით ხდება მხარეთა შორის არსებული სხვაობის კომპენსირება.

სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილში გადმოცემულია პროკურორის უფლებამოსილებები. მათ შორის, სასამართლოს მიმართოს გამოძიების პროცესში კერძო პირთაგან მტკიცებულებათა გამოთხოვის შუამდგომლობით; მოითხოვოს და დაუბრკოლებლად მიიღოს სახელმწიფო ორგანოებიდან დოკუმენტი თუ სხვა ნივთიერი მტკიცებულება. (სსსკ-ის 33-ე მუხლი, 2023) აღნიშნული უფლებები დაცვის მხარეს არ გააჩნია. შესაბამისად, მას არ შეუძლია კერძო პირთაგან გამოითხოვოს მტკიცებულებები, სახელმწიფო ორგანოებიდან მიიღოს სხვადასხვა დოკუმენტები თუ ნივთიერი მტკიცებულებები, რაც დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია.

სსსკ-ის 83-ე მუხლით გათვალისწინებულია მხარეთა მიერ შესაძლო მტკიცებულებათა შესახებ ინფორმაციის გაცვლა. მაგრამ მეხუთე ნაწილით, დაცვის მხარის უფლება ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება ბრალდების მხარის შუამდგომლობით შეზღუდოს სასამართლომ. მართალია ეს შეზღუდვა ეხება მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, თუმცა საკმაოდ ხშირად გამოძიება სწორედ ასეთ მტკიცებულებებს ეყრდნობა. შემდგომ, წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა მხარეებმა ერთმანეთს და სასამართლოს უნდა მიაწოდონ იმ მომენტისათვის მათ ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, რომლის მტკიცებულებად სასამართლოში წარდგენასაც აპირებენ. /საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი/. ე.ი. წინასასამართლო სხდომამდე დაცვის მხარეს არა აქვს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მნიშვნელოვან მტკიცებულებებზე. ხოლო წინასასამართლო სხდომამდე რამდენიმე დღით ადრე ამ ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ ინფორმირების ხასიათს ატარებს, ვინაიდან დაცვის მხარეს არ გააჩნია შესაძლებლობები დროის მცირე მონაკვეთში დამატებით ახალი მტკიცებულებები მოიპოვოს. ეს გარემოება სერიოზულ უპირატესობას უქმნის ბრალდების მხარეს.

მიგვაჩნია, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გადაცემის შეზღუდვა არ ემსახურება ნორმის მიზანს და ხელყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლებას. (სსსკ-ის 83-ე მუხლი, 2023)

სსსკ-ის 83[1] მუხლით გათვალისწინებულია დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული შესაძლო მტკიცებულების დაცვის მხარისთვის გადაცემა/გაცნობა. აღნიშნული ნორმით იზღუდება დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის, მოთხოვნის შემთხვევაში, დაცვის მხარისათვის გადაცემა და ეს შესაძლებელია მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ ამ მასალის პირველადი გამოკვლევის დასრულებისთანავე. კერძოდ, სსსკ-ის 120-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული საგნის, დოკუმენტის, ნივთის, ნივთიერების, ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტის კოდექსით დადგენილი წესით პირველადი გამოკვლევის უფლება აქვს ბრალდების მხარეს. (სსსკ-ის 831 მუხლი, 2023) ცხადია, კონკრეტული მასალა მოპოვებულ იქნა დაცვის მხარის შუამდგომლობით, დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე და ასეთ მასალაზე ბრალდების მხარის მიერ ჩატარებული პირველადი გამოკვლევა შეიძლება იწვევდეს ობიექტზე არსებული ინფორმაციის გაქრობა/დაკარგვას, რომლის აღდგენა შემდგომ შეუძლებელია. მართალია, სსსკ-ის 144-ე მუხლის 3[4] ნაწილით დაცვის მხარეს უფლება აქვს, შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან 3 დღის ვადაში წერილობითი შეკითხვები წარუდგინოს ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარე ამ შეკითხვებს დაუყოვნებლივ უგზავნის ექსპერტს. მაგრამ წინასწარ შეკითხვის ფარგლები შეიძლება შეზღუდული იყოს. ამიტომ მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის პროცესის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოპოვებული შესაძლო მტკიცებულებები, მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ გადაეცეს დაცვის მხარეს პირველადი გამოკვლევისათვის.

სსსკ-ის 112-ე მუხლი ეხება სასამართლოს განჩინებით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებს. ეს შემთხვევებია, როცა საგამოძიებო მოქმედება ზღუდავს კერძო საკუთრებას,

მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას. სსსკ-ის 111-ე მუხლის პირველი ნაწილით დაცვის მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას ატარებს გამომძიებელი, რომელიც არ შეიძლება იყოს იგივე პირი, რომელიც მოცემული საქმის გამოძიებას აწარმოებს. გამომძიებელი უნდა შეარჩიოს საგამოძიებო ორგანოს ხელმძღვანელმა. (სსსკ-ის 111-ე მუხლი, 2023) მაშასადამე, დაცვის მხარე ვერ ატარებს სასამართლოს განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედებას და ეს მოვალეობა ეკისრება იმავე საგამოძიებო ორგანოს. ცხადია, ეს ბრალდების მხარის უპირატესობაა. სსსკ-ის 112-ე მუხლის მეხუთე ნაწილით შესაძლებელია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარდეს სასამართლოს განჩინების გარეშეც, რომლის კანონიერებას სასამართლო მოგვიანებით ამოწმებს. მაგრამ სსსკ-ის 111-ე მუხლის მეორე ნაწილით დაცვის მხარის უფლება, შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარების თაობაზე, არ ვრცელდება სსსკ-ის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ გარემოებებზე. ე.ი. დაცვის მხარისათვის არ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა, არადა სავსებით შესაძლებელია გარემოებების არსებობა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს დაცვის მხარისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მონაცემების განადგურება ან როცა დაყოვნება შეუძლებელს გახდის აღნიშნული მონაცემების მოპოვებას, ან როცა საქმისათვის საჭირო საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი აღმოჩენილია სხვა საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას (თუ აღმოჩენილია მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად), ან როცა არსებობს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე. აღნიშნული შეზღუდვა ბრალდების მხარეს მნიშვნელოვან უპირატესობას უქმნის, ვინაიდან გადაუდებელი აუცილებლობისას დაცვის მხარე განწირულია მარცხისთვის: ის ვერ შეძლებს მტკიცებულების მოპოვებას.

სსსკ-ის 113-ე მუხლი ადგენს გამოკითხვის წესს. მე-11 ნაწილში კი მითითებულია, რომ პროკურორი ან პროკურორის თანხმობით გამომძიებელი უფლებამოსილია დისტანციურად, ელექტრონული საშუალებების გამოყენებით გამოკითხოს უცხო სახელმწიფოს

ტერიტორიაზე მყოფი პირი სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე. (სსსკ-ის 113-ე მუხლი, 2023) დაცვის მხარე კი მოკლებულია შესაძლებლობას დისტანციურად გამოკითხოს სხვა ქვეყანაში მყოფი პირი. შედეგად, დაცვის მხარე იმ შემთხვევაში, თუ დაცვისათვის მნიშვნელოვანი პირი იმყოფება საზღვარგარეთ და ვერ ახერხებს საქართველოში ჩამოსვლას, ვერ მოიპოვებს მისგან ინფორმაციას გამოკითხვის გზით.

სსსკ-ის 114-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია გამოძიების სტადიაზე პირის მოწმედ დაკითხვის წესი. ჩამოთვლილია საფუძვლები, როცა შესაძლებელია პირის მოწმედ დაკითხვა. მაგრამ სსსკ-ის 118-ე მუხლის მესამე ნაწილით, საქმის არსებითი განხილვის დროს არ დაიკითხება ის მოწმე, რომელიც დასაკითხად ვერ გამოცხადდება, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს, ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 118-ე მუხლი, 2023). ამ შემთხვევაში ქვეყნდება პირის წინასასამართლო ჩვენება. შესაბამისად, ბრალდების მხარეს შეუძლია ზემოთ მითითებული საფუძვლებით მიიღოს მოწმის ჩვენება, სსსკ-ის 114-ე მუხლის მე-9 ნაწილის საფუძველზე, მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. შემდგომ კი საქმის არსებითი განხილვისას გამოქვეყნდება ეს ჩვენება, რაც დაუშვებელი მტკიცებულებაა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა. მაგრამ თუ არ არის შესაძლებელი მისი ხელახლა დაკითხვა, ჩვენება ჩაითვლება მტკიცებულებად სხვა მტკიცებულებასთან ერთად ისე, რომ დაცვის მხარე ვერ მიიღებს მონაწილეობას მტკიცებულების გამოკვლევაში. მნიშვნელოვანი შეზღუდვაა.

სსსკ-ის 114-ე მუხლის 2^2 ნაწილით გამოძიების დროს პირის მოწმედ დაკითხვაზე დაცვის მხარის უფლება არ ვრცელდება: ა) ფარული საგამოძიებო მოქმედების განმახორციელებელი ორგანოს თანამშრომელზე/მის ზემდგომ თანამდებობის პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით; ბ) ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განმახორციელებელი ორგანოს თანამშრომელზე/მის ზემდგომ თანამდებობის პირზე/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების

განხორციელებაში ჩართულ პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასთან დაკავშირებით; გ) პროკურორზე, გამომძიებელზე, მათ ზემდგომ თანამდებობის პირზე, განხორციელებულ/განსახორციელებელ მოქმედებასთან დაკავშირებით (სსსკ-ის 114-ე მუხლი, 2023). აღნიშნულ პირთა მოწმედ დაკითხვა მაგისტრატი მოსამართლის წინაშე ბრალდების მხარეს შეუძლია, დაცვის მხარე კი ამ შესაძლებლობას მოკლებულია. შესაბამისად, ამ ნაწილში ის ვერასდროს მოიპოვებს მტკიცებულებას.

სსსკ-ის 124^1 მუხლის საფუძველზე მხოლოდ პროკურორის პრეროგატივაა საბანკო ანგარიშების მონიტორინგის განხორციელება. სსსკ-ის 136-ე მუხლის 4^1 ნაწილით მხოლოდ გამომძიებელია უფლებამოსილი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ„ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიას წარუდგინოს მოთხოვნა დანაშაულის შესაძლო ჩადენის შედეგად დაუფლებული მობილური საკომუნიკაციო აღჭურვილობის აქტივაციის ფაქტის დაფიქსირების დაუყოვნებლივ შეტყობინების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მისი ფუნქციონირების შეზღუდვის (ბლოკირების) დაუყოვნებლივ შეტყობინების თაობაზე. სსსკ-ის 137-138^1 მუხლების საფუძველზე მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი განახორციელოს **ინტერნეტტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება და მოიპოვოს შინაარსობრივი მონაცემები, ასევე მიიღოს კომპიუტერული მონაცემი ან დოკუმენტი უცხო სახელმწიფოდან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის წარდგენის გარეშე**. სსსკ-ის 143^3 **მუხლის შესაბამისად მხოლოდ პროკურორია უფლებამოსილი მოითხოვოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესრულება. ასეთი მოქმედებებია:** სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება და ჩაწერა; ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან (კავშირგაბმულობის საშუალებებთან, კომპიუტერულ ქსელებთან, სახაზო კომუნიკაციებთან და სასადგურე აპარატურასთან მიერთებით), კომპიუტერული სისტემიდან (როგორც უშუალოდ, ისე დისტანციურად) და ამ მიზნით კომპიუტერულ სისტემაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებების ინსტალაცია; გეოლოკაციის

რეალურ დროში განსაზღვრა; საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილის (დიპლომატიური ფოსტის გარდა) კონტროლი; ფარული ვიდეოჩაწერა ან/და აუდიოჩაწერა, ფოტოგადაღება; ელექტრონული თვალყურის დევნება ტექნიკური საშუალებებით, რომელთა გამოყენება ზიანს არ აყენებს ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და გარემოს. (სსსკ-ის შესაბამისი მუხლები, 2023).

სსსკ-ის 144-ე მუხლის მე-6 ნაწილით გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილებით შესაძლებელია უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩატარდეს ექსპერტიზა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ შუამდგომლობის გაგზავნის გარეშე. (სსსკ-ის 144-ე მუხლი, 2023). დაცვის მხარეს ეს შესაძლებლობა არ გააჩნია.

ჩვენ გავეცანით მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ დაცვის მხარის შეზღუდვებს მტკიცებულებათა მოპოვებისას. თუ შეჯიბრობითი პრინციპი გულისხმობს ორივე მხარეზე საუკეთესო წარმომადგენლებს, და დაცვის მხარეს არ იქნება საუკეთესო ადვოკატი, მხარეთა უთანასწორობა კიდევ უფრო იზრდება. მხედველობაშია მისაღები სოციალური თუ ეკონომიკური უთანასწორობაც. ვინაიდან თანასწორობის პრინციპი არ არის აბსოლუტური ხასიათის, ასეთი შეზღუდვები დასაშვებია, მაგრამ ეს კომპენსირებულ უნდა იქნეს შესაბამისი საპროცესო ინსტრუმენტებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, არსებობს თუ არა სამართლიანი ბალანსი მხარეებს შორის? ამის გასარკვევად შევეხოთ დაცვის მხარეს არსებულ უპირატესობებს.

„თუ მხარეებს თავიდანვე არათანაბარი შესაძლებლობები გააჩნიათ, უთანასწორობა უნდა დაბალანსდეს მათთვის სხვადასხვა უფლების მინიჭების გზით, რაც ქმნის ე.წ. დაცვის საგამონაკლისო უფლებებს. აღნიშნულს ემსახურება სისხლის სამართლის პროცესში, მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმციის, მათ შორის მტკიცების ტვირთის ბრალდების მხარეზე დაკისრება, ყოველგვარი ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტა, დუმილის უფლება, საუარესოდ შებრუნების აკრძალვა და სხვა.“ (ავტორთა კოლექტივი, 2015, გვ. 87). ამჟამად ამ უპირატესობებს დეტალურად არ განვიხილავთ. თუმცა მათი ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელია. კერძოდ: სისხლის სამართლის საპროცესო კანონში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება

ბრალდებულის (მსჯავრდებულის) მდგომარეობა; ჩხრეკის სანდოობის დამადასტურებელი ნეიტრალური მტკიცებულებების მოპოვება; თუ ჩხრეკა სსსკ-ის 112-ე მუხლის პირველი ან მე-5 ნაწილით დადგენილი წესით ჩატარდა და ამოღებულ იქნა უკანონო საგანი, ნივთი ან ნივთიერება, აღნიშნული გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად შეიძლება დაედოს იმ შემთხვევაში, თუ ეს სხვა მტკიცებულებითაც დასტურდება; არავინ არ არის ვალდებული, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ; განმეორებით დაკავების, ბრალის წაყენებისა და მსჯავრდების აკრძალვა; გამოძიების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად წარმოება; ე.წ. „მირანდას წესი„, ანუ ბრალდებულის ინფორმირება მისი უფლებების შესახებ; დუმილის უფლება არ შეიძლება შეფასდეს პირის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად; ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია; სავალდებულო დაცვა; არსებითი დარღვევით მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე კანონიერად მოპოვებული სხვა მტკიცებულება, თუ ის აუარესებს ბრალდებულის სამართლებრივ მდგომარეობას, დაუშვებელია; ბრალდებულის აღიარება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს, თუ იგი არ დასტურდება მისი ბრალეულობის დამადასტურებელი სხვა მტკიცებულებით; პირს უფლება აქვს შეიტანოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შეგნებულად გაჭიანურების თაობაზე საჩივარი ზემდგომ პროკურორთან ან გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში; ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა; სააპელაციო და საკასაციო საჩივრის სარევიზიო საწყისი და ა.შ. (სსსკ-ის შესაბამისი მუხლები, 2023)

მაშასადამე, დაცვის საგამონაკლისო უფლებები სისხლის სამართლის პროცესში იძლევა შესაძლებლობას მხარეთა უთანასწორობა დაბალანსდეს მათთვის სხვადასხვა უფლების მინიჭებით, რომ დაცვის მხარისათვის მიყენებულმა ზიანმა არ შექმნას გარკვეული არახელსაყრელი მდგომარეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში უთანასწორობა ჩაითვლება სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების ხელყოფად. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას რომ სისხლის სამართლის პროცესში არსებობს სამართლიანი

ბალანსი მხარეებს შორის, რაც იძლევა შესაძლებლობას შეჯიბრებითობის პრინციპის ერთ-ერთი ასპექტი - მხარეთა საპროცესო თანასწორობა რეალიზებულ იქნეს.

ლიტერატურა:

ავტორთა კოლექტივი, *სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა შეჯიბრებითობის და თანასწორობის უზრუნველყოფისათვის, კვლევა და რეკომენდაციები,* თბ. 2015 წ.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის №1/1/650,699 გადაწყვეტილება.

შტეფან ტრექსელი, *ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში,* თბ. 2009.

ავტორთა კოლექტივი, *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი,* თბ. 2015 წ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი.

ლარისა თირქია

ინტროდუცირებული ორნაკვთიანი გინგკოს (Ginkgo biloba) მორფო-ბიოლოგიური თავისებურებანი და სამკურნალო თვისებები

აბსტრაქტი: ნაშრომი ეხება ინტროდუცირებული ორნაკვთიანი გინგკოს (Ginkgo biloba) მორფო-ბიოლოგიურ თავისებურებებსა და სამკურნალო თვისებებს.

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ორნაკვთიანი გინგკო - (Ginkgo biloba), რომელიც ზუგდიდის ბოტანიკური ბაღში იზრდება I სექტორის N36 და N41თარგში, რომლის სიმაღლე არის 35-40 მეტრი, დიამეტრი 80-90 სმ, ვარჯის პროექცია 10X11მ, 12X14მ, ასაკი 133 წელი, ჯანსაღად გამოიყურებიან, აქვთ ნორმალურად განვითარებული ლამაზი ვარჯი, მარაოსებრი ფოთლები, დიქოტომიური დაძარღვა და სწორი, ახოვანი ტანი.

2022 წელს ყვავილობა დაიწყო 12 აპრილს და დამთავრდა 28 აპრილს. ნაყოფის მომწიფება დაიწყო 27 აგვისტოს და დამთავრდა 29 სექტემბერს. ხოლო ფოთოლცვენა 25 სექტემბერს და დამთავრდა 5 ოქტომბერს. ხასიათდებიან უხვი თესლნაყოფიერებით. იძლევიან თვითნათესს, რომლებიც ძირითადად გვხვდება დედა მცენარის ვარჯის ქვეშ. მათი აღმოცენება იწყება მარტის პირველ დეკადაში. თესლი დაფარულია სქელი კანით.

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მათი ხნოვანება 1930 წელს ვ.მირზაშვილმა (1934) 40-50 წლით განსაზღვრა, ე.ი. მათი ინტროდუქციის თარიღად შეიძლება მიჩნეულ იქნას 1880-1890 წელი.

საინტერესოა აღინიშნოს ორნაკვთიანი გინგკოს (Ginkgo biloba) მედიცინაში გამოყენება და სასარგებლო თვისებები. მას გააჩნია ანტიოქსიდანტური მოქმედება, რომელიც გავლენას ახდენს ტვინის სისხლძარღვებზე. მისი ექსტრაქტი ცნობილია, როგორც ტვინის ნატურალური სტიმულატორი. ახდენს მეტაბოლური პროცესების

ნორმალიზებას, რომელიც აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ასაკში შესვლისას გარკვეულ როლს ასრულებს სტრესთან და დეპრესიასთან ბრძოლაში.

გამოიყენება სისხლძარღვების, მეტყველების, მეხსიერებისა და სმენის გასაუმჯობესებლად. მისი ექსტრაქტი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შორ მანძილზე მხედველობას და შეუძლია უკუაქციოს თვალის ბადურას დაზიანება.

ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული ორნაკვთიან გინგკოზე - (Ginkgo biloba) დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ის მეტად ძვირფასი დეკორატიული ხეა. მისი ორიგინალური ფორმის ფოთოლი რომელიც გაზაფხულსა და ზაფხულში ღია მწვანე, შემოდგომით კი ყვითელი და მოწითალო ფერისაა მცენარის ორნამენტულ ვარჯს მეტ სილამაზეს ანიჭებს. შეიძლება მისი ფართოდ გამოყენება პარკმშენებლობაში ჯგუფების შესაქმნელად, სოლიტერად ხეივნის გასაშენებლად, დასახლებული პუნქტების გასამწვანებლად და რაც მთავარია დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში.

ამოსავალი სიტყვები: უძველესი, ინტროდუქცია, ყვავილობა, ფოთოლცვენა, თვითნათესი.

Larisa Tirkia

GINKGO BILOBA MORPHO-BIOLOGICAL FEATURES AND HEALING PROPERTIES.

Abstract: The paper examines the morpho-biological features and medicinal properties of Ginkgo biloba.

Observation of the introduced plant reveal, Ginkgo biloba which is growing in Zugdidi Botanical Garden in Sector I N36 and N41, has a height of 35-40 meters, diameter 80-90 cm, stem projection 10X11m, 12X14m, age 133 years, looks healthy, has a normally developed beautiful stem, fan-shaped leaves, dichotomous veins and straight, mossy trunk.

In 2022, flowering began on April 12 and ended on April 28. Fruit ripening began on August 27 and ended on September 29, while the shedding of leaves started on September 25 and ended on October 5. The specimens are characterized by abundant seed fertility. They give self-seeding, which are mostly found under the stem of the mother plant. Their germination begins in the first decade of March (???). The seeds are covered with a thick skin.

In 1930, V. Mirzashvili (1934) determined their age in Zugdidi Botanical Garden as 40-50 years, thus sometime between 1880-1890 can be considered as the date of their introduction.

There are various medicinal uses and beneficial properties of Gingko biloba, including: an antioxidant effect that affects the blood vessels of the brain and its extract is known as a natural brain stimulant. Furthermore, Gingko biloba normalizes metabolic processes, which improves the quality of life and as one gets older, it plays an important role against stress and depression. It is also used to improve blood vessels, speech, memory and hearing, while its extract significantly improves long-distance vision and can reverse retinal damage.

Observation of Ginkgo biloba introduced in Zugdidi Botanical Garden has proved to be a very valuable decorative tree. Its original leaf shape, which is light green in spring and summer, yellow and reddish in autumn, gives more beauty to the ornamental plant. It can be widely used for greening parks, residential areas, and most importantly, it has significant medicinal uses.

Tags: ancient, introduction, flowering, shedding of leaves, self-seeding.

ოჯახი - Ginkgoaceae Engielim გინგკოსებრნი
გვარი - Ginkgo L გინკგო
სახეობა - Ginkgo biloba L ორნაკვთიანი გინკგო

გინკგოსნაირთა რიგი წარმოდგენილია ერთადერთი სახეობით ორნაკვთიანი გინგკოთი - Ginkgo biloba, რომელიც დედამიწაზე არსებული ხეების სახეობებიდან უძველესი წარმოშობის მცენარეა. მისი ნამარხი 270 მილიონ წელს ითვლის,

სამშობლო სამხრეთ აღმოსავლეთ ჩინეთი, იაპონია. ცოცხლობს 2000 წლამდე.

საინტერესოა აღინიშნოს რომ, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მათი ხნოვანება 1930 წელს ვ. მირზაშვილმა (1934) 40-50, წლით განსაზღვრა, ე.ი. მათი ინტროდუქციის თარიღად შეიძლება მიჩნეულ იქნას 1880-1890წელი. (შ. ბალანჩივაძე,ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის ეგზოტიკური მერქნიანი ხეები და ბუჩქები. თბ.,1975).

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ორნაკვთიანი გინგკო (Ginkgo biloba), რომელიც ზუგდიდის ბოტანიკური ბაღში იზრდება I სექტორის N36 და N41თარგში, რომლის სიმაღლე არის 35-40 მეტრი, დიამეტრი 80-90 სმ, ვარჯის პროექცია 10X11მ, 12X14მ, ასაკი 133 წელი, ჯანსაღად გამოიყურებიან. აქვთ ნორმალურად განვითარებული ღამაზი ვარჯი, მარაოსებრი ფოთლები, დიქოტომიური დაძარღვვა და სწორი, ახოვანი ტანი.

2022 წელს ყვავილობა დაიწყო 12 აპრილს და დამთავრდა 28 აპრილს. ნაყოფის მომწიფება დაიწყო 27 აგვისტოს და დამთავრდა

29 სექტემბერს. ხოლო ფოთოლცვენა 25 სექტემბერს და დამთავრდა 5 ოქტომბერს. ხასიათდებიან უხვი თესლნაყოფიერებით. იძლევიან თვითნათესს, რომლებიც ძირითადად გვხვდება დედა მცენარის ვარჯის ქვეშ. მათი აღმოცენება იწყება მარტის პირველ დეკადაში. თესლი დაფარულია სქელი კანით.

ჩვენს მიერ შესწავლი ორნაკვთიანი გინგკო (Ginkgo biloba) ფოთოლმცვენია, უხვად იტოტება და ქმნის პირამიდალურ ვარჯს. ყლორტები ორგვარია: გრძელი და დამოკლებული. გრძელ ყლორტებზე ფოთლები გაფანტულად არის განლაგებული. ფოთლები ყუნწიანია მარაოსებრი ფირფიტებითა და დიქოტომიური დაძარღვით. ფოთლების ბოლო ორნაკვთიანია, ღეროს ანატომიური აგებულება ემსგავსება წიწვოვანებისას. ღეროში არის სუსტად განვითარებული გულგული, შემდეგ პერიფერიისაკენ მოთავსებულია მეორადი მერქანი, რომელიც შედგება ტრაქეიდებისაგან. ამ უკანასკნელთა რადიალურ კედლებში არის გარემოიანი ფორები. მეორად მერქანში გულგულის ვიწრო სხივების შემდეგ განლაგებულია კამბიუმი და ქერქი.

ორსქესიანო მცენარეა მამრობითი და მდედრობითი ყვავილებით. ეს ყვავილები ერთ ხეზე არ ვითარდება. ერთ ხეზე მხოლოდ მამრობითი ან მხოლოდ მდედრობითი ყვავილებია. მამრობით ხეებს უფრო მაღალი და ვიწრო ღერო აქვს, ხოლო მდედრობითს უფრო სქელი.

ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში გავრცელებული ორნაკვთიანი გინგკო - (Ginkgo biloba) ხასიათდებიან უხვი თესლნაყოფიერებით იძლევიან თვითნათესს, რომელიც ძირითადად გვხვდება დედა მცენარის ვარჯის ქვეშ. მათი აღმოცენება იწყება მარტის პირველ დეკადაში. თესლი დაფარულია სქელი კანით.

შეგუებულია ადგილობრივ-კლიმატურ პირობებს. აქვს მძლავრი ფესვთა სისტემა.ნიადაგისადმი არ არის მომთხოვნი.ფრიად ყინვა და ქარგამძლე მცენარეა. დაუზიანებლად იტანს 34 გრადუს ყინვას. ხასიათდება სწრაფი ზრდით.

მრავლდება თესლით, კალმით, მყნობით. თუმცა სასურველია შემოდგომით. გაზაფხულზე კი სტრატიფიცირებული თესლით, რომელიც აღმოცენდება რამდენიმე კვირაში. კარგი დაფესვიანების პროცენტს იძლევა გამერქნიანებული ყლორტიდან აჭრილი კალამი.

მერქანი მეტად მსუბუქი და რბილია. გამოიყენება რბილი ავეჯის წარმოებაში, შესაფუთი ყუთების დასამზადებლად და სხვ.

საინტერესოა აღინიშნოს, ორნაკვთიანი გინგკოს (Ginkgo biloba) მედიცინაში გამოყენება და სასარგებლო თვისებები, რომელიც ცნობილია ჩინური მედიცინის მიერ. მას გააჩნია ანტიოქსიდენტური მოქმედება, რომელიც გავლენას ახდენს ტვინის სისხლძარღვებზე, მისი ექსტრაქტი ცნობილია, როგორც ტვინის ნატურალური სტიმულატორი. ახდენს მეტაბოლური პროცესების ნორმალიზირებას, რომელიც აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს. ასაკში შესვლისას გარკვეულ როლს ასრულებს სტრესთან და დეპრესიასთან ბრძოლაში.

გამოიყენება სისხლძარღვების, მეტყველების, მეხსიერებისა და სმენისა გასაუმჯობედებლად. მისი ექსტრაქტი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შორ მანძილზე მხედველობას და შეუძლია უკუაქციოს თვალის ბადურის დაზიანება.

აღადგენს თმის სტრუქტურას, დიდ როლს თამაშობს თმის დეჰიდრაციასთან ბრძოლაში.

მისი ფოთლები შეიცავს:

ფლავონოიდებს

ბიფლავონოიდებს

ამინომჟავეებს

პოლისაქარიდებს

ვიტამინებს

ფოთლებისაგან დამზადებულ პრეპარატებს აქვს სისხლძარღვების გამაფართოებელი სპაზმოლეტიკური და ბაქტერიოციდული მოქმედება.

სპირტიაანი ნაყენი 80%-ით ეფექტურია თავის ტკივილის დროს.

მისი მიღება რეკომენდირებული არ არის მეძუძური დედებისა და ორსულებისათვის. მათთვის ვისაც გადატანილი აქვს მიოკარდიული ინფარქტი, ვისაც აქვს ისეთი დავადებები როგორიცაა ეროზიული გასტრიტი, კუჭის წყლული და თორმეტგოჯა ნაწლავის ანთება.

ჩვენი დაკვირვებიდან გამიმდინარე ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ინტროდუცირებული ორნაკვთიანი გინგკო (Ginkgo biloba) მეტად ძვირფასი დეკორატიული ხეა. მისი ორიგინალური ფორმის ფოთოლი რომელიც გაზაფხულსა და ზაფხულში ღია მწვანე, შემოდგომით კი ყვითელი და მოწითალო ფერისაა მცენარის ორნამენტულ ვარჯს მეტ სილამაზეს ანიჭებს. შეიძლება მისი ფართოდ გამოყენება პარკმშენებლობაში ჯგუფების შესაქმნელად, სოლიტერად ხეივნის გასაშენებლად, დასახლებული პუნქტების გასამწვანებლად და რაც მთავარია დიდი გამოყენება აქვს მედიცინაში.

ლიტერატურა:

შ. ბალანჩივაძე, *ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის მერქნიანი ხეები და ბუჩქები*. თბ,.1975..

ნ. კომარინცკი, ლ. კუდრიაშოვი ა. ურანოვი, *მცენარეთა სისტემატიკა*. თბ,. 1973.

ჯ. კუჭუხიძე, მ. ჯოხაძე, *ბოტანიკა*. თბ,.2012.

ა. მაყაშვილი, *ბოტანიკური ლექსიკონი*. თბ.1991.

ენვერ არველაძე, მარინე ქვარაია, მარიამ პაჭკორია,
ბადრი ნანეიშვილი

ქ. ზუგდიდის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მუშაობის ტექნოლოგიური ციკლი

აბსტრაქტი: *ჩვენს დროში ეკოლოგიური უსაფრთხოება გახდა კაცობრიობის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი. გარემოს დაბინძურებამ მრავალი მიმართულებით კრიტიკულ ნიშნულს მიაღწია: ეს არის გარემოს რადიაციული დაბინძურება, ჰაერში ტოქსიკურ ნივთიერებათა კონცენტრაციის მკვეთრი ზრდა, გლობალური დათბობა, მდინარეების, ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურება და სხვა, რაც თავის მხრივ იწვევს არასასურველ კლიმატურ ცვლილებებს და არის მრავალი ალერგიული, ინფექციური თუ სხვა სახის დაავადების მიზეზი.*

სტატიის მიზანია, წარმოვადგინოთ გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პრინციპიალურ-ტექნოლოგიური სქემა, გაწმენდის მეთოდები და ამ დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური პროცესები; ტექნოლოგიური რეჟიმით გათვალისწინებული მონაცემთა ანალიზების დამუშავება-ინტერპრეტაცია.

საკვანძო სიტყვები: *წყალარინება, ეკოლოგია, გამწმენდი ნაგებობა, მექანიკური გასუფთავება, ბიოლოგიური გასუფთავება.*

Enver Arveladze, Marine Kvaraia, Mariam Pachkoria,
Badri Naneishvili

TECHNOLOGICAL CYCLE OF ZUGDIDI WASTEWATER TREATMENT PLANT

Abstract: Environmental safety has become one of the main concerns of modern humanity. Environmental pollution has reached a critical point in many areas: radiation pollution, a sharp increase in the concentration of toxic substances in the air, global warming, pollution of rivers, seas and oceans, etc., which in turn leads to undesirable climate changes and is the cause of many allergic and infectious diseases.

The article aims to present the principle-technological scheme of the wastewater treatment plant in Zugdidi; its treatment methods and physical-chemical-biological processes. In addition, data processing and interpretation of the technological process is demonstrated by the article.

Tags: Wastewater, Ecology, Treatment plant, Mechanical treatment, Biological Treatment.

გარემოს ეკოლოგიურ გაჯანსაღებაზე ფიქრი და ზრუნვა ქვეყნის ცივილურობის ერთ-ერთი უმთავრესი მაჩვენებელია. ყველა ქვეყნის ხელისუფლება ვალდებულია პრიორიტეტული მიდგომა გამოიჩინოს ეკოლოგიური პრობლემებისადმი. მხოლოდ სხვა და სხვა ქვეყნების ერთობლივი მიდგომით და ძალისხმევით თუ გავუმკლავდებით მოზღვავებულ ეკოლოგიურ პრობლემებს.

ამ სახით პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მაგალითია ჩვენს რეგიონში გერმანული და იტალიური კომპანიების FIFER *და* EMIT-*ის მიერ* 2020 *წელს ერთობლივად დამონტაჟებული ქ. ზუგდიდის* წყალარინების გამწმენდი ნაგებობა, რომლითაც ხორციელდება ზუგდიდის მასშტაბით საკანალიზაციო წყლების გასუფთავება, რომელიც სრულიად უსაფრთხო და სუფთა ჩაედინება მდინარე ჩხოუშში.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ გამწმენდი ნაგებობის მუშაობის პრინციპიალურ-ტექნოლოგიური სქემა, გაწმენდის მეთოდები და ამ დროს მიმდინარე ფიზიკურ-ქიმიურ-ბიოლოგიური პროცესები. ტექნოლოგიური რეჟიმით გათვალისწინებული მონაცემთა ანალიზების დამუშავება-ინტერპრეტაცია.

საკანალიზაციო წყლის გაწმენდა არის სამ საფეხურიანი-მექანიკური, ბიოლოგიური და ქიმიური. საკანალიზაციო წყლის გაწმენდის პირველ საფეხურზე გისოსიანი ფილტრების მეშვეობით წყალი მექანიკურად იცხრილება შედარებით დიდი ზომის მყარი ნაწილაკებისაგან (ხრეშის, რკინის, ხის, ბეტონის ნარჩენები და სხვ.), რომელთაც შეუძლიათ დააზიანონ გამწმენდი ნაგებობის

მოწყობილობა და გამოიწვიონ ტექნოლოგიური რეჟიმის შეფერხება. ამის შემდეგ უფრო წვრილი დიამეტრის მქონე გისოსებით ხდება წყლიდან შედარებით მცირე ზომის ნაწილაკების მეორადი გასუფთავება. მექანიკური გასუფთავების ბოლო საფეხურზე ქვიშის ზომის მყარი ნაწილაკები საკანალიზაციო წყალს შორდება აერაციული ქვიშადამჭერი კამერებით. ამავდროულად ე. წ. პირველად სალექარში ხდება წყლიდან ცხიმოვანი ფენის მოშორებაც, რომელიც გროვდება წყლის ზედაპირზე.

ცხიმოვანი ფენა არის გაუხსნელი ორგანულ ნივთიერებათა ნარევი. მისი მექანიკური მოშორებით საკანალიზაციო წყალი რაღაც დოზით განიტვირთება ბაქტერიოლოგიურ გაწმენდამდე. მოცილებული ორგანული მასალა, რომელსაც პირველადი ლამი (ნალექი) ეწოდება ძირითადად შეიცავს ბიოლოგიურად მარტივად დაშლად ნაერთებს. შემდეგ ეს ლამი ექვემდებარება ბაქტერიოლოგიურ ანაერობულ (უჟანგბადო არე) დაშლას მეთანის მაღალი გამოსავლიანობით.

საკანალიზაციო წყლის შემდეგი ეტაპია წყლის ბიოლოგიური გაწმენდა. მექანიკური გაწმენდის შედეგად მიღებული ნედლი საკანალიზაციო წყალი შეიცავს ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებს და ასევე დიდი რაოდენობით სხვა და სხვა სახის აერობულ და ანაერობულ ბაქტერიებს. (1მლ წყალში დაახლოებით 10^6 ბაქტერია).

ბიოლოგიური გასუფთავების არსი მდგომარეობს იმაში, რომ აერობული და ანაერობული ბაქტერიები შესაბამისად ჟანგბადიან და უჟანგბადო გარემოში იკვებებიან წყალში შემავალი სხვადასხვა ორგანული და არაორგანული ნივთიერებებით. ეს ნიშნავს იმას, რომ ბაქტერიები ახდენენ ამ ნივთიერებათა მეტაბოლიზმს, დაშლას, მონაწილეობენ ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, რის შედეგადაც გამოიყოფა აიროვანი, სტაბილური და ნაკლებად ტოქსიკური პროდუქტები (CH_4, CO_2, H_2, N_2…) ამ გზით ბაქტერიები ბუნებრივად ახდენენ წყლის გასუფთავებას დამაბინძურებელი აგენტებისაგან. [2]

წყლის ბიოლოგიურად გამწმენდი წყლის სექცია შედგება აეროტენკებისაგან, სალექარი რეზერვუარების, ლამის სატუმბი მოწყობილობის, ჰაერის სატუმბი საქმშენისაგან და მიწოდებული ჰაერის ვენტური ხარჯთმზომისაგან. აეროტენკები მართკუთხა ფორმის აუზებია, რომელშიც წყალი მოძრაობს წრიული ტრაექტორიით.

ბიოლოგიური გასუფთავება იწყება ანაერობული ავზიდან, სადაც პრაქტიკულად ხდება ანაერობული ბაქტერიებით წყლის დეფოსფორიზაცია. იმ შემთხვევაში თუ ფოსფორის კონცენტრაცია მაღალია და ბაქტერიები სრულად ვერ უზრუნველყოფენ ფოსფორის მოშორებას, მაშინ წყლის დამატებითი დეფოსფორიზაციას ახდენენ ქიმიურად რკინა (III)-ის ქლორიდით, რომლის დროსაც ფოსფატ იონი ილექება წყალში უხსნადი $FePO_4$ -ის სახით [3]. ამავე ავზიდან ხდება წყლის დენიტრიფიკაციაც, რაც აისახება COD-ის (წყალში ჟანგბადის ქიმიური მოთხოვნილება- ჟქმ) შემცირებით.

ანაერობული ავზებიდან გამოსული წყალი თვითდინებით გადადის აერობულ ავზში, სადაც ბაქტერიების სიცოცხლის უნარიანობისა და მათი მოქმედების ეფექტურობის ასამაღლებლად საჭიროა შესაფერისი კარგი გარემოს შექმნა. ეს არის უპირველესად აერობული ბაქტერიების მომარაგება საჭირო რაოდენობის ჟანგბადით, წყლის ნეიტრალური არის (pH≈7) ფარგლებში, მისაღები ტემპერატურის შენარჩუნება და სხვა. ამ მიზნით აერობულ ავზში ახდენენ ჰაერის ჩატუმბვას სპეციალური საქშენით, დიფუზორებით და ამ დროს ხდება წყლის გამდიდრება ჰაერის ჟანგბადით. ჰაერის მიწოდების მართვა ხორციელდება ჟანგბადის კონცენტრაციის გამზომი ხელსაწყოს გამოყენებით. ამას გარდა ჩატუმბული ჰაერი განაპირობებს წყლის ტურბულენტურობას, რაც ხელს უწყობს მის ჰომოგენიზაციას და დალექვის პრევენციას.

აერობულ ავზში აერობული ბაქტერიების მონაწილეობით ხდება ნახშირბადშემცველი ორგანული ნაერთების მოცილება. საბოლოოდ აერობულ და ანაერობულ ავზებში ხორციელდება მიკრობული დენიტრიფიკაცია და დეფოსფორიცაზია და დეკარბონიზაცია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციამდე. ამ დროს ჟანგბადის ბიოქიმირი მოთხოვნილება (ჟბმ) და ქიმიური მოთხოვნილება (ჟქმ) მცირდება დაახლოებით 90-95%-ით.

აერობული ავზებიდან გამოსული წყალი თვითდინებით გადადის ანოქსიკურ ავზში, შემდეგ ბიოლოგიურის გამსვლელ ავზში დამატებითი დეფოსფორიზაციის მიზნით მუშავდება რკინა (III)-ის ქლორიდით, რის შემდეგაც ბიოლოგიურად დამუშავებული წყალი გადადის საბოლოო გამსვლელში, ამის შემდეგ უშუალოდ გამჭვირვალე და ეკოლოგიურად უსაფრთხო წყალი ტოვებს საბოლოო სალექარს და ჩაედინება მდინარე ჩხოუშში.

ცენტრალურ ლაბორატორიაში, რომელიც აღჭურვილია საჭირო დანიშნულების თანამედროვე ინსტრუმენტებით, ტარდება ყოველდღიური ანალიზი საკანალიზაციო წყლების ფიზიკური პარამეტრების მაჩვენებელზე, როგორიცაა - წყლის PH, წყალში ჟანგბადის შემცველობა, ტემპერატურა, ასევე ამოწმებენ ორგანოლეპტიკურ მაჩვენებლებს (შეფერილობას და სუნს).

ანალიზის აღება ხდება შემომავალ და გამავალ საკანალიზაციო წყალში. კვირაში ორჯერ ტარდება ანალიზები იონებზე: ამონიუმი- NH_4^+, ნიტრატი - NO_3^-, ნიტრიტი - NO_2^-, ფოსფატი- PO_4^{3-}, საერთო ფოსფორი -Tp, საერთო აზოტი -T_N და ნარჩენი უმცირესი ზომის მყარი ნაწილაკების შემცველობაზეც-TSS.

ანალიზების მონაცემთა ერთობლიობა გვაძლევს სრულ წარმოდგენას საკანალიზაციო წყლების გასუფთავების ხარისხზე. №1 და №2 ცხრილში წარმოდგენილია შემომავალი და გამავალი საკანალიზაციო წყლის ლაბორატორიული ანალიზის შედეგები 2.03 - 20.04 2023 წლის პერიოდის ფარგლებში.

ცხრილი №1. შემომავალი და გამავალი საკანალიზაციო წყლის pH-ის, ტემპერატურის ^0C, ჟანგბადის შემცველობის (მგ/ლ) და TSS - შეწონილი ნაწილაკების (მგ/ლ) ანალიზის შედეგები.

თარიღი	pH		ტემპერატურა ^0C		ჟანგბადის შემცველობა მგ/ლ		TSS - შეწონილი ნაწილაკები მგ/ლ		
	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	დასუფთავების მაჩვენებელი-%-ში
2.03	7.61	7.3	5.8	6.3	8.68	9.70	118	13	89.0
6.03	7.71	7,67	6.4	6.8	9.00	12.24	155	6	96.1
13.03	7.78	7.27	6.9	6.6	8.11	11.79	170	14	91.8
16.03	7.75	7.16	8	8.5	9.67	11.76	133	20	85.0
6.04	7.82	7.10	8.4	8.7	8.88	11.14	80	9	88.2
10.04	7.28	7.75	8.6	8.5	10.38	11.05	78	5	93.6
11.04	7.71	6.75	8.3	7.6	10.01	10.55	25	3	88.0
13.04	7.78	6.77	7.1	6.6	10.07	10.64	79	7	91.2
18.04	7.88	7.48	12	9.5	10.37	10.73	190	6	96.9
20.04	7.88	6.56	7.56	8.69	10.7	12.7	148	8	94.6

ცხრილი №2. ამონიუმის- NH_4^+ , ნიტრატის - NO_3^-, ნიტრიტის - NO_2^-, ფოსფატის- PO_4^{3}, საერთო ფოსფორის -Tp, საერთო აზოტის -T_N სიოდის COD და ბიოდის BOD ანალიზის შედეგები.

თარიღი	ამონიუმი-NH_4^+		ნიტრიტი-NO_2^-		ნიტრატი NO_3^-		საერთო ფოსფორი -Tp-მგ/ლ		საერთო აზოტი-T_N მგ/ლ		სიოდი-COD		ბიოდი-BOD	
	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი	შემომავალი	გამავალი
2.03	13	0.5	10.1	0.032	2.6	8.2	5,5	1,05	26.3	9.0	271	31.2	120	2
6.03	8.3	0.5	6.2	0.026	2.4	5.5	3,4	1,23	18.2	6.1	204	11.5	65	8
13.03	10.5	0.5	9.1	0.081	3.3	7.9	2.32	1.29	30.5	8.4	172	9.85	120	6
16.03	10.8	0.5	6.8	0.02	2.6	9.1	1.73	1.35	19.1	9.6	247	18	170	12
6.04	19.3	0.5	6.7	0.029	2.7	10.7	2.02	1.93	31.4	11.2	119	21.3	112	5
10.04	14,2	0.5	5,2	0.025	4,2	8.4	0.71	0.63	18.4	8.9	66.5	5.69	46,5	4
13.04	8,24	0.5	7,6	0.012	2,4	6.8	1	0.69	26.4	7.3	119	15.6	84	11
18.04	8,4	0.5	6,8	0.037	2,7	4.7	1.82	0.78	33	5.2	154	11.3	107	8,1
20.04	12,2	0.5	10,7	0.158	3,8	8.5	2.16	1.33	25.9	9.1	145	9.35	101	6,5

ცხრილი №3. ძირითადი პარამეტრების - TSS - შეწონილი ნაწილაკების, T_N-საერთო აზოტისა და T_P-საერთო ფოსფორის ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები.

N	ინგრედიენტები	ზდკ მგ/ლ	დამტკიცებული ზდჩ	
			გ/სთ	ტ/წელ
1	TSS - შეწონილი ნაწილაკები	35	24185	141.24
2	T_N - საერთო აზოტი	15	10365	60.53
3	T_P - საერთო ფოსფორი	2	1382	8.07

ყოველ ხუთ წელიწადში ხდება ზდჩ -ს (ზღვრულად დასაშვები ჩაშვება) განახლება.

№1 ცხრილში მოცემული სიდიდეები - წყლის PH , ტემპერატურა, წყალში ჟანგბადის შემცველობა, უშუალოდ არ ასახავენ საკანალიზაციო წყლის გასუფთავების ხარისხზე. ეს მონაცემები ემსახურება ტექნოლოგიური პროცესის საჭირო რეჟიმში წარმართვის კონტროლს.

№1 ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, რომ შემომავალ და გამავალ მილებში წყლის pH-ის სიდიდეთა სხვაობა მერყეობს 0.1-0.6 ერთეულის ფარგლებში. უმეტესად გასუფთავებული წყლის pH-ის სიდიდე მცირედით ნაკლებია სისტემაში შემომავალი წყლის pH-ზე. ე. ი. ოდნავ მატულობს წყლის მჟავიანობა. თუ რაღაც მიზეზით დაფიქსირდა უკიდურესად მჟავა ან ტუტე არე, რაც არ არის სასურველი, არეს დარეგულირება შესაძლებელია კირის ან ნატრიუმის ჰიდროქსიდის, გოგირდმჟავას ან ნახშირორჟანგის საშუალებით.

წყლის pH-ის სიდიდე მკაცრად კონტროლდება ბაქტერიების სიცოცხლის უნარიანობისა და მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების წარმართვის სასურველი არეა ნეიტრალურთან ახლო არე. (pH≈7)

ტემპერატურის სიდიდეთა ცვლილება უმნიშვნელოა, ის მერყეობს 0.1-2^0 C -ის ფარგლებში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ

წყლის გასუფთავების პროცესები არ მიმდინარეობს მაღალი სითბური ეფექტებით და ასევე გამოყოფილი ან შთანთქმული სითბო წყლის საერთო მოცულობასთან შედარებით არ არის თანაზომიერი.

წყლის გასუფთავების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია. შეწონილი ნაწილაკების დალექვის ეფექტურობა ჩვენი გათვლით დაახლოებით 50 დღის ანალიზის შედეგებით საშუალოდ შეადგენს 85 - 97 % -ს, რაც დასუფთავების მაღალი მაჩვენებელია და აისახება გამავალი წყლის გამჭვირვალობაზეც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამავალი წყლის დეფოსფორიზაციის ძირითადი მეთოდია ფოსფატ იონების დალექვა Fe^{3+} იონით. №2 ცხრილში მოცემული საერთო ფოსფორის შემცველობა შემომავალ და გამავალ წყლებში ზუგდიდის წყალარინებში ჩვენი გამოთვლით შეადგენს 1.33მგ/ლ რაც შეეხება აზოტს, აზოტის შემცველობა წყალში მოცემულია სხვა და სხვა იონების ფორმით და ასევე ტოტალური აზოტის სიდიდითაც. (NH_4^+, NO_2^-, NO_3^- და T_N)

NH_4^+ - იონი არის შემომავალ წყალში ორგანულ ნივთიერებათა ლპობის პროცესის მაჩვენებელი სიდიდე, ხოლო გამავალ წყალში კი ის გვიჩვენებს წყლის გასუფთავების ხარისხს აღნიშნული პარამეტრით. შემომავალ წყალში ამონიუმის იონის კონცენტრაცია იცვლება (8.3 -19.3მგ/ლ) ფარგლებში. გამავალ წყალში კი მისი სიდიდე ნაკლებია 0.5 მგ/ლ-ს. აღსანიშნავია ნიტრიტ იონების ძალიან დაბალი კონცენტრაცია გამავალ წყალში შემომავალ წყალთან შედარებით, მაშინ როდესაც ნიტრატ იონების კონცენტრაცია გამავალ წყალში მატულობს შემომავალთან შედარებით. ეს აიხსნება ნიტრიფიკაციით, რომელსაც ადგილი აქვს გაწმენდის პროცესში შესაბამისი ბაქტერიების მონაწილეობით.

NH_4^+ - იონის ნიტრიფიკაცია მიმდინარეობს ბაქტერიების უშუალო მონაწილეობით საფეხურებრივად:



ნიტრიფიკაციის პირველი ფაზაა ამონიუმის იონის დაჟანგვა აზოტოვან მჟავად, რომელიც ხორციელდება აერობული ბაქტერიებით ე. ი ასეთი გარდაქმნის შედეგად მცირდება ნიტრიტ იონები და იზრდება ნიტრატ იონების კონცენტრაცია.

ნიტრიფიკაციის მეორე საფეხურზე კი ნიტრიტ იონი იჟანგება ნიტრატ იონამდე

NO_2^- -> NO_3^- შესაბამისი ბაქტერიების მონაწილეობით. ამით აიხსნება გამავალ წყალში ნიტრიტ იონების შემცირება და ნიტრატ იონების კონცენტრაციის გაზრდა.

საბოლოოდ წყლის გასუფთავების ხარისხის უმთავრესი მაჩვენებელი აზოტის მიხედვით არის ტოტალური აზოტი. №2 ცხრილიდან ჩანს, რომ ყველა შემთხვევაში ტოტალური აზოტის სიდიდე გამავალ წყალში ნაკლებია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე (15 მგ/ლ) (ცხრილი №3), რაც მიუთითებს წყლის გასუფთავების მაღალ ხარისხზე.

ამ მონაცემების შეფასებით ვიღებთ სწორ წარმოდგენას წყლის გასუფთავების ეფექტურობაზე. უშუალოდ საკანალიზაციო წყლის გასუფთავების ეფექტურობა შეიძლება შეფასდეს ისეთი პარამეტრებით, როგორიცაა წყალში შეწონილი ნაწილაკების შემცველობა (TSS), ნიტრიტ და ნიტრატ იონების, საერთო ფოსფორისა (Tp) და საერთო აზოტის (T_N) შემცველობის განსაზღვრით გამავალ წყალში. ყველა ამ სიდიდეთა შედარებითი ანალიზი იძლევა მნიშვნელოვან სურათს წყლის გასუფთავების ეფექტზე, მაგრამ ამ მხრივ უფრო ამომწურავ და კომპლექსურ შეფასებას გვაძლევს ე. წ. წყალში ჟანგბადის *ბიოქიმიური (ჟბმ) და ქიმიური (ჟქმ)* მოთხოვნილებათა სიდიდეები, რომელთა მნიშვნელობები მოცემულია № 2 ცხრილში, რაც აკმაყოფილებს გარემოს ზედამხედველობითი სამსახურის კრიტერიუმებს.

წყალში ჟანგბადის ბიოლოგიური (BOD) მოთხოვნილება არის ჟანგბადის ის რაოდენობა, რომელსაც მოიხმარს ბაქტერიები და მიკროორგანიზმები მათი ცხოველ ქმედებისა და ნივთიერებათა მეტაბოლიზმის განსახორციელებლად.

წყალში ჟანგბადის ქიმიური (COD) მოთხოვნილება არის ჟანგბადის ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიურ პროცესებში მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი რეაქციების მიმდინარეობისათვის.

ზუგდიდის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მონაცემთა ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანადგარი მუშაობს გამართულად და სრულად აკმაყოფილებს გარემოს ზედამხედველობითი სამსახურის წყლის ხარისხის შეფასების მონიტორინგის ხუთ ძირითად კომპონენტს (TSS-შეწონილი ნაწილაკები, T_N-საერთო აზოტი, Tp-საერო ფოსფორი, წყალში ჟანგბადის *ბიოქიმიური* BOD - *(ჟბმ) და ქიმიური მოთხოვნილება* COD - *(ჟქმ))*. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზუგდიდის წყალარინების გამწმენდი ნაგებობა დიდ სამსახურს უწევს ჩვენი რეგიონის ეკოლოგიური სიტუაციის გაჯანსაღებას.

ლიტერატურა:

ენვერ არველაძე, ბადრი ნანეიშვილი, *ენერგიის წყაროები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.* შ. მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის შრომების კრებული N11, 2019.

https://microbiologynote.com/ka/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94-%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/#google_vignette კანალიზაციის დამუშავება – ჩამდინარე წყლების დამუშავების პროცედურა. By MN რედაქტორები, ოქტომბერი 11, 2022.

https://gtu.ge/Ctmf/Science/Disertation/Referat/2018/Marine_Gvianidze.pdf

ადლიის გამწმენდი ნაგებობა და მისი გავლენა შავი ზღვის აჭარის სანაპირო ზოლის წყლის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. მარინე გვიანიძე, ავტორეფერატი. თბ., 2018 .

ბადრი ნანეიშვილი, ენვერ არველაძე, ქეთევან ლატარია

მცირედი შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემებიდან

აბსტრაქტი: *სტატიაში განხილულია შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების გარკვეული ნაწილი, კერძოდ, რომელიც გამოწვეულია ჩამდინარე წყლების დაბინძურებით, ძირითადი ყურადღება გამახვილებულია საკანალიზაციო სისტემების და გამწმენდ ნაგებობების არსებულ პრობლემებზე, გაანალიზებულია ის უარყოფითი შედეგები, რომელიც ადგება ზღვის ცოცხალ გარემოს და შემდგომში რა გავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანების ჯანმრთელობაზე. წარმოდგენილია განხილული ეკოლოგიური პრობლემების გაუმჯობესების შესაძლო გზები.*

საკვანძო სიტყვები: *ეკოლოგია, კანალიზაცია, შავი ზღვა, დაბინძურება.*

Badri Naneishvili, Enver Arveladze, Ketevan Lataria

SOME OF THE ECOLOGICAL PROBLEMS OF THE BLACK SEA

Abstract: The article discusses some of the ecological problems of the Black Sea caused by wastewater pollution. The main focus is on the existing problems of sewage systems and cleaning facility buildings. Furthermore, the negative consequences on the marine environment and the subsequent impact on human health are analyzed. The article proposes possible solutions to improve the discussed ecological problems.

Tags: Ecology, sewage, Black Sea, pollution.

შავი ზღვა მსოფლიო ოკეანისაგან იზოლირებული დიდი, ჩაკეტილი წყლის მასივია. ზღვის სიგრძე, უკიდურეს წერტილებს შორის 1167 კმ-ია. სანაპირო ზოლის სიგრძე 4000 კმ-ია, აქედან საქართველოს ნაპირს 320 კმ ეკუთვნის, რუსეთის ფედერაციას-395 კმ, უკრაინას-1340 კმ, რუმინეთს-215 კმ, ბულგარეთს-317

კმ, თურქეთს-1365 კმ), ფართობი - 422000 კვ. კილომეტრი, მაქსიმალური სიღრმე - 2210 მ, (Чёрное море // Словарь современных географических названий / Рус. геогр. о-во. Моск. центр; Под общ. ред. акад. В. М. Котлякова. Институт географии РАН. — Екатеринбург: У-Фактория, 2006), წყლის მოცულობა 555000 კუბ. კილომეტრი (Ежегодник состояния морей России по гидрохимическим показателям. 2008 год. Чёрное море .oceanography.ru..) წყლის მიმოცვლა ხდება დარდანელის და ბოსფორის სრუტეებით, მისი ზედა ფენა, რომელიც შედარებით მტკნარია, ხვდება ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო მარმარილოს ზღვის მძიმე და უფრო მარილიანი წყალი შემოედინება შავი ზღვის ქვედა ნაწილში და ფაქტურად არ ერევა ზედა ფენაში. წყალმიმოცვლა ხდება 200 მეტრის სიღრმემდე, მის ქვემოთ არ ხდება აერიზაცია და ქვედა ფენები გაჯერებული არის გოგირდწყალბადით, შედეგად იქ მხოლოდ გოგირდწყალბადის ბაქტერიებია და ითვლება მკვდარ ზონად. შავ ზღვაში 16 ქვეყნის ტერიტორიაზე გამავალი ათასამდე დიდი და მცირე მდინარე ჩაედინება და ჩააქვთ 300 კმ.კუბ.-მდე მტკნარი წყალი. წარმოიქმნება წყლის ორი ფენა რომელიც სუსტად ერევა ერთმანეთში (12) климатические курортные районы юга России httf//kurortmag.ru/diqtonary/klimaticheskie kurortnie rajioni juga Rosii) წყლის მარილიანობა არ აღემატება 18%, რაც ორჯერ ნაკლებია მსოფლიო ოკეანის მარილიანობასთან შედარებით.

ყველაზე მთავარი ეკოლოგიური პრობლემა არის ის, რომ მდინარეებს მტკნარ წყალთან ერთად მოაქვთ მძიმე ლითონები, პესტიციდები, ასევე ფოსფორი და აზოტი, რომელიც ჩამოირეცხება ნიადაგის ზედაპირიდან.

შავი ზღვის აუზის ქვეყნების საკანონმდებლო აქტებით, საწარმოო თხევადი ნარჩენების, კანალიზაციის ნაკადების ჩაღვრა სასტიკად აკრძალულია, მაგრამ საწარმოთა უმრავლესობას არ უნდა გაიღოს ხარჯები და ააგოს ძვირადღირებული გამწმენდი ნაგებობები, ამჯობინებენ ზღვაში, სანაპიროდან 2,6 კილომეტრის მანძილით, 100 მეტრის სიღრმეში ჩადონ სანაკადე მილები. ნაკადი შეიცავს საწარმოო ნარჩენებს, მათ შორის ნავთობპროდუქტებს, ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს. საკანალიზაციო სისტემების მხრივ ცუდი მდგომარეობა არის საქართველოში ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემები საქართველოში 45 ქალაქია უზრუნველყოფილი, მათ შორის 33-ს აქვს

გამწმენდი ნაგებობები, უმეტესობა საბჭოთა კავშირის დროინდელი, არ არის თანამედროვე მოთხოვნების შესაფერისი და განახლებას საჭიროებს. სოფლის მოსახლეობა კუსტარულად გაკეთებულ ჭებში აგროვებს ფეკალურ მასებსა და სხვადასხვა ნარჩენებს, შემდეგ კი მანქანებით გააქვთ და ყრიან სადმე მინდვრებში ან უშვებენ მდინარეებში, კანალიზაციებიდან ჩამდინარე წყლები გამწმენდ ნაგებობებში გადის ფაქტობრივად მხოლოდ ტექნიკურ გაწმენდას დიდი ნარჩენებისაგან და მერე ჩაედინება ზღვაში ან მდინარეში და იწვევს მათ დაბინძურებას. (https://for.ge › view › arc-ekologia-arc-kanalizacia-ara) არსად არ ხდება ფაქტურად ჩამდინარე ნაკადების ბიოლოგიური გაწმენდა, ამ მხრივ გამონაკლისი არის ქ. ზუგდიდი სადაც თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, პირველად აშენდა ცენტრალიზებული საკანალიზაციო სისტემა თავისი გამწმენდი ნაგებობებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით და ხდება ჩამდინარე წყლების წმენდა როგორც ტექნიკური ისე სრული ბიოლოგიური ციკლის დაცვით.

ინდუსტრიულ საქმიანობაში დახარჯული წყლის დიდი ნაწილი, თითქმის 50% ქვეყნის მდინარეებში გაუფილტრავად ხვდება. გარემოს დაბინძურებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობით, საქართველო ევროპაში მეორე ადგილზეა (Environmental Performance Reviews Series No. 43 UNITED NATIONS New York and Geneva, 2016).

საქართველოს მდინარეები უმეტესად დაბინძურებულია აზოტის ნაერთებით, ასევე ზოგან მძიმე ლითონებით (მაგ.: მდინარე მაშავერა, მდინარე ყვირილა, ხოლო აჭარის რეგიონის მდინარეები - ნავთობპროდუქტებით.

(https://rec-caucasus.org ›0 uploads › 2020/08) განსაკუთრებით დაბინძურებულია მდ. მტკვარი, სადაც სპილენძის რაოდენობა 1000-ჯერ, ხოლო მოლიბდენისა – 2500-ჯერ აღემატება დასაშვებ რაოდენობას.(http://resurseb.blogspot.com › blog-page_7275).

ზღვის წყალში აღმოჩენილია ტყვიის, ნიკელის ვერცხლისწყლის, თუთიის ასევე ციანიდების და სხვა მომწამლავი ნივთიერებების მომატებული რაოდენობა, ასობით ტონა მავნე ნივთიერება იშლება ზღვის აუზში. ადამიანის მეურნეობაში, გამოყენებული სხვადასხვა სასუქები, რომლებიც შემდეგ იწვევენ ფიტოპლანქტონის აქტიურ გამრავლებას, ეგრეთ წოდებულ ზღვის ყვავილობას და რომლებიც

შემდგომი ლპობის პროცესში მოიხმარენ დიდი რაოდენობით წყალში არსებულ ჟანგბადს, მცირდება ჟანგბადის რაოდენობა და ქიმიური პროცესის შედეგად გამოყოფილი სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერებები, (მაგ. საკსიტოქსინს, ეგრეთწოდებულ შხამ კურარეს) რომლებიც წამლავენ ცოცხალ გარემოს. შავი ზღვის სანაპირო თანდათან იფარება მკვდარი წყალმცენარეების ფენით, რაც დღეისათვის არის დაახლოებით 3-იდან 40 ათას კვადრატულ კილომეტრი (26) (экологиыеские проблемы черного моря и их преодоление httf//ecoknowledge.ru/18363-ekologicheskie-problemi-chernogo-morya-I ih preodolenie).

სხვადასხვა კვლევის საფუძველზე ნავთობპროდუქტებით დაბინძურებულ წყალსაცავებს შორის შავი ზღვა იკავებს ერთ-ერთ მოწინავე ადგილს, ითვლება, რომ ის ორჯერ უფრო დაბინძურებულია, ვიდრე ხმელთაშუა ზღვა. საქართველოს ნაწილში შავი ზღვა ძირითადად ბინძურდება ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში შემოსული გემების ჩამდინარე და ნარეცხი წყლებით, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ნარჩენებით, დადგენილია ერთი ტონა ნავთობის თხელი აპკი 12 კვ.კმ წყლის ზედაპირს ფარავს, აბინძურებს დაახლოებით მილიონ ტონამდე წყალს და წყლის ბინადართა მასობრივი დაღუპვას იწვევს. დაახლოებით ევროპის ოცამდე ქვეყანა აბინძურებს შავ ზღვას საწარმოო ნარჩენებით, მარტო მდინარე დუნაიზე მოდის საერთო დაჭუჭყიანების 30%, ბევრი ქვეყნები, რომელთაც აქვთ გასასვლელი შავ ზღვაზე, აკეთებენ ზღვაში სხვადასხვა ნივთიერებების, სამშენებლო მასალების საწარმოო ნარჩენების, ქიმიური და ასაფეთქებელი, რადიაციული ნარჩენების სამარხებს. დაბინძურების გამო 160 ფაუნის სახეობა გაქრობის საშიშროების წინაშე დადგა და თევზჭერა ბოლო წლებში თითქმის ხუთჯერ შემცირდა. ზღვის ბინადრების სხვადასხვა ორგანოებში გროვდება სხვადასხვა ნივთიერებები. კვლევების შედეგად გამოვლენილია ტყვიის, ვერცხლისწყლის, სპილენძის, შხამქიმიკატების, რადიოაქტიური ნივთიერებების დიდი კონცენტრაცია (26). (экологиыеские проблемы черного моря и их преодоление httf//ecoknowledge.ru/18363-ekologicheskie-problemi-chernogo-morya-I ih preodolenie)

პროექტ შავი ზღვის გარემოს მონიტორინგის გაუმჯობესება (EMBLAS) ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამით და

ევროკავშირის მონაწილეობით, საქართველოს, უკრაინისა და ევროკავშირის ქვეყნების 40-მდე მეცნიერით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა ჩაატარა შავი ზღვის მონიტორინგი. კვლევებით ზღვის წყალში, ფსკერის დანალექებში, მოლუსკებსა და თევზებში გაანალიზდა 2100-მდე დამაბინძურებელი ნივთიერების არსებობა და კონცენტრაცია. ნივთიერებების ჩამონათვალი შეიცავდა ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილი პრიორიტეტულ დამაბინძურებლებს, რომელთა კონტროლის ვალდებულება აღებული აქვს ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას. ასევე საწარმოო ქიმიკატები, ფარმაცევტული პრეპარატები, პესტიციდები, ბიოციტები, და სხვა დამაბინძურებლები, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. კვლევის შედეგებით, თევზების ქსოვილებში აღმოჩენილია ორგანიზმისთვის ტოქსიკური სხვა ნივთიერებებიც: ვერცხლისწყალი და დიოქსინები. „პესტიციდების მაღალი კონცენტრაცია დაფიქსირდა არა მხოლოდ უკრაინასა და საქართველოს სანაპირო წყლებში, არამედ ღია ზღვაშიც„, ყველა შესაძლო 2100 დამაბინძურებლიდან შავ ზღვაში დადასტურებულ იქნა 145 ნივთიერება. სინჯების დამუშავების შედეგებმა გამოავლინა ნივთიერებები, რომლებიც ხვდება ზღვაში სატრანსპორტო საშუალებებიდან, სასოფლო-სამეურნეო და საწარმოო ნარჩენებიდან (Project Emblas TSU / პროექტი „ემბლას“-ი თსუ 2022). ამავე კვლევების შედეგად აღმოჩენილ იქნა შავი ზღვის მიკრობულ ფლორაში ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიები. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით, ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა პლანეტის მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს. მომავალ ათწლეულებში ის, სავარაუდოდ, სიკვდილიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდება (https://euneighbourseast.eu › news › latest-news › emb..)

კავკასიის შავი ზღვისპირეთის სიგრძე დაახლოებით არის 500კილომეტრი (4) технический отчет предприятия ОАО ,,новоросцемент„ -новоросийск 2017г

საკურორტო სეზონზე ცენტრალურ პლაჟებზე დამსვენებელთა რაოდენობა ბევრად აღემატება სანიტარული ნორმებით დაშვებულ ნორმებს (5-8ჯერ) რაც იწვევს სანაპირო ზოლის ქვიშის და სანაპიროს წყლის ბაქტერიულ და ბიოგენურ დაბინძურებას,

ქვიშის დაბინძურებას სხვადასხვა ორგანული და არაორგანული მინარევებით,რამაც შეიძლება შემდგომში გამოიწვიოს ადამიანისათვის ჯანმრთელობის პრობლემები. შტორმის დროს სანაპიროებზე ხდება მდინარეების შემოტანილი ნაგვის ამოყრა, სხვადასხვა გარე ქმედებების შედეგად ნაგავი იმარხება ქვიშაში და სანაპირო ბინძურდება სიღრმეშიც.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ეკოლოგიური პრობლემების გასაუმჯობესებლად უნდა გატარდეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც დაკავშირებულია დიდ ფინანსურ ხარჯებთან, რომლის გარეშე მიუღწევადია უსაფრთხო და ჯანმრთელი გარემო, ეკოლოგიური პრობლემები კავშირშია ეკონომიკურ პრობლემებთან.

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების მოგვარება აუცილებელია მოხდეს ყველა არსებული საკანალიზაციო სისტემების მოდერნიზაციით. ყველა დასახლებული პუნქტისათვის თანამედროვე საკანალიზაციო სისტემების შექმნით, სადაც გათვალისწინებული იქნება დაბინძურებული ნაკადების გაწმენდის ბოლო ტექნოლოგიური მიღწევები:

- უნდა შემუშავდეს ბუნებათსარგებლობის თანამედროვე კონცეფციები, გამკაცრდეს კონტროლი ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, შევუქმნათ სასიცოცხლო პირობები წყალმცენარეებს, მოლუსკებს, კრევეტებს, რომლებიც არიან ძლიერი წყალგამწმენდები, უნდა გავადიდოთ მათი წყალქვეშა ხელოვნური სასიცოცხლე გარემო (ადგილები)
- უნდა დავავალდებულოთ ყველა საწარმო - ჰქონდეს და გამოიყენოს გამწმენდი ნაგებობები. განურჩევლად მათი ადგილმდებარეობისა (ახლოსაა მდინარესთან, ზღვასთან, დასახლებული პუნქტია თუ არა და ა.შ.)
- უნდა მოხდეს სოფლის მეურნეობაში შხამ-ქიმიკატების გამოყენების თანდათან შემცირება და გადასვლა ეკოლოგიურად სუფთა ბიომეურნეობაზე (საკვები პროდუქტების ეკოლოგიურად და სოციალურად უსაფრთხო, ეფექტური წარმოება.)
- უნდა გამკაცრდეს ზღვის სანაპირო ზოლებში (პლაჟებზე) ჰიგიენურ სანიტარული მოთხოვნები და შეიქმნას ჯანმრთელი, დასვენების და გართობის უსაფრთხო გარემო.

1990 წელს თურქეთის პრეზიდენტმა წამოაყენა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური **თანამშრომლობის პროექტი,**

რომლის საფუძველზე შეიქმნა შავი ზღვის აუზის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია BSEC. 11-მა სახელმწიფომ სტამბულში ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის დეკლარაციას, რომლის ძირითადი პრინციპია შავი ზღვის გადაქცევა მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების ზღვად.1993 წლის სექტემბერში გაეროს გარემოს დაცვის პროგრამისა და მსოფლიო ბანკის ინიციატივით და დახმარებით ოფიციალურად დაამტკიცა შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემის რეზოლუცია **(შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის წესდება).**

1996 წლის ოქტომბერში შავი ზღვის აუზის ექვსი ქვეყნის (უკრაინა, რუსეთი, ბულგარეთი, თურქეთი, საბერძნეთი, რუმინეთი და საქართველო) წარმომადგენლებმა სტამბულში ხელი მოაწერეს შავი ზღვის დაცვის სტრატეგიულ გეგმას და 31 ოქტომბერი შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო დღედ გამოაცხადეს (http://www.blacksea-commission.org › Georgian). საქართველოში ეს თარიღი 1997 წლიდან აღინიშნება.

ლიტერატურა და ინტერნეტ წყაროები:

Чёрное море // Словарь современных географических названий / Рус. геогр. о-во. Моск. центр; Под общ. ред. акад. В. М. Котлякова. Институт географии РАН. — Екатеринбург: У-Фактория, 2006.

Ежегодник состояния морей России по гидрохимическим показателям. 2008 год. Чёрное море. oceanography.ru

https://for.ge › view › arc-ekologia-arc-kanalizacia-ara

технический отчет предприятия ОАО „новоросцемент„-новоросийск 2017г

Environmental Performance Reviews Series No. 43 UNITED NATIONS New York and Geneva, 2016)

http://resurseb.blogspot.com › blog-page_7275)

Project Emblas TSU / პროექტი "ემბლას"-ი თსუ 2022

https://euneighbourseast.eu › news › latest-news › emb..)

климатические курортные районы юга России

httf//kurortmag.ru/diqtonary/klimaticheskie kurortnie rajioni juga Rosii

технический отчет предприятия ОАО ,,новоросцемент" -новоросийск 2017г)

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის წესდება

http://www.blacksea-commission.org › Georgian

экологиыеские проблемы черного моря и их преодоление httf//ecoknowledge.ru/18363-ekologicheskie-problemi-chernogo-morya-I ih preodolenie